

ქი რკონ – ქალები

გვერდითადად ქალთა ენთინინტი „100 ქვეყნული ქალთა-ს გვერდითი“ * №1 (96), 2023 წ.






ქართული ბრენდის – „მარიგოლდის“ გათანავედროვებული ეროვნული სამოსის ჩვენება ამერიკის უძველესი თეატრის სცენაზე და თაიშ სქვერზე

ამერიკაში მცხოვრები ქართველი ქალბატონების, ქართული დიასპორის დამფუძნებლის, ინა ასანიძის და მისი მეგობრის, ამერიკაში მოღვაწე ბიზნესმენის თათულ ტოროსის მონადინებითა და ძალისხმევით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ბრუკლინში, მილენიუმის (ოშანას) თეატრის უძველეს სცენაზე მოეწყო ქართული ბრენდის „მარიგოლდის“ გათანავედროვებული ეროვნული სამოსის ჩვენება.

ქართულმა სამოსმა დიდი მონონება დაიმსახურა. წინა ორის მსგავსად „მარიგოლდის“ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ვიზიტაც ძალზე წარმატებული იყო.

„მარიგოლდის“



...და რაც მოთავსრია, სიციცხლის სიყვარული

გვ. 6

სარჩევი

სამშობლო უპირველეს ყოვლისა 4

ვსანაქანა

გეჯერა: კეთილი სძლევს ბოროტს 5

ხაღოქანა

სიმღერის სიყვარული 19

საზნუნა

ჩატეხილი ხიდი აუცილებლად აღდგება . . . 20

შშმ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი . . . 21

სიკეთის ქმნა გადამდებია 22

ან უნა ვითოვით

ევროკავშირი 25

ვალიცინა

ნესტან ექიმის სამოთხის ბაღი 27

სიცოცხლე გრძელდება, ცხოვრება მშვენიერია 29

აღსაწიფი ვალიცინა

ყველაზე მნიშვნელოვანი სიკეთის კეთება . . 30

ნაინ-ნაინი

ეკოეკლესია 31

ანთაქანა

„რა ენა წახდეს“ 32

პინაქანა

მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი საქართველოში ცხოვრობდა 33

ანა ილწობიანა

ასე დავიწყებული დიდებული ქალბატონი . . . 34

ნაინი

ქალი პრეზიდენტები 36

ანთიქანა

სად, როდის და როგორ მოიპოვეს ქალებმა ხმის მიცემის უფლება 38

ნაინი

საქართველოს პარლამენტარისთვის ისტორიიდან 39

ქალთა უფლება-მოვალეობებისადმი მიძღვნილი კონფერენცია 40

ანთიქანა

სასწაული ქალაქ ფატიმაში 41

ანა

სიტყვის დაბადება 42



გვ. 8

წარმატება მიზანდასახულობას და შრომას მოაქვს



გვ. 12

რუსთაველთა საყვარელი ქალბატონი



გვ. 15

მოზარდებთან ურთიერთობის ხელოვნების მოცატი



გვ. 18

წამება მიზანდასახულობას და შრომას მოაქვს




გვ. 10

გატომე შევავთ სურდებებს თაგვრ მანსაქანაში



გვ. 14

ძარიან, ძარიან ბეწნიეხი აქამიანი



გვ. 16

ვისი წარმებების უორგულა

წმინდისწილად ქართული სტრუქტურა:
„100 ქართული ქალი“
წიგნიწმინდისწილად თბილისის
1999-წმინდისწილად წმინდისწილად



ჩვენ – ქალები

მთ. რედაქტორი ნათელა ნატროშვიდი
რედაქციისთვის:

მზია ჟვინიუაძე, დეიდა ოტიაშვიდი, მანანა გეგაშვიდი.

მისამართი:

თბილისი, ვია აბესაძის ქ. 8

ტელ.: 2292233



სამშობლო უპირველეს ყოვლისა

დამეთანხმებით, რომ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლით შეწუხებულებს სათქმელი მართლაც ბევრი გვაქვს, როდესაც ვგრძნობთ და ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანას, ათას ჭირგამოვლილ ჩვენს სამშობლოს შეიძლება ბევრად უკეთესი აწმყო და ბედნიერი მომავალი ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა მხოლოდ ქართველების ერთსულოვნებით, ერთად დგომით, ერთობლივი ძალისხმევით, განათლების მაღალი დონით, პროფესიონალიზმით, თანამემამულეთა, სამშობლოს წინაშე მოვალეობის გაცნობიერებით, მუხლჩაუხრელი შრომით შეიძლება, სინამდვილეში კი რა ხდება? რა დღეშია ამჟამად ჩვენი სამშობლო? ჩვენი ხალხი? ურთერთის დაპირისპირება, ჩასაფრებულობა, გაუტანლობა, ქიშპობა, მტრობა. რა დაგვემართა?! რატომ ვერ ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ პირადი ამბციების დასაკმაყოფილებლად შემართულნი ვვენებთ სამშობლოს, საკუთარ ხალხს, ვახარებთ ქართველთა არაკეთილმოსურნეთ, იმათ, ვინც არიან შესაფერისი დროის მოლოდინში, ჩასაფრებულები გვადვენებენ თვალს და როგორც კი იხელთებენ, თავს დაგვესხმიან და საწადელს აისრულებენ. თითქოს ჯადოსნური წრეა შეკრუ-

ლი და გამოსავალი არ ჩანს. დრო მიჰქრის, მთელ მსოფლიოში გლობალური მასშტაბის პროცესები მიმდინარეობს, ჩვენი ხალხი კი კვლავ სიმართლის, სამართლის და ლუკმა პურის ძიებაშია. საკუთარი ოჯახებისთვის უკეთესი ზვალინდელი დღის უზრუნველსაყოფად უთვალავი ქართველია გაფანტული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ძნელია ყოველივე ამის ყურება, ყურება იმისა, თუ როგორ ტოვებს სამშობლოს გუშინ შენ გვერდით მყოფი ნათესავი, ამხანაგი, მეგობარი თუ მეზობელი, ცხრა მთას იქით მიდის უკეთესი მომავლის ძიებაში ისე, რომ გაცნობიერებული არა აქვს, რა მწარე და მძიმეა სამშობლოს, ფესვებს მოწყვეტილთა ზვედრი, როგორი მწარეა უსამშობლო მომავალი... ჯერ კიდევ როდის აღმოხდა სვე გამწარებულ ბარათაშვილს: „უწინამც დღე კი დამეღევა მე, უცხოებაში რაა სიამე, სადაცა ვერვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული“.

სამწუხაროდ, ასეთია დღეს საზოგადოებრივი მდგომარეობა, გლობალიზაციის ხანაა დამდგარი და ახლა უფრო მეტად გემართებს ზრუნვა ეროვნული თვითმყოფადობის, მშობლიური ენის, დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე. ეს თითოეული ქართველის, მთელი

ერის საფიქრალ-საზრუნავია.

მოკრძალებით მოგმართავთ თხოვნით, ჩვენი ქვეყნის შვილებო. თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, თქვენ უნდა უპატრონოთ ჩვენს მრავალჭირგამოვლილ სამშობლოს. ვერავინ დაგძრახავთ იმის გამო, რომ უკეთესი განათლების მისაღებად, თვალსაწიერის გასაფართოებლად, შექმნილი ცოდნის გასამდიდრებლად სხვა ქვეყნებს მიამშუროთ, ამის უფლება ყველას გვაქვს, მაგრამ... მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ უფლებების გარდა თითოეულ ადამიანს მოვალეობებიც აქვს, მოვალეობა მშობლების, სამშობლოს, საზოგადოების, მოძმეთა წინაშე, თქვენ მიერ მიღებული ცოდნა-განათლება, უნარ-ჩვევები თუ გამოცდილება სასიკეთოდ წაადგება მრავალ განსაცდელგამოვლილ ჩვენს ქვეყანას, საქართველოს, სწორედ თქვენ განდობთ და გავალდებულებთ სამშობლოს პატრონობას.

იმედი გვაქვს, რომ ცოდნითა და პროფესიონალიზმით აღჭურვილი ჩვენი ღირსეული ახალგაზრდობა გააგრძელებს ქვეყნის გონივრულ მართვას.

ნათიელა ნაბროშვილი

პროფესიონალ ქალთა ასოციაციის, „100 ქართველი ქალი“ პრეზიდენტი



სემსურამი, „ვატილი“



გვჯერა: კეთილი სძლევს ბოროტს

იმის შესახებ, რომ 1917 წლამდე არსებული რუსეთის იმპერიის საზღვრების აღდგენა განიზრახა, უსაზღვრო ველიკორუსული ამბიციებით შეპყრობილმა ვლადიმერ პუტინმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა და ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ძალების მოსინჯვა და მსოფლიოს რეაქციის შემოწმება 2008 წელს საქართველოს ომით დაიწყო. ხოლო როცა საქართველოსთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წაგლეჯისთვის პასუხი არავინ მოსთხოვა, დასავლეთის გულგრილობით გულმოცემულმა და თავგასულმა იმპერიის აღდგენა უკრაინისთვის დონბასის, ლუგანსკისა და ყირიმის წართმევა და ფაქტობრივად რუსეთის კუთვნილებად აღიარება განიზრახა და კიდევაც მიაღწია მიზანს. მაშინდა გაახილა თვალი დანარჩენმა მსოფლიომ, მაშინდა დაინახა რუსული საფრთხე, მთელ მსოფლიოს რომ დაემუქრა, მაშინდა გაიაზრეს ევროპამ და ამერიკამ ბოლოს და ბოლოს, რომ დიდი და ძლიერი ქვეყნების ჩაურევლობის შედეგად საკუთარი შეიარაღებული ძალების უძლეველობაში დარწმუნებული და დაუსჯელობით თავგასული რუსეთი გააგრძელებდა მსოფლიო რუკის შესაცვლელად მოქმედებას. დასავლეთმა, დამპყრობლურ ჟინს აყოლილი პუტინის ზრახვა-გეგმების ჩასაშლელად ერთად მოქმედება გადაწყვიტა და პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო დახმარება აღუთქვა უკრაინას. რეალობა კი დღეს ასეთია — პუტინის რუსეთი ბომბავს, ანადგურებს უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს, მამაცი, თავდადებული უკრაინელი ხალხი იცავს თავის სამშობლოს, თავგანწირვით იბრძვიან ჯარისკაცები, უდრტვინველად ითმენენ შვილებს, შვილიშვილებს გადაფარებული დედები, ბებიები, უკრაინელი ჯარისკაცები. მილიონობით გაოგნებული, დაზაფრული ადამიანი კი მთელ მსოფლიოში თვალს ადევნებს იმ ჯოჯოხეთს, პუტინმა რომ მოუწყო უკრაინელებს. ალბათ სხვებზე მწვავედ ჩვენ, ქართველები, განვიცდით იმას, რაც ერთმორწმუნე უკრაინაში ხდება, ჩვენთან ხომ სულ რაღაც ოცდარი წლის წინ დაატრიალა რუსეთმა მსგავსი ჯოჯოხეთი!

ვუყურებთ გაპარტახებული, დანგრეული, მიწასთან გასწორებული ქალაქების, სოფლების, აფეთქებული, დამწვარი სკოლების, საცხოვრებელი სახლების, ფაბრიკა-ქარხნების, თეატრების, საავადმყოფოების კადრებს და ამ ჯოჯოხეთურ ფონზე — გაოგნებულ, თვალბრუნებულ შიშამდგარ ბავშვებს, ვუყურებთ სულისშემძვრელ სურათებს ტელეეკრანებზე თუ სმარტფონებზე, რუსული ტყვიით თუ აფეთქებული ყუმბარის ნამსხვრევით მოკლული დედის ცხედარზე ჩამომჯდარ გაოგნებულ პატარა გოგონას, ნანგრევებში მიმოფანტულ ბავშვის ფეხსაცმელებს თუ სათამაშოებს, რუსული ჯავშანმანქანებით გადახნულ გზაზე მიმავალ ატირებულ, დაბნეულ, შეშინებულ ბიჭუნას, მკერდში ლეკვანახუტებულ მის თანატოლებს, სასოწარკვეთილ, მკერდში ჩვილჩახუტებულ დედებს, ვისმინთ, რომ დღემდე საომარ მოქმედებებს ხუთასზე მეტი ბავშვი შეეწირა, და ვერ გაგვიგია, რა ამბიციების დასაცხრობად, რა გეგმების ხორცშესახმელად უნდა წასულიყო რუსეთი და მისი თავკაცი ამგვარ სისხლიან ავანტიურაზე?!



სხვებზე მეტად ჩვენ, ქართველებს, გვესმის, რა ჯოჯოხეთი დაატრიალა უკრაინაში რუსეთმა ველიკორუსული ამბიციების დასაცხრობად, მსოფლიოს ბატონობაზე მეოცნებე მისმა გონებადაბინდულმა თავკაცმა. ამიტომაც ამარაგებს ჩვენი ქვეყანა მოძმე უკრაინელებს სხვადასხვა სახის სამკურნალო თუ პირველი საჭიროების საშუალებებით, საკვებით და ა. შ. საქართველომ ფართოდ გაუღო კარი უკრაინელ ლტოლვილებს, ჩვენი ქალაქების ქუჩებში, სკვერებსა თუ ბაღებში, სკოლებსა თუ ბაგა-ბაღებში მომრავლდნენ ქერთიანი გოგო-ბიჭები, რომლებსაც ღიმილი უნათებთ სახეებს, მათ იმედმოცემულ მშობლებს კი თანადგომისთვის მაღლიერების სიტყვები არ ელევათ.



ჩვენ, ქართველებს, გვჯერა, რომ მთი რუსეთის ძლევა მოსილების შესახებ გაქარწყლდება, რომ კეთილი სძლევს ბოროტს, უკრაინა გადარჩება, მსოფლიო ქელს მოახრევინებს რუსეთს, ველიკორუსული ამბიციებით გამედიდურებული ეს ქვეყანა იძულებული გახდება, დაიცხროს დამპყრობლური ამბიციები, ანგარიში გაუწიოს დანარჩენ მსოფლიოს, სხვა დიდ თუ პატარა სახელმწიფოებს, მცირერიცხვან თუ მრავალრიცხვან ხალხებს და დეღამიწაზე საყოველთაო მშვიდობა დაისადგურებს.

პროფესიონალ ქალთა ასოციაციის „ასი ქართველი ქალი“ წევრები



...და რაც მთავარია, სიცოცხლის სიყვარული



მაღალი ერუდიციისა და ფართო გაქანების უნიჭიერესი მორფოფიზიოლოგი, ახალი ორიგინალური მეცნიერული მიმართულების შემქმნელი, ჩინებული პედაგოგი და მეცნიერხელმძღვანელი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ენერგიული, კეთილშობილი, ხალისიანი, გულისხმიერი, ამავე დროს პრინციპული ადამიანი – ასე დაგიხასიათებთ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის კიმიური ნეიროანატომიის სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელს, ქალბატონ ია ჟვანიას ყველა, ვინც კი მას იცნობს, იქნება ეს კოლეგა-თანამოსაქმე, მის მიერ აღზრდილ-დაკვლიანებული დარგის სპეციალისტი, მისი სტუდენტი, მეგობარი თუ ამხანაგი, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ – ეს არამც და არამც არ იქნება მამამებლური განზრახვით ნათქვამი. ეს ქალბატონი ნამდვილად ასეთია.

ოჯახში, რომელშიც ქალბატონი ია დაიბადა, ცოდნის შეძენის, განათლების, კეთილმოსურნეობის, ერთმანეთის მხარში დგომის ატმოსფერო სუფევდა, კეთილშობილება, ცოდნა და პროფესიონალიზმი, ქვეყნის, ხალხის სამსახური, ქართული კულტურა და სულიერება უპირველეს ფასეულობებად ითვლებოდა. მშობლები, ქალბატონი რუსუდან დუდუჩავა, ინგლისური ენის ჩინებული სპეციალისტი, და ბატონი გრიგოლ ჟვანია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს შვილებს – იას და ნინას მრავალმხრივი საფუძვლიანი განათლების მიღებაში და დამოუკიდებელ აზროვნებასაც იმთავითვე აჩვენებდნენ. უთუოდ ამგვარი აღზრდის წყალობით აირჩიეს დებმა მომავალი საქმიანობის სფერო. საუკეთესო ტრადიციებით ცნობილი თბილისის 23-ე საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ნინამ კი სამედიცინო

ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. ემბრიონოლოგიის, ციტოლოგიის და ჰისტოლოგიის სპეციალობის სტუდენტის დაინტერესებამ ტვინით, თავის ქალასა და ხერხემლის არხში მოთავსებული ადამიანისა და უმადლესი ცხოველების ცენტრალური ნერვული სისტემის ამ უმთავრესი ორგანოთი, განსაზღვრა იას მომავალი მოღვაწეობის სფერო – ნეირობიოლოგია. უნივერსიტეტი 1972 წელს დაამთავრა, 1975-ში კი უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტიც. სტუდენტობის წლებში შეძენილი ცოდნის გაღრმავება-გამდიდრების და მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის მყარი საფუძვლის შექმნის მიზნით უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან მსოფლიოში ცნობილ მოსკოვის სამედიცინო აკადემიის ტვინის ინსტიტუტის ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა სპეციალობით „ნეიროანატომია, თავის ტვინის ულტრასტრუქტურა“, ასპირანტურის შემდეგ კი მალევე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თავის ტვინის პროექციულ და ასოციაციურ კვლებში პროექციული, ინტრაქემისფერული და ინტერჰემისფერული კავშირების სინაფსარქიტექტონიკა“. წლების შემდეგ, 1996 წელს ასეთივე წარმატებით დაიცვა ახალგაზრდა ქართველმა მორფოფიზიოლოგმა სადოქტორო დისერტაცია.

რონის ულტრასტრუქტურა, ნანონე-რომეცნიერება, უჯრედის ბიოლოგია, სეკრეტორული პროცესები ნეირონში, ფუნქციური ნეიროანატომია, ნანობიოლოგია, ნანომედიცინა, ცოცხალი უჯრედის (ნეირონის) ატომურძალკანი მიკროსკოპია – ასეთია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ნეიროანატომიის მიმართულების პროფესორ-ემერიტუსის, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის კვლევის სფერო და საგნები. ქალბატონი ია აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ ტრენინგებსა და კვლევებში, თავად მას და მის ნაშრომებს, მისი კვლევების შედეგებს იცნობენ და აფასებენ კოლეგები ბულგარეთში, ჩეხეთში, ფინეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, იტალიაში, საფრანგეთში. ამიტომაც იწვევენ ამა თუ იმ ქვეყანაში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმების, სამუშაო შეხვედრების კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

თავის ტვინის ნატიფი აღნაგობა ნორმისა და პათოლოგიების დროს (ეპილეფსიის სხვადასხვა ფორმის ეფექტი), სხვადასხვა ადიქციური ნივთიერებების ქრონიკული მოხმარების მყისიერი და შორეული ეფექტები (სტრესის და ჰიპოკინეზიის სხვადასხვა ფორმის ეფექტი) და ნეირონში სეკრეტორული პროცესების მოლეკულური და ნანოთავისებურებები – ასეთი გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ია ჟვანიას კვლევითი საქმიან-



ნობის ძირითადი საკითხები. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებით საქმიანობაში ქართველ მეცნიერს ძალიან ეხმარება უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა. გამოვლილ სამოღვაწეო გზაზე ილიას სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებათა ფაკულტეტის თავის ტვინის ულტრა და ნანოარქიტექტურის ლაბორატორიის გამგე, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერი, ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჯერ უმცროსი, მერე კი უფროსი მეცნიერთანამშრომელი იყო, თავის ტვინის აღნაგობისა და განვითარების შემსწავლელი ლაბორატორიის გამგეც. ქიმიური ნეირონატომიის ჯგუფის ხელმძღვანელიც და ყველაგან, ყველა პოზიციაზე საგნის სიღრმისეული ცოდნით, კვლევა-ძიების უშრეტე ენერჯით, სამეცნიერო ინტერესთა სფეროს და კვლევითი ინტერესების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ასეა დღესაც, ამაზე კი მისი მეცნიერული კვლევების სფეროების თუ კვლევითი ინტერესების, საკვლევ-შესასწავლი საკითხების უბრალო ჩამონათვალიც კი მეტყველებს: ნეირომეცნიერება, ნეიროპისტოლოგია, ნეიროციტოლოგია, ნეირონის ულტრასტრუქტურა, ნანონეირომეცნიერება, უჯრედის ბიოლოგია (ციტოლოგია), სერეტიორული პროცესები ნეირონში, პოროსომას აღნაგობა და მოლეკულური



რე შემადგენლობა, ფუნქციური ნეირონატომია, ნანობიოლოგია, ცოცხალი უჯრედის (ნეირონის) ატომურ-ძალოვანი მიკროსკოპია და სხვა.

წლების წინ ქალბატონმა იამ მონაწილეობა მიიღო იუნესკოს პროგრამაში „ქალები-მეცნიერები-ლიდერები“, რომლის ჩარჩოებში საქმიანობამაც აფიქრებინა ამ პროგრამის სხვა მონაწილეებთან ერთად დაეარსებინა საზოგადოება „ადმოსავლეთ ევროპის ქალები მეცნიერებაში“, რომლის მთავარი მიზანი და დანიშნულება მეცნიერ ქალთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა გახდა. ცოტა ხანში ია ჟვანიამ თანამოაზრე ქალბატონებთან ლალი ლოღელიანთან და ნანა ჯაფარიძესთან ერთად შექმნა აღნიშნული საზოგადოების ქართული დანაყოფი, რომელმაც საქართველოს მოღვაწე მეცნი

ერი ქალები გააერთიანა.

თავისი ცხოვრების წესით, მოღვაწეობა-საქმიანობით, ურთიერთობებით ქალბატონი ია აცამტკვერებს აქსიომად ქცეულ ზოგიერთ ჭეშმარიტებას, ვთქვათ, იმას, რომ ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება აქვს, ამ „თავისში“ ნაგულისხმევი მისთვის უკმარია, მას არც ადრე უცხოვრია და უღვაწია და არც დღეს ცხოვრობს და იღვწის მხოლოდ თავისთვის. უთუოდ ამიტომაც ეიმედებათ მისი მეგობარ-ამხანაგებსაც და კოლეგა-თანამოსაქმეებსაც.

ამჟამად ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ია ჟვანია ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის თავის ტვინის ულტრასტრუქტურის და ნანოარქიტექტონიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ და მისთვის დამახასიათებელი ენერჯიულობით და პასუხისმგებლობით უძღვება საქმეს.

განტვირთვასა და სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში ხალისიანი ხასიათის, გულზიარობის გარდა, ქალბატონ იას, როგორც თავად ამბობს, ძალიან ეხმარება ბუნებასთან ურთიერთობა, ცურვა, იოგას ვარჯიშები, ცივი წყლის პროცედურები, წიგნები, მოგზაურობა და რაც მთავარია, სიცოცხლის სიყვარული.

მანანა გილაშვილი



წარმატება მიზანდასახულობას და შრომას მოაქვს



ბავშვობიდანვე გამოვლენილი მათემატიკური ნიჭი, მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა, ჩაფიქრებულის უთუოდ მიღწევა-განხორციელება, ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, მიღწეული დაუკმაყოფილებლობა, პასუხისმგებლობა და მუდმივი ზრუნვა წინსვლა-განვითარებაზე, შესაშური შრომისმოყვარეობა ის მახასიათებლებია, ბავშვობიდან მოყოლებული რომ გასდევს ქეთევან ნანობაშვილის ცხოვრება-საქმიანობას. მისი ეს თვისებები ჯერ კიდევ მაშინ გამოქვლიანდა, როცა შვიდი წლისამ თანაკლასელის მსგავსად მუსიკალურ სკოლაში სწავლა მოიწადინა, ისე, რომ მშობლებისთვის არაფერი უთქვამს, იმ ამხანაგის ბებისგან გაიგო რა საბუთები იყო საჭირო მუსიკალურ სკოლაში წარსადგენად. ძალიან მალე თვითონვე უპრობლემოდ შეაგროვა და წარადგინა ისინი და ამის შემდეგდა გამოუცხადა დედას მუსიკის სწავლას ვიწყებო. ჩაფიქრებულის უთუოდ ხორცშესხმა, სწრაფვა პირველობისკენ თანაკლასელებისგანაც გამორჩეულად და სხვა თანატოლებისგანაც. ვაჭირის საშუალო სკოლაში თითოთ საჩვენებელი მოსწავლე იყო, ბევრი თანატოლისგან განსხვავებით

საკუთარი მომავლის კონტურებს სკოლაში სწავლის წლებშივე ცხადვით ხედავდა და ამიტომაც ყოყმანის გარეშე მიამურა მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში პედაგოგიურ ინსტიტუტს. პირველი ხელშესახები წარმატება სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილმა მოხსენებამ მოუტანა, რომელიც მათემატიკის სწავლების კომპიუტერულ მეთოდოლოგიას ეძღვნებოდა. ქეთევანმა უნივერსიტეტი დაამთავრა და წნორში ახალგაზსნილ სკოლა-ლიცეუმში დაიწყო მუშაობა მასწავლებლად, მას შემდეგ კი, რაც მისი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, ერთხანს მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა „ბლაკარში“ ასწავლიდა ყმაწვილებს. კომპიუტერული სწავლება ის-ის იყო ფეხს იკიდებდა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როდესაც 2002 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „მათემატიკის საწყისი მცნებებისა და არითმეტიკული მოქმედებების სწავლება კომპიუტერის გამოყენებით“. (სხვათა შორის, ეს კომპიუტერული სწავლებისადმი მიძღვნილი პირველი სადისერტაციო მეცნიერული ნაშრომი გახლავთ საქართველოში) და მას პედაგოგიის მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაცია მიენიჭა.

გონიერება და შრომისმოყვარეობა – ეს ძირითადი მახასიათებლები უდევს საფუძვლად განათლების ინფორმატიზაციის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის და საქართველოს ბიზნესის მეცნიერე-

ბათა აკადემიის აკადემიკოსის, ქალბატონ ქეთევან ნანობაშვილის, როგორც პედაგოგის და მეცნიერის კარიერულ აღმასვლას დღემდე გამოვლილ სამოღვაწეო გზაზე. ამ გზაზე იგი ღია სასწავლო უნივერსიტეტშიც მოღვაწეობდა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტშიც, ახალ უმაღლეს სასწავლებელშიც, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტშიც, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტშიც და ყველგან და ყველა თანამდებობაზე საგნის ღრმა ცოდნით, პრინციპულობით, მაღალი პასუხისმგებლობით, სამართლიანობით, მომთხონელობით გამოირჩეოდა და საყოველთაო პატივისცემითაც სარგებლობდა. ასეა დღესაც, იგი პედაგოგიურ მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ადმინისტრაციულ მართვასთან დაკავშირებულ მოვალეობასაც, პირველ რიგში, საკუთარი თავისადმი მაღალი მომთხონელობით და ახალგაზრდა კადრების აღზრდა-მომზადების მნიშვნელობის გაცნობიერებით უძღვება. ქალბატონი ქეთევანი ასამდე სამეცნიერო ნაშრომის და თორმეტი სახელმძღვანელოს ავტორი, რიგ შემთხვევებში კი თანაავტორი გახლავთ. მათი ნაწილი წმინდა მათემატიკურ საკითხებს მოიცავს, სხვები კი ბიზნესპროცესების ანალიზს, სატენდერო ელექტრონული სისტემის დამუშავება-დანერგვისა და განვითარების ამოცანებს, მსჯელობას საგანმანათლებლო პროცესის პედაგოგიური მენეჯმენტის რესურსებზე, სწავლების თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე, კომპიუტერულ ვირუსებსა და მათი წარმოშობის წყაროებზე, ვებტექნოლოგიებზე საგანმანათლებლო სივრცეში.

დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ კომპიუტერული სამყარო



საოცრად ფართო და მრავალწახნაგოვანი მცნებაა, რომელიც ჩვენი ყოველდღიურობის ყველა სფეროს მოიცავს და დღითიდღე უფრო და უფრო ფართოდ იჭრება ჩვენს ცხოვრებაში. განსხვავებული ადგილი დაიკავა ამ ფენომენმა ქეთევან ნანობაშვილის ცხოვრება-საქმიანობაშიც. ამაზე ის სასწავლო კურსების მეთვლეკებს, რომლებსაც ქალბატონი ქეთევანი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უძღვებოდა სხვადასხვა წლებში და უძღვება დღესაც, მეთვლეკებს მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებიც ქართულ თუ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, შრომების კრებულებში და ის აქტივობები, რომლებსაც იგი საგანმანათლებლო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ახორციელებს. ჟურნალისთვის განკუთვნილი ნარკვევის ჩარჩოები არ იძლევა ყველა იმ აქტივობაზე ვრცლად საუბრის საშუალებას, რომელთა სულისჩამდგმელი ქეთევან ნანობაშვილია, ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: საერთაშორისო კონფერენციის Problems of decision making under uncertainties-ის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდის – „ინტელექტი“ ვიცეპრეზიდენტი და პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის „ინტელექტი“ მთავარი რედაქტორის მოადგილე 2000 წლიდან დღემდე, მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი და ტრენერი, საერ-

თაშორისო ორგანიზაციის „კავკასიის ხალხთა კონგრესი“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი მდივანი, განათლების ინფორმატიზაციის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის დამფუძნებელი და ასე შემდეგ. ყოველივე ამას იმასაც დავეძნოთ, რომ ქალბატონი ქეთევანი ღია სასწავლო უნივერსიტეტის, თელავის, გორის უნივერსიტეტების შრომების არა ერთი კრებულის რედაქციის წევრია, მისი ოპონენტობა-რეცენზენტობით დღემდე 28 დისერტაციაა დაცული, იგი ნაყოფიერად თანამშრომლობს რიგი სამეცნიერო გამოცემების სარედაქციო საბჭოებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო ცენტრებთან, ამგვარი ლიტერატურის და რჩევების მნიშვნელობის გათვალისწინებით ესაუბრება ქეთევან ნანობაშვილი დაინტერესებულ ადამიანებს ვებგვერდებსა თუ პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალებში სატენდერო ელექტრონული სისტემის დამუშავება-დანერგვის და განვითარების ამოცანებზე, საგანმანათლებლო პროცესის პედაგოგიური მენეჯმენტის რესურსებსა და პოტენციალზე, ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში კომპიუტერული ტექნიკის ოპტიმალურად გამოყენების მოდ-



ელზე და ასე შემდეგ. ქალბატონ ქეთევანს შეილება, გიორგი და სალომე თითქმის იმ ახალგაზრდების თანატოლები ჰყავს, რომლებსაც ის ლექციებს უკითხავს, რომლებმაც დღეს თუ ხვალ ქვეყნის ბედი უნდა ჩაიბარონ და კიდევ ამიტომაც კარგად უგებს მათ, იცის მათი სულისკვეთება, სწვდება მათ აზროვნებას და მათი შემხედვარე ოპტიმიზტურად არის განწყობილი, სჯერა, რომ ახალგაზრდების დღევანდელ თაობას ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია, უფროსი თაობა კი საამისოდ საჭირო ცოდნის, უნარ-ჩვევების შექმნაში და გონივრულად, საერთო საქმისთვის სასიკეთოდ გამოსაყენებლად მზადებაში უნდა ეხმარებოდეს მათ. პროფესიული კომპეტენტურობის, სამართლიანობის და პრინციპულობის გამო კოლეგებიც დიდ პატივს სცემენ და სტუდენტებიც. როგორც მომავლის შემოქმედი, ქეთევან ნანობაშვილი ყოველთვის წინ იყურება, ხვალინდელ დღეზე ფიქრით ცხოვრობს და საქმიანობს.

საშურა კარბარეთელი



ჩატოე უფაჩო სტუდენტებს თამაჯ მასწავლებელი



პროფესიის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ნაბიჯია ადამიანის ცხოვრებაში, ნაბიჯი, რომელიც საძირკვლის ჩაყრას ჰგავს და მთელ მის შემდგომ ცხოვრებას განსაზღვრავს. არჩეული პროფესია, საქმიანობა - მოღვაწეობის სფერო მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ყოველი ადამიანის პიროვნულ თვისებებ-მახასიათებლებს, უნარ-შესაძლებლობებს, ინტერესებს, სურვილებს, თითოეული ჩვენგანი ხომ სწორედ პროფესიის, მოღვაწეობა-საქმიანობის სფეროს არჩევს ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას, სწორად, ანუ გონებით განსჯის შედეგად და იმავდროულად

გულისთვის კარნახით შერჩეული პროფესია განსაზღვრავს ცხოვრების მდინარებას და არსს. თუ ადამიანი აღრევე გააცნობიერებს საკუთარ უნარ-შესაძლებლობებს, მკაფიოდ შემოხაზავს ინტერესთა წრეს, საღი გონებით შეფასების საფუძველზე განჭვრეტს საკუთარ მომავალს, საკუთარ დანიშნულებას და იმასაც ირწმუნება, რომ შეძენილი ცოდნით და ამ ცოდნაზე დაფუძნებული თავისი საქმიანობით შეუმცდარად არჩეულ სფეროში სარგებლობას მოუტანს ადამიანებს, თავის ქვეყანას, ის ნამდვილად ბედნიერი და სულიერად ძლიერი იქნება. ამ მოსაზრების მართებულობას ჩვენი ნარკვევის გმირის მაგალითიც ადასტურებს.

თამარ თურმანიძემ მედიცინა მოღვაწეობის სფეროდ, გარკვეულწილად დედის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ლიანა კიკალიშვილის მაგალითით აირჩია. ინსტიტუტის წარჩინებით, წითელი დიპლომით დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა. პროფესიული დახელოვნებისა და ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით ახალგაზრდა მედიკოსისთვის უთუოდ მნიშვნელოვანი იყო მუშაობა სტომატოლოგიურ კლინიკა GNDENT-ში. დღეს ქალბატონი თამარი ღიმილით იხსენებს, როგორ ნერვიულობდა, როდესაც თავისი პირველი პაციენტისთვის კბილი უნდა ამოეღო. მერე და მერე ისე გაიწაფა, რომ მისმა ნამკურნალებმა ადამიანებმა ხმა გაუერცელეს ექიმ თურმანიძეს კარგი, მსუბუქი ხელი აქვსო. ამგვარი შეფასება-რეკლამის შემდეგ ნებისმიერ სტომატოლოგს პაციენტების რიგი დაუდგებოდა და თამარ თურმანიძის შემთხვევაშიც ასე მოხდებოდა, მაგრამ მან, პროფესიულ პრაქტიკას სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა არჩია და ასპირანტურის დამთავრების შემდეგ შეძენილი თეორიული ცოდნის და სტომატოლოგიური პრაქტიკის საფუძველზე აგებული სადისერტაციო ნაშრომის თემაზე „სტომატიტების განვითარების და მკურნალობის კლინიკური თავისებურებები ავთვისებიანი სიმსივნის დროს“ წარმატებით დაცვის შემდეგ 2009 წლიდან თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ქირურგიის დეპარტამენტის ინგლისურენოვან სექტორზე დაიწყო მუშაობა მოწვეულ პედაგოგად. ცოტა ხანში 2012 წელს, კათედრის ასისტენტ-პროფესორი გახდა, 2018 წლიდან კი იგი კათედრის ასოცირებული პროფესორი გახლავთ. ამგვარი კარიერული აღმასვლა მის მიზანდასახულობაზე, პროფესიულ დახელოვნებაზე ზრუნვაზე, აკადემიურ ცოდნასა და საკუთარ თავზე მუდმივად მუშაობაზე მეტყველებს. რომ არა ეს თვისე-

ბები და ზოგადად ინგლისური ენის და კერძოდ მედიცინის სფეროს ინგლისურენოვანი ლექსიკის საფუძვლიანი ცოდნა, უცხოელ სტუდენტებთან მუშაობას, მათთვის ლექციების წაკითხვას არც მიახლოებდნენ და რაც მთავარია, გამომდინარე თავისი ხასიათიდან და მაღალი პასუხისმგებლობიდან, არც თვითონ იღებდა თავს.

თამარ თურმანიძე ლექციების კურსს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ინდოელ, ერაყელ, შრილანკელ, ისრაელელ ახალგაზრდებს კლინიკურ ანატომიასა და ოპერაციულ ქირურგიაში უტარებს. მის მიერ მათთვის გადაცემული ცოდნის ხარისხსა და მისი, როგორც დარგის ჩინებული სპეციალისტ-მეცნიერის და გულისხმიერი პედაგოგის საგანმანათლებლო-აღმზრდელითი მუშაობის ხარისხსა და შედეგიანობაზე, ახალგაზრდების ფსიქოლოგიურ ნიუანსებში წვდომის უნარზე მეტყველებს მისდამი სტუდენტების დამოკიდებულება, რომლებიც მას ყველაზე



საკვარელ ლექტორად აღიარებენ და მოწიწებით მხოლოდ ასე მიმართავენ — „მემ“, სხვადასხვა ქვეყნიდან შვილების მოსანახულებლად ჩამოსული მათი მშობლებიც ხშირად მოდიან ინსტიტუტში მისთვის მადლობის გადასახდელად.

პასუხისმგებლობის გრძობას ქალბატონ თამარს იმის გაცნობიერება უათმაგებს, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩვენთან სასწავლებლად ჩამოსულმა ახალგაზრდებმა სამშობლოში დაბრუნებისას აქ შექმნილი ცოდნის საფუძველზე დაყრდნობით საქმიანობით საქართველოში უმაღლესი განათლების დონე და ხარისხი უნდა წარმოაჩინონ.

თამარ მასწავლებლის ერთ-ერთი ყოფილი სტუდენტი, ავსტრიელი ჭაბუკი ახლაც უგზავნის მას მადლიერებით აღსავსე წერილებს, თქვენი წყალობით მიღებული ცოდნა ძალიან მადგება საქმიანობაშიო, სწერს და ვენაში ეპატიჟება.

25-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორის, თამარ თურმანიძის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა სტუდენტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების მომზადება-გამოცემასაც მოიცავს. დღემდე მის მიერ მომზადებული და გამოცემულია

სამი სახელმძღვანელო — ორი ინგლისურ ენაზე, ერთი კი ქართულზე, მისი, როგორც ლექტორ-პედაგოგის მოღვაწეობასთან ერთად უთუოდ საკუთარ თავზე მუდმივად მუშაობა, სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისკენ, დარგის სიახლეების გაცნობა-ათვისებისკენ დაელო საფუძველად მის მიერ სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის — AMEE-ს ორი სერტიფიკატის მოპოვებას სამედიცინო განათლების ძირითადი უნარ-ჩვევების განხრით, ასევე ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩევას. სტუდენტების საკვარელ ლექტორს, თავადაც უყვარს ისინი, სწავლების პროცესში იმ ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობს, რომ გამზადებული ცოდნის უბრალოდ გადაცემა ნაკლებად ეფექტურია, სწავლება ცოდნის ერთობლივი შექმნის პროცესია და ამ პროცესში ლექტორს და სტუდენტს ერთნაირი დატვირთვა უნდა ჰქონდეთ. სტუდენტებთან ურთიერთობა ახალგაზრდულ სულს უნარჩუნებს, ამასთან „აიძულებს“ ყურადღებით აღევნოს თვალი სიახლეებს, სწავლების პროცესში სტუდენტებთან ურთიერთობაში გაითვალისწინოს თანამედროვე გამოწვევები, რაც თავის მხრივ მუდმივ პროფესიულ განვითარებას მოითხოვს, მისაღებად და აუცილებლად მიაჩნია ზოგადად უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, თუმცა არც წლების განმავლობაში არსებული ღირებულის დაუფიქრებლად უგულებელყოფას ემხრობა. სტუდენტებთან ურთიერთობისას არასდროს ავიწყდება, რომ სწავლება ცოდნის ერთობლივად შექმნის პროცესია და ამ პროცესში მასწავლებელს და მოსწავლეს, ლექტორს და



სტუდენტს ერთნაირი დატვირთვა უნდა ჰქონდეს.

ეს ძალზე მოკლეა, რაც შეეხება თამარ თურმანიძის პროფესიულ მოღვაწეობა-საქმიანობას და პიროვნულ თვისება-მახასიათებლებს, მის მიერ დღემდე გამოვლილ ცხოვრების გზას, მიღწეულ-ნაღვაწს ამ გზაზე, მაგრამ ის ხომ მეუღლეც არის და დედაც. მისი მეუღლე, სერგო დანელია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გახლავთ. ქალბატონი თამარი და ბატონი სერგო შვილებს სწავლა-განათლებისთვის, ყოველმხრივი განვითარებისთვის, დამოუკიდებელი აზროვნება-მოქმედებისთვის, ჭეშმარიტი ფასეულობების შექმნისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შექმნა-გამომუშავებაში დახმარებით ზრდიდნენ.

ამიტომაც იყო, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ორივე გრანტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. ნია ამჟამად კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესადმინისტრირების მესამე კურსის წარჩინებული სტუდენტია, თემური კი ჯავახიშვილის უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ფაკულტეტის პირველკურსელია. ეჭვი არ არის, რომ მათი სახით ჩვენი ქვეყანა ჭეშმარიტად გონიერ და განსწავლულ ახალგაზრდა სპეციალისტებს მიითვლის, ქალბატონ თამარს და ბატონ სერგოს კი ასეთი შვილების აღზრდისთვის უამრავი მადლობის მოსმენა მოუწევთ.



რუსთაველთა საფარელი ქალბატონი



რუსთავის მე-14 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ გენრიეტა აბესაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. შექნილი ცოდნის, უნარ-ჩვევების, შესაძლებლობებისა და მისწრაფებების რეალიზების ასპარეზად ახალგაზრდა მათემატიკოსისთვის განათლების სფერო იქცა. ენერგიული, საღად მოაზროვნე, საქვეყნო საქმის საკეთებლად შემართული ქალბატონი გენრიეტა წლების მანძილზე მოღვაწეობდა ქვემო ქართლის ოლქის სკოლების სამმართველოში, სადაც იყო მთავარი სპეციალისტი, იყო აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა მშობლიური ქალაქის სასიკეთოდ წარმოებულ საქმიანობაში და ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა პირუთვნელობით, მიზანსწრაფულობით, მაძიებელი ბუნებით, პასუხისმგებლობის შეგრძნებით, პრობლემის საჯაროდ წარმოჩენის და მის გადასაჭრელად საზოგადოების ამოძრავების უნარით.

ყმაწვილის მამულიშვილად, თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ, საზოგადოების დაფასებულ წევრად, განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში სკოლის, პედაგოგის უმნიშვნელოვანესი როლისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიწყო გენრიეტა აბესაძემ

ჰკითხეთ ნებისმიერ რუსთაველს, ახალგაზრდას თუ ხანდაზმულს, მამაკაცსა თუ მნადილოსანს, ქალბატონ გენრიეტა აბესაძეს თუ იცნობთო და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა გაკვირვებული და პირზე ლიმილმომდგარი გიჟასუხებთ, როგორ არ ვიცნობო და იმასაც დასძენს ჩვენს ქალაქში არ მოიძებნება ადამიანი, ვინც მას არ იცნობსო. იცნობენ, როგორ არ იცნობენ ღვანღმოსილ თანაქალაქელს, ძირძველ რუსთაველს, ის ხომ ბევრი მათგანის, ან მათი შვილების მასწავლებელი იყო ჯერ რუსთავის მე-17, შემდეგ კი 21-ე საშუალო სკოლაში, სადაც იგი წლების განმავლობაში იყო მათი ან მისი შვილების მასწავლებელი, მუშაობდა დირექტორად და მოსწავლეების, მათი მშობლების და კოლეგა პედაგოგების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. მოსწავლეებისთვის ის პირველ რიგში უფროსი მეგობარი იყო, რომელსაც კარგად ესმოდა მათი, რომელსაც ენდობოდნენ, რომლისთვისაც შექმლოთ გულწრფელად გაეზიარებინათ საკუთარი საფიქრალი, ესაუბრათ სამომავლო გეგმებზე, სურვილებსა თუ ნატვრაზე და მიეღოთ რჩევა, ეგრძნოთ თანადგომა, გულის სიღრმიდან წამოსული სიტბო?

მოღვაწეობა რუსთავის მე-19 საშუალო სკოლაში და ძალიან მალე დაიმსახურა მოსწავლეების ნდობა და სიყვარული, კოლეგა მასწავლებლების პატივისცემა და აღიარება. მოსწავლეებმა გულწრფელად შეიყვარეს სკოლის დირექტორი, შეიყვარეს იმიტომ, რომ მასში უწინარეს ყოვლისა დაინახეს გამგებიანი უფროსი მეგობარი, მათი სამყაროს დამნახველი, მათი სატკივარ-საფიქრალის, გატაცება-ინტერესების გაშხარებული, საიდუმლოს შემნახველი, მხარში მდგომი ადამიანი. ასე იყო მერე რუსთავის 21-ე საჯარო სკოლაშიც მისი დირექტორობისას. გოგო-ბიჭების ამგვარი დამოკიდებულება, მათ მიერ გამოცხადებული ნდობა ხალისისა და ენერგიას მატებდა, თუმცა იმავდროულად პასუხისმგებლობის გრძნობასაც უმძაფრებდა და მოღუწების უფლებას არ აძლევდა. მაშინაც, როცა რიგითი პედაგოგი იყო, როცა ქვემო ქართლის სკოლების სამმართველოში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა, როცა წლების განმავლობაში მშობლიური ქალაქის, რუსთავის მე-17, მერე კი 21-ე საშუალო სკოლას ხელმძღვანელობდა, ქალბატონი გენრიეტა თითოეული ბავშვის, მოზარდის სამყაროს დანახვის, მათი საფიქრალ-ნაფიქრალის წვდომის და თანა-

ზიარობის, მათი მხარში დგომის უნარით გამოირჩეოდა. ამიტომაც უყვარდა იგი ყველას – დიდსა თუ პატარას, ამიტომაც სცემდნენ პატივს, იმიტომაც მიიჩნევდნენ მეგობრად და მესაიდუმლედ მოსწავლეებიც და კოლეგა მასწავლებლებიც. მოგეხსენებათ, რიგით პედაგოგს და მით უმეტეს, ნებისმიერი საგანმანათლებლო-აღმზრდელლობით დაწესებულების ხელმძღვანელს, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და თუ არა სათანადო განათლება და რაც მთავარია, ბავშვებთან, მოზარდებთან ურთიერთობის ხელოვნების ფლობა, მათი ნდობისა და სიყვარულის დამსახურების, მათი საზრუნავ-საფიქრალის გაზიარების უნარი, მოთმინება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — კოლეგა პედაგოგების მიერ მისი, როგორც ხელმძღვანელის თვისება-ღირსებების პატივისცემა, მათი მხარში დგომა, მოსწავლეთა მშობლების ნდობა და პატივისცემა, სკოლის დირექტორს მისი წარმატებით მართვა გაუჭირდებოდა, იმაზე კი, რომ გენრიეტა აბესაძე წარმატებით მართავდა სკო-



ლას, მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თავის დროზე, მას შემდეგ რაც ქალბატონი გენრიეტა ქალაქ რუსთავის 21-ე საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში, მოსწავლეთა რაოდენობა ამ სასწავლო დაწესებულებაში საგრძნობლად, 1300-მდე გაიზარდა, მშობლებს ქალაქის დაშორებული რაიონებიდანაც კი მაინცდამაინც ამ სკოლაში დაჰყავდათ შვილები. ენერგიული, პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობით და შეუმცდარი პედაგოგიური ალღოთი გამორჩეული დირექტორის და მის მხარში მდგომი პედაგოგიკტივის ძალისხმევით სკოლაში საგრძნობლად ამაღლდა სწავლების დონე, აკადემიური მოსწრება, ამა თუ იმ მიზეზით გაკვეთილებზე დაგვიანებულ მოსწავლეებს სხვა სკოლებისგან განსხვავებით აქ კი არ ტუქსავდნენ და სჯიდნენ, იმპროვიზებულ გაკვეთილებს უტარებდნენ; შინაარსიანი და მიზანმიმართული ხასიათი შეიძინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დღეებმა. 21-ე სკოლის მოსწავლეები როგორც წესი, საუკეთესო შედეგებს აღწევდნენ ყოველწლიური საქალაქო ფესტივალის „ეარის“ ჩარჩოებში გამართულ კონკურსში, მარჯვობდნენ საქალაქო სპორტულ შეჯიბრებებშიც. დირექტორი არც სკოლის პედაგოგებს აკლებდა ყურადღებას და ზრუნვას, ყოველთვის უწყობდა ხელს მათ პროფესიულ ზრდა-განვითარებაში. სკოლაში ნაყოფიერად მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი, ამგვარი ზრუნვისა და ხელშეწყობის პირობებში სკოლის პედაგოგიკტივის წევრები მაღალი პასუხისმგებლობის გათავისებით მონაწილეობდნენ და იმარჯვებდნენ სხვადასხვა სახის პროექტებსა და კონკურსებში.

განათლების დეველოპოსილ მუშაკს, მათემატიკის სერტიფიცირებულ პედაგოგს, თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის მენეჯერს გენრიეტა აბესაძეს უამრავ საფიქრალ-საზრუნავს შორის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად განათლების ხარისხისა და დონის ამაღლება მიანია, რადგან დარწმუნებულია, რომ სწორედ განათლებაა ის ქვაკუთხედი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის საფუძველს წარმოადგენს, ამ საფუძვლის მომზადებაში კი მისი აზრით, უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მამაკაცი მასწავლებლები, რომელთა ნაკლებობა



ჩვენს განათლების სისტემაში, განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო რგოლში შეინიშნება.

ქალბატონ გენრიეტას მიანია, რომ „ვალს“ ახლობლების წინაშე ქალები ყველა ასაკში იხდიან, ამიტომაც ქალს სჭირდება აზრობრივი კომპასი, რათა გზა სწორად გაიგნოს. არცთუ იშვიათად ქალს მოუწოდებენ დათმოს იქ, სადაც წესით, არ უნდა დათმოს. ქალს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ საზოგადოებრივ საქმიანობას, პროფესიას გადაჰყვანს და „შვილები მიგდებული ჰყავს“. ამგვარი საყვედური დედისათვის ძალიან მტკივნეულია.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებამ მეტად უნდა შეუწყოს ხელი ქალებს, შეუქმნას შესაბამისი პირობები იმისათვის, რომ ისინი წარმატებულები იყვნენ სამსახურში, ბედნიერები და დაფასებულები ოჯახში.

ქალბატონი გენრიეტას საფიქრალ-საზრუნავის არეში სხვა საკითხებთან ერთად ის მოთხოვნაცაა, რომელსაც საზოგადოება ქალს უყენებს – იყოს ემოციურად მზრუნველი მეორე ადამიანზე.

გენრიეტა აბესაძე ორი შვილის, სასახელო მამულიშვილების, ზურაბ და ეკა გორდენიანების მზრუნველი დედა და უპირველესი მეგობარია.

გულთკავთ!



ჩვენ, პროფესიონალ ქალთა ასოციაციის „100 ქართველი ქალი“ წევრები, ვამაყობთ, რომ ჩვენი საზოგადოების სათავეში წლების მანძილზე მდგომი ქალბატონები წარმატებულ პროფესიულ საქმიანობასაც ეწევიან და იმავედროულად მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვეტ ქვეყნის, ხალხის სასიკეთო საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწორედ ამ წარმატებული, ნაყოფიერი საქმიანობისთვის მიენიჭა ამას წინათ ჩვენი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს, თსუს-ს კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ **ლია კიკალიშვილს** საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის წოდება.



ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, ამავე უნივერსიტეტის სენატის წევრი, სრული პროფესორი ქალბატონ **ნაზი კუციავა** ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოვდა „ოქროს მედლით“.



ძარიან, ძარიან ბერნიეხი აქამიანი



თუ ადამიანი ახალგაზრდობაშივე ამოიცნობს და სწორად განჭვრეტს საკუთარ მისია-დანიშნულებას, საკუთარი უნარ-შესაძლებლობების გაცნობიერებით და თავის დანიშნულებასთან მათი გონივრული მისადაგებით განსაზღვრავს, შემოხაზავს მომავალი მოღვაწეობის არეალს, თავისი საქმიანობით ის საკუთარ ქვეყანას და ხალხს სარგებლობას მოუტანს, თვითონ კი მოტივირებული და ბედნიერი იქნება. ამ მოსაზრების მართებულობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის თამარ ჩაჩანიძის მაგალითიც ადასტურებს.

ცოდნის შექმნაზე, მის გამდიდრება-გამრავალფეროვნებაზე მუდმივი ზრუნვისა და საქვეყნო საქმისთვის, ხალხის სასიკეთოდ გამოყენების მაგალითი ჩვენი ნარკვევის გმირისა და მისი ორივე დისთვის, ნინოსა და ნანასთვის, იმთავითვე საკუთარი მშობლები, დედა, ჩინებული ექიმი-ლოგოპედი ლალი ზანგალაძე და მამა, აკადემიკოსი, პროფესორი გურამ ჩაჩანიძე არიან. წარმატების მიღწევის ფორმულის საიდუმლოებასაც მშობლების მაგალითზე ეხიარა და ადრევე გააცნობიერა, რომ ეს საიდუმლო გულმოდგინებაში, მიზანსწრაფულობაში, თვითსრულყოფაზე მუდმივ ზრუნვა-სა და დაუნარელ შრომაშია. ამავე ჭეშმარიტებებზე ორიენტირებით ზრდიან თავიანთ ოთხ შვილს – ნინოს, დავითს, საბას და მარიამს – თამარ ჩაჩანიძე და მისი მეუღლე, თბილისის ონკოლოგიური დისპანსერის ქირურგიული დეპარტამენტის უფროსი, ცნობილი ზოგადი და ონკოქირურგი გიორგი კორახაშვილი. ამას წინათ თამარ ჩაჩანიძის ვებგვერდზე კომპიუტერში გულის სიღრმიდან აღმოჩენილი სიტყვები გაჩნდა: „მე ყველაზე ყველაზე, ყველაზე საუკეთესო მშობლების შვილი ვარ!“ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სულ მალე იგივეს ამცნობს საზოგადოებას ქალბატონი თამარის და ბატონი გიორგის ოთხივე შვილი.

თამარმა თბილისის ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 სკოლის დამთავრების შემდეგ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი დაამთავრა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობა-

თა განხრით. ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტი იყო, ინვალიდ მეომართა კავშირში რომ დაიწყო მუშაობა საინფორმაციო-ტექნიკური სამსახურის უფროსად, ომის მონაწილე ჩვენს მეომრებს, ვეტერანებს რეაბილიტაციაში ეხმარებოდა, აქტიურად მონაწილეობდა ამ მიმართულებით კონფერენციების გამართვა-მუშაობაში (თავისი საქმიანობის ფარგლებში ჩვენთვისაც მოუხდა ყოფნა), სამი წელი იმუშავა ამ პოზიციაზე, მერე კი ერთხანს შპს „ომეგაში“ მუშაობდა, მოგვიანებით წარმატებით გაიარა კონკურსი საკრედიტო ექსპერტის პოზიციაზე და „პროკრედიტ ბანკში“ ამ პოზიციაზე დაიწყო მუშაობა, ერთხანს ბანკ „რესპუბლიკის“ ფილიალშიც იმუშავა საკრედიტო განყოფილების უფროსად. ყველაგან და ყოველთვის, ნები-სმიერ პოზიციასა თუ თანამდებობაზე მუშაობისას მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, კომპეტენტურობითა და შემართებით, ცოდნა-უნარების სრულყოფა-დახვეწაზე, სიახლეების დანერგვაზე მუდმივი ზრუნვით გამოირჩეოდა. ამასობაში დაოჯახდა, სამედიცინო დარგის ცნობილი სპეციალისტის, გიორგი კორახაშვილის მეუღლე გახდა და მასთან ერთად სიყვარულზე, ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ოჯახი შექმნა, ამის შემდეგ ერთხანს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ალიანსჯგუფში“ მუშაობდა საკრედიტო დირექტორად. ამასობაში ჯერ ერთი, მერე კი მეორე შვილის დედაც გახდა და რადგან შესაბამისად ოჯახმა მისგან მეტი დრო და ყურადღება მოითხოვა, სამუშაო ადგილის შეცვლა გადაწყვიტა. ზოგადი სახით მომავალი საქმიანობის სფეროც მოხაზა, სფერო, რომელზეც ბავშვობიდან ოცნებობდა, საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის კი ლექტორანტურაში გამოცდების ჩაბარება ჩათვალა საჭიროდ.

გამოხდა ხანი და განათლების, ანუ იმ სფეროში დაიწყო მოღვაწეობა, რომელშიც თავისი რწმენით, საკუთარი შესაძლებლობების, უნარ-ჩვევების და ცოდნა-გამოცდილების რეალიზებასაც შეძლებდა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში თავის წვლილსაც შეიტანდა. 2017 წლიდან მოყოლებული თამარ ჩაჩანიძე დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს, მოგვიანებით მან ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც დაიწყო ლექციების კითხვა. სტუდენტებს უყვართ იგი, პატივს სცემენ მას, სჯერათ მისი, მასში მცოდნე, მოაზროვნე ლექტორის გარდა, მათზე მზრუნველ მეგობარს და თანამოაზრესაც ხედავენ, ეს კი ძალიან ეხმარება თამარ ჩაჩანიძეს სპეციალური ცოდნის გარდა, ჭეშმარიტ ადამიანურ ფასეულობებსაც აზიაროს ახალგაზრდები, რომლებმაც ხვალ-ზეგ ქვეყნის ბედი უნდა ჩაიბარონ, უმაღლეს სასწავლებელში შექმნილი ცოდნით და სტუდენტობის წლებშივე გაცნობიერებული ჭეშმარიტებით იხელმძღვანელონ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის გარჯა-შრომაში. აუდიტორიაში ახალგაზრდა ლექტორი ნინო ჩაჩანიძე საკუთარი მოვალეობის, იმ მისიის მნიშვნელობის გაცნობიერებით შედის, რომელიც მან, როგორც ლექტორმა იდო თავს და რომ მასზე დიდწილად არის დამოკიდებული, რა გზას აირჩევენ, როგორ გამოიყენებენ სტუდენტობის წლებში შექმნილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს ეს ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც მისი დახმარებით უნდა მოიწადონ საქმიანობა-მოღვაწეობის საძირკველი. ამის გაცნობიერება პასუხისმგებლობის გრძნობასაც უძლიერებს და ცოდნის გამდიდრება-გადრმავეებაზე მუდმივ ზრუნვასაც კარნახობს.

ანა გააღიშვილი



გოზარდებთან ურთიერთობის ხელოვნების მოსწავლე

ნათქვამია, ვინც შეგირდი არ ყოფილა, ოსტატი ვერასოდეს გახდება. ამ ბრძნული გამონათქვამის მართებულობას ადასტურებს ინგა თოლორაიას მაგალითიც, რომელმაც საინტერესო გზა გაიარა შეგირდობიდან ოსტატობამდე. ახლა იგი თვითონ სრულყოფილებამდე ფლობს მოზარდებთან ურთიერთობის ხელოვნებას.

„ევროპულ სკოლაში“ ის პროფესიულად სრულყოფილ, მოტივირებულ თანამედროვე აღმზრდელად ჩამოყალიბდა, რომელიც ყველაფერთან ერთად იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ თანამედროვე სკოლა წარმოდგენილია მშობლის ჩართულობის გარეშე და ამიტომაც ჩინებულად თანამშრომლობს მათთან.



ბუნებით კეთილი და გულისხმიერი ახალგაზრდა პედაგოგი უშურველად ახმარს მოსწავლეებს თავის ცოდნას და უნარს, მშვიდი რჩევა-დარიგებით, ზოგჯერ კი მკაცრი სიტყვებითაც ასწავლის და ისინიც უფასებენ ამ სიყვარულსა და ზრუნვას.

მოსწავლეების საყვარელი მასწავლებელი კოლეგებსაც უყვართ, „ევროპულ სკოლაში“ ახალგაზრდა პედაგოგს უფროსი კოლეგებიც პატივს სცემენ და მასავით ახალგაზრდებიც. ინგა თოლორაია ძალიან აფასებს ამგვარ დამოკიდებულებას, ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე, ეძებს ახალ მიდგომებს, მუდმივად ზრუნავს ცოდნის გამდიდრებაზე, ეს კი მოგვხსენებთ, საქმის მცოდნე, კვალიფიციური სპეციალისტის ნებისმიერ სფეროში წარმატების ერთ-ერთ

თი მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქმის მცოდნე, საკუთარ პროფესიულ ზრდა-სრულყოფაზე მზრუნველი სპეციალისტი ადვილი საპოვნელი როდია, რადგან მის ჩამოყალიბებას თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული საქმიანობაც სჭირდება, პრაქტიკა კი, მოგვხსენებთ, დროს მოითხოვს, ამიტომ, თუკი ამის საშუალება არსებობს, კადრების აღზრდა თავად ამა თუ იმ სფეროს წიაღში უნდა დაიწყოს.

სწორედ ასე მოხდა ევროპულ სკოლაში. ახლად კურსდამთავრებული სტუდენტი, ინგა თოლორაია სკოლის გახსნისთანავე მოვიდა და დამაჯერებლად გაიმარჯვა ასისტენტების შესარჩევ კონკურსში. ახალგაზრდა მასწავლებელი ერთ-ერთი კლასის ასისტენტად დაინიშნა. დღეს იგი სიამოვნებით, პირიმილ-



საინტერესო პროექტი და ღონისძიება დაეხმარა და ყოველი მათგანი რაღაცას მატებდა, პირველ რიგში საკუთარი თავის რწმენას და პროფესიის არჩევისას გადადგმული ნაბიჯის მართებულობაში არწმუნებდა. გამოხდა ხანი და ინგა თოლორაიას სკოლის ორგანიზატორის მოვალეობა დაეკისრა. ამ პოზიციაზე ახალგაზრდა პედაგოგს საფიქრალ-საზრუნავთან ერთად პასუხისმგებლობაც მოემატა, ამიერიდან მას სერიოზულად უნდა ემუშავა მოსწავლეთა პარლამენტთან, მოსწავლეებთან ერთად მიეღო მონაწილეობა მათი მუშაობის დაგეგმვაში. მოსწავლეების ყველა საინტერესო წამოწყება აუცილებლად სრულდებოდა, ინგა მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად დიდ სიამოვნებას ანიჭებს გაჭირვებული და მარტოხელა ადამიანების დახმარება, საქველმოქმედო საქმიანობა და ბევრი სხვა სასარგებლო აქტივობა.

დღეს მოსწავლეების საყვარელი მასწავლებელი ინგა თოლორაია „ევროპული სკოლის“ დაწყებითი და საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესის კოორდინატორია ქართულ პროგრამაში.

იანი იხსენებს, როგორ სწავლობდა მთელი წლის განმავლობაში, როგორ აკვირდებოდა გამოცდილი მასწავლებლების მუშაობას, როგორ ცდილობდა იმ პრობლემების დაძლევა, ბავშვებთან ურთიერთობისას არცთუ იშვიათად რომ იჩენდა თავს და თანდათან უნდებოდა იმის რწმენა, რომ მომავალში შეძლებდა მათი ნამდვილი მეგობარი და დამრიგებელი გამხდარიყო. ამაში ახალგაზრდა მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად მომზადებული და განხორციელებული მრავალი



მისი წარმატების ფორმულა



როგორც ნესი, ადამიანის მიერ საქმიანობის სფეროს არჩევას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის ინტერესები, უნარ-შესაძლებლობები, მოტივაცია, ღირებულებები, ოჯახი, ამა თუ იმ დარგში მოღვაწე პიროვნების პირადი მაგალითი. მაია ბალახაშვილის შემთხვევაშიც სწორედ ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს მომავალი საქმიანობის სფერო, თუმცა გადამწყვეტი მათგან მაინც ინტერესები და უნარები გამოდგა.

დაბა ადიგენის საშუალო სკოლაში სწავლისას ქიმიისადმი განსაკუთრებული ინტერესი, გონიერ და ბეჯით ქალიშვილს, ამ საგნის მასწავლებელმა, ქალბატონმა ციალა ყვავაძემაც შეამჩნია და როცა გაიგო, რომ მისი საყვარელი მოსწავლე სწორედ ქიმიის მიმართულებით აპირებდა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას, არჩევანიც მოუწონა და გზაც დაულოცა, წარმატება უსურვა არჩეულ სფეროში საქმიანობაში. გაუმართლა მაიამ იმედები საკუთარ მშობლებსაც და ციალა მასწავლებელსაც. ისე, რომ არც კერძო გვეთილებზე უვლია რომელიმე იმ საგნის მასწავლებელთან, რომელშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე ჩასარიცხად გამოცდა უნდა ჩაებარებინა, წარდგა მისაღებ გამოცდებზე და გონიერების, მიზანსწრაფულობის, სკოლის წლებში მიღებული საფუძვლიანი ცოდნის წყალობით შეძლო არცთუ ადვილ საკონკურსო პირობებში მაღალი ქულები დაეგროვებინა, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარიყო და კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგიის შესწავლას შესდგომოდა. გონიერება, მიზანდასახულობა, მუყაითობა, მიღწეულით დაუკმაყო-

ფილებლობა, ყოველდღიური მუშაობა საკუთარ თავზე, მუდმივი წინსწრაფვა და ზრუნვა თეორიული ცოდნის გამდიდრება-გაღრმავებაზე დაედო საფუძვლად მის მიერ წინ გადადგმულ ყოველ მომდევნო ნაბიჯს. კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგია, ექსპერტიზა, დიზაინი — ამ საკითხებზე მუშაობის შედეგის მაღალი ხარისხის საუკეთესო დამადასტურებელი ბაკალავრიატის წარჩინებული დიპლომი გახდა. ორი წლის შემდეგ ამ დიპლომის გვერდით კიდევ ერთი დიპლომი დაიდო — ამჯერად მაგისტრატურის. წარმატებული აღმოჩნდა ახალგაზრდა მეცნიერის პროფესიული აღმასვლის შემდეგ საფეხურიც. სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგიის საკითხებზე მუშაობა ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოპოვებით დაგვირგვინდა.

როგორც თავად ამბობს, ბიონანოსამედიცინო, კერამიკული და პოლიმერული კომპოზიტების ტექნოლოგია, ინსპექცია, კონტროლი მიმართულების, ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, სტუ-ს ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრის მეცნიერ ხელმძღვანელმა, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ-

მა პროფესორმა ზვიად კოვზირიძემ და მისმა სამეცნიერო გუნდმა ამავე მიმართულებაზე მუშაობის საშუალება მისცეს. დამოუკიდებლად მუშაობამ და სამეცნიერო კვლევებმა, მიზანდასახულობა და დამოუკიდებელი მეცნიერული ჩვევები გამოუმუშავა. მაია აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციებში, გამოაქვეყნა არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი. შექმნილი სამუშაო გამოცდილება მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სამუშაოს.

ყველაფერთან ერთად, მაია წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში, მათ შორის საუნივერსიტეტო, ასევე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელშიც



ძირითადი შემსრულებელი გახლდათ (პროექტი საგრანტო ხელშეკრულება № AR/102/3-121/14, ახალი მაღალცეცხლგამძლე მასალების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება ცემენტისა და მეტალურგიული ღუმელების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის (პროექტის ხელმძღვანელი ნათელა ნიჟარაძე). პროექტის საგრანტო ხელშეკრულება FR_18-4976 კობალტის ფუძიანი თერმოელექტრიკების ფუნქციონალური თვისებების დახვეწა ღობირებითა და მაღალენერგეტიკული გადაფქვით (ხელმძღვანელი ნიკოლოზ მარგაიანი). ახალგაზრდა მეცნ-

ველზეც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის გრანტის კონკურსში გამარჯვებული პროექტის მონაწილე გახდა. იმავე წელს გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში შიფრით: SP-2-21-565 „მეცხოზის ფიზიკა და კინეტიკა“ (კოორდინატორი, ხელმძღვანელი ზვიად კოვირიძე).

ახალგაზრდა მეცნიერმა კოლეგებთან ერთად შეისწავლა საქართველოში არსებული სამი საბადოს: აბანოს, სკურის და მუხურის დოლო-

სტიტუტის სპეციალისტის პოზიცია იყო, მოკლე ხანში შრომისმოყვარეობით და მიზანდასახულობით გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის „ბიონანოკერამიკის და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის“ ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის მე-2 კატეგორიის უმცროსი სპეციალისტია. ორი წლის განმავლობაში იყო საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის „ახალი მაღალცეცხლგამძლე მასალების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება ცემენტისა და მეტალურგიული ღუმელების მაღალტემპერატურული ზონების ამონაგისათვის“ (პროექტის ხელმძღვანელი ნათელა ნიჟარაძე) ძირითადი შემსრულებელი, 21 სამეცნიერო სტატიის ავტორს 35 კონფერენციაში, კონგრესსა თუ სიმპოზიუმში აქვს მონაწილეობა მიღებული.

სადღეისოდ თავის მთავარ მიზანს და ამოცანას მათა ასე აყალიბებს: პერიკლავ-ალიტური მაღალცეცხლგამძლე ნაკეთობების მისაღებად შედარებით იაფი ნედლეულის ქროლის საბადოს ქვიშის და მაგნეზიტიური აგურის ნარჩენების გამოყენება, უფრო მაღალი ცეცხლგამძლეობის, დარბილების დაწყების ტემპერატურის და ქიმიური მედეგობის მქონე ცეცხლგამძლე მასალის მიღება, ნედლეულის ბაზის გაფართოება.

საკუთარ მიღწევა-წარმატებებზე, დღემდე გამოვლილ გზაზე რომ საუბრობს, ახალგაზრდა მეცნიერი დიდი მადლიერებით აღნიშნავს თავისი მასწავლებლების და დამკვალიანებლების, დარგის გამორჩეული მეცნიერების, ასოცირებული პროფესორის გულიკო ტაბატაძის და პროფესორ ნათელა ნიჟარაძის ხელშეწყობას და ზრუნვას და ცდილობს ყველგან და ყველაფერში მათი ღირსეული მოსწავლე იყოს.

ნელი კალანაძე



იერი ჩართული იყო CARYS-ს ორ პროექტში, ესენია CARYS-19-675 კალციუმის კობალტის საფუძველზე მაღალეფექტური თერმოელექტრული მასალების შემუშავება ღობირებითა და ნანოინჟინერიით (პროექტის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მარგაიანი) და ნარჩენი პოლიმერებისა და საქართველოს მინერალების საფუძველზე მაღალი საქესპლოატაციო თვისებების მქონე პოლიმერული კომპოზიტების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება, ნაკეთობათა საცდელი ნიმუშების დამზადება (CARYS-19-2692 პროექტის ხელმძღვანელი ჯიმშერ ანელი). შექმნილმა ცოდნამ და გამოცდილებამ საშუალება მისცა დამოუკიდებლად წარემართა შემდგომი კვლევები, რომელთა საფუძ-

მიტები, წნელისისა და საჩხერის სერპენტინიტები. ჩატარებული ლაბორატორიული კვლევებით მიღებულ იქნა დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერი მაღალცეცხლგამძლე და მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით.

ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კოპერენტული ოპტიკისა და ელექტრონიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელიც გახდა. პროფესიული აღმასვლის შემდეგი საფეხური, სტუ-ს ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის ინ-



წარმატება მიზანდასახულობას და შრომას მოაქვს



ნინო დარახველიძე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის წლებშივე გამოიჩინა გულმოდგინებით, გონიერებით და შრომისმოყვარეობით, მომავალი პროფესიული საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის საფუძველს მიზანდასახული ქალიშვილი სტუდენტობის პერიოდში იმზადებდა. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიარა ახალგაზრდა მეცნიერმა თანმიმდევრობით კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგიის მიმართულებით ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სრული კურსი.

ბაკალავრიატში სწავლის პერიოდში პრეზიდენტის სტიპენდიატი იყო, წარჩინებით სწავლის პარალელურად კი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. როგორც სტუდენტური თვითმმართველობის წევრი აქტიურად მონაწილეობდა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მომზადება-ჩატარებაში. 2010 წელს კომპოზიციური მასალებისა და ნაკეთობების ტექნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა, ბატონმა ზვიად კოჭიერიძემ და მისმა სამეცნიერო გუნდმა ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას ამავე მიმართულებაზე მუშაობის და შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების საშუალება მისცეს. ერთი წლის შემდეგ ნინო მაგისტრანტი გახდა. მისი სამაგისტრო ნაშრომის თემა ასეთი იყო: „მაღალი სიმძლავრის კერამიკული კომპოზიტების მიღება SiC-Al₂O₃ სისტემაში“. თეორიულ ცოდნასთან ერთად ახალგაზრდა მეცნიერს კვლევითი მუშაობის პროცესში შექმნილი გამოცდილებაც დაეხმარა და მისი სადოქტორო ნაშრომი „SiAl-O-N სისტემაში მაღალცეცხლგამძლე კომპოზიტების მიღება და თვისებების შესწავლა“ ერთხმად იქნა აღიარებული მნიშვნელოვან მიღწევად. გამოცდილება და პროფესიული უნარები ძალიან დაეხმარა ნინოს ექსპერიმენტის დამოუკიდებლად დაგეგმვაში, პრობლემების გადაჭრასა და კვლევების მაღალ დონეზე წარმოებაში. სწორედ გამოცდილება და გამძლირებული ცოდნა დაედო საფუძველად მის შემდგომ წინსვლა-წარმატებებს, ამის გამოხატულება გახდა მისი გამარჯვება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში თემით „VS-18-077 მრავალფუნქციური კერამიკული კომპოზიციური მასალების მიღება „B-სი-ალონურ მატრიცაზე, იაფი ნედლეულით და გამარტივებული ტექნოლოგიით“.

ახალგაზრდა ქართველი მეცნიერ-ქიმიკოსის არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებულია სხვადასხვა ადგილობრივ და მაღალრეფერირებად ჟურნალებში. ნინო მონოგრაფიის „სიალიონური და მცირეკოლფერამიანი კომპოზიციური მასალები“ თანავტორია, მას არა ერთ ადგილობრივ და 20-მდე საერთაშორისო კონფერენციაში აქვს მონაწილეობა მიღებული. მთავარი კი ახალგაზრდა მეცნიერისთვის სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა იყო. ამჟა-

მდ იგი ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის ფარგლებში მონაწილეობს Horizon 2020-ის პროექტში „მძლავრი ელექტრომაგნიტური და თერმული თვისებების მქონე მრავალფუნქციური ნანოკომპოზიტები გრაფენის ფუძეზე 3D ბეჭდვისათვის“.

ნინო დარახველიძის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება მასალათა ტექნოლოგიაა, სწორედ ამ მიმართულებით აგრძელებს იგი მუშაობას მისი სამეცნიერო გუნდის მიერ მოპოვებულ ფუნდამენტურ გრანტში ქალბატონ ნათელა ნიჟარაძის ხელმძღვანელობით. მრავალფუნქციური ნანოკომპოზიტების მიღება ჟანგბადიანი და უჟანგბადო ნაერთების ბაზაზე ასეთი ნაერთების ძნელად ან არათავსებადობის გამო საერთაშორისო მასშტაბით პრობლემას წარმოადგენს. ნინო დარახველიძის და მისი თანამოსამქმეების მიერ შემუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიის საშუალებით მიღებული იქნა მრავალკომპონენტური გაუმჯობესებული სტრუქტურის ნანოკომპოზიტები მაღალი საექსპლოატაციო თვისებებით ტექნიკის სხვადასხვა საპასუხისმგებლო დარგებისათვის B4C-TiC-SiC-SiAlON-ნაწილობრივი ბოჭკო-AL₂O₃ სისტემაში. ამ ნანოკომპოზიტების სამეცნიერო ღირებულება გამოიხატება მათ მაღალ საექსპლოატაციო თვისებებში, რომლებიც სტრუქტურათა ურთიერთგაუმჯობესების ხარჯზე მიიღება, რასაც შედეგად პროდუქტის კონსოლიდაციის მაღალი ხარისხი მოაქვს, ეს კი მიღებული პროდუქტის ტექნიკის ისეთ საპასუხისმგებლო დარგებში პრაქტიკულად გამოყენების საშუალებას იძლევა, როგორცაა: ბირთვული და რაკეტულ-კოსმოსური ტექნოლოგიები, ტურბინების დისკები და ფრთები, მაღალტემპერატურული და ცვეთამდეგი კვანძები. მიღებული მრავალფუნქციური მასალებისათვის სამუშაო ტემპერატურა 1600-1700 C გრადუსია, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თვისებების გაუარესების გარეშე. ახალგაზრდა მეცნიერის, ნინო დარახველიძის სახით ამ გუნდმა წარმატებული სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის საჭირო თვისებებით, უნარ-ჩვევებით, ცოდნის მარაგით და მიზანდასახულობით გამორჩეული წევრი მიითვალა. მის უფროს კოლეგებს, ყველას, ვინც იცნობს მის საქმიან თვისებებს, იცნობს მისი შრომისმოყვარეობის, მიზანსწრაფული საქმიანობის შედეგს, სჯერა, რომ ახალგაზრდა მეცნიერი კიდევ არა ერთ წარმატებას მიაღწევს და თავის წვლილს შეიტანს იმ დარგის წინსვლა-განვითარებაში, რომელიც მან სამოღვაწეოდ აირჩია.



სიმღერის სიყვარულით

სიმღერა ზანდა ბერულავას ბავშვობიდან უყვარდა, იგი ახლაც დიმილით იხსენებს, როგორ ჩამოჯდებოდა ხოლმე სკოლის კიბეზე და გატაცებით მღეროდა იმხანად ძალზე პოპულარულ სიმღერას სოსელის სიტყვებზე „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“... განსაკუთრებული ყურადღება სიმღერის სიყვარულით და გამორჩეული მუსიკალური ნიჭით ზალისიანმა გოგონამ ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლაში სწავლისას მიიპყრო. მოსწავლეთა შემოქმედებით ოლიმპიადაზე შესრულებული ს. ცინცაძის რომანსით „შემოდგომის ნისლია“. წარჩინებული მოსწავლე იყო, საშუალო სკოლა მედალზე დაამთავრა და ნაოცნებარი მომავლის რეალობად გადასაქცევად მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს მიაშურა. სასწავლებელი ნიჭიერმა ქალიშვილმა ორი — საფორტეპიანო და ვოკალური სპეციალობით დაამთავრა.

ნიჭიერ, შრომისმოყვარე და მიზანდასახულ ქალიშვილში პედაგოგებმა მომავალი წარმატებული ვოკალისტი დაინახეს და ყველანაირად უწყობდნენ ხელს. განსაკუთრებული მაღლიერებით იხსენებს ქალბატონი ზანდა საყვარელ პედაგოგებს დალი გელოვანსა და ალექსანდრე მამუკელაშვილს, სწორედ მათი ხელმძღვანელობით მომზადდა და გაიმართა მომავალი წარმატებული საოპერო მომღერლის პირველი სოლოკონცერტი, სამუსიკო სასწავლებლის შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, სადაც იგი სამგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს სახალხო არტისტის ვერა დავილოვა-მჭედლიძის კლასში ეუფლებოდა ვოკალის ხელოვნებას, მონაწილეობდა კონცერტებში და საოპერო სცენაზე მოღვაწეობისთვის ემზადებოდა, იმავდროულად კონსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაშიც იყო ჩართული. წარჩინებული სწავლისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ნიჭიერი ქა-

ლიშვილი განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდა.

თუმცა კი გულმოდგინედ ემზადებოდა და კონსერვატორიაში მისი მასწავლებლები, პროფესორები ვერა დავილოვა და ტატიანა დუნენკო ამშვიდებდნენ, მაინც ნერვიულობდა — ის ხომ მშობლიურ ქალაქში უნდა წარმდგარიყო სოლოკონცერტით. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. იმ დღიდან მოყოლებული, ახალგაზრდა მომღერალმა, ზანდა ბერულავამ, როგორც ჩინებულმა დრამატულმა სოპრანომ თამამად დაიმკვიდრა ადგილი ქუთაისის საოპერო თეატრის დასში და წლების მანძილზე წარმატებით ასრულებდა სოპრანოს ყველა წამყვან პარტიას, მათ შორის ტოსკას და სანტუცას ურთულეს პარტიებს, ქართველი, რუსი და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ღირსეულ პარტნიორობას უწევდა საყოველთაოდ ცნობილ მომღერლებს ზურაბ ანჯაფარიძეს, ზურაბ სოტკილაკას, ვლ. პიავკოს. ეს სახელგანთქმული ხელოვანები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქალბატონი ზანდას ლამაზი ტემპრის ვოკალსაც და არტისტიზმსაც, დიდად აფასებდნენ მას ჩვენი ცნობილი ღირიჟორებიც დ. მირცხულავა, ო. დიმიტრიადი, თ. კობახიძე, გ. ჟორდანიას, ო. ხურცილავა. ოც წელზე მეტი ატკობდა ოპერის ქართველ მოყვარულებს ზანდა ბერულავა თავისი მშვენიერი ვოკალითა და სამსახიობო ხელოვნებით, რომლებმაც მას საქართველოს დამსახურებული არტისტის, თეატრის ამადარის წოდებები, ღირსების ორდენი და რაც მთავარია, საოპერო ხელოვნების მოყვარულებისა და დამფასებლების აღიარება და პატივისცემა, მშობლიური ქალაქის საზოგადოება „ქუთაისელის“ საპატიო წევრის წოდება და თანაქალაქელთა დიდი პატივისცემა მოუტანეს.

თითქოს ასეთი წარმატებული კარიერის მქონე, დაფასებული ხე-



ლოვანი ბედნიერი უნდა იყოს და როგორც ხელოვანი ქალბატონი ზანდა, მართლაც ბედნიერია, მაგრამ როგორც დედა, გულანთებული პატრიოტის, გიორგი აბაშიძის დედა, იგი სვედამწარებული მშობელია.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ტამიშის ბრძოლების მონაწილე გია აბაშიძემ პატრიარქის დავალებით აქტიური მონაწილეობა მიიღო იმერეთის ბოლო მეფის, სოლომონ II ნეშტის თურქეთიდან საქართველოში ჩამოსვენებაში. სანიმუშო მამულიშვილი გიორგი აბაშიძე, თუმცა კი წლების მანძილზე ვაჟკაცურად ებრძოდა ავადმყოფობას, მაგრამ საბოლოოდ ამ ბრძოლაში დამარცხდა და გაუნელებელი ტკივილი დაუტოვა დედას. დღესაც ჩაესმის ქალბატონ ზანდას შვილის უკანასკნელი სიტყვები: „დედა, საქართველო ყველაფერს გადალახავს, გაიმარჯვებს, მე მჯერა“. გულმკვდარ დედას გაუნელებელ ტკივილთან გამკლავებაში ნაცნობ-მეგობრების, მისი ხელოვნების დამფასებლების თანადგომა და პატივისცემა, მისი შვილის სათაყვანებელი სამშობლოს უკეთესი მომავლის რწმენა ეხმარება.



ჩაჭახილი ხილი აუცილებლად აღდგება

„ისე დაგბრუნდებით, მჯერა, აფხაზეთში, ისე იზეიმებს ჩვენი საქართველო! დმერთო, გვედრები, მიწა დაგვიბრუნე, მტერი ჩვენს მიწაზე აღარ გაახარო!“

ლიბა კაშიაძე

ამ სიტყვებით იწყება ყოველი დღე სოხუმელი ქალბატონის ციალა ნებიერიძის ოჯახში. მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა იმ ტრაგიკული დღეებიდან, მშობლიური კუთხის მონატრება კი ისევე უსახლვროა, აფხაზეთი ისევე მოუშუშებელ იარაღ რჩება ქალბატონი ციალასათვის...

ქალბატონი ციალა სოხუმში დაიბადა, სადაც გაატარა მთელი შეგნებული ცხოვრება, იქ დარჩა მისი მოგონებები, დარჩნენ ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები: ც. ანცაბაძე, მ. არსალია, ლ. ავიძბა, ე. სარსალია და სხვ. უჭირს იმ დღეების გახსენება. ბებიით აფხაზს ვერ წარმოედგინა თუ მშობლიურ ქალაქში უახლოესი ნათესავები გაიმეტებდნენ. ომის დაწყების პირველ დღეებში ვერცკი აცნობიერებდა თავს დამტყდარ უბედურებას, მაგრამ როდესაც მის მეუღლეს, თამაზ ქასრაშვილს, მის თვალწინ, საკუთარ ეზოში შეუბრალებლად გაუსწორდნენ, მიხვდა, რომ დანდობის იმედი არ უნდა ჰქონოდა. საყვარელი მეუღლე ეზოში სახელდახელოდ გათხრილ სამარეში ჩაასვენა და გვიჩქუთაისისკენ აიღო, სადაც მისი გათხოვილი ქალიშვილი, ინგა ქასრაშვილი, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა.

ვინ იცის, სიკვდილს რამდენჯერ ჩახედა თვალებში, ვიდრე სამშვიდობოს გავიდოდა, მაგრამ სულით ძლიერმა ქალბატონმა ტკივილი ღრმად ჩამარხა გულში. ფარ-ხმალი არ დაჰყარა, რადგან იცოდა, რომ ამიერიდან მარტო უნდა გამკლავებოდა იმ ტკივილს და პრობლემებს, მაშინდელ საქართველოში ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ ელოდა.

ქალბატონი ციალა მალე დაუახლოვდა თბილისში მოღვაწე სოხუმელ ქალბატონს, პროფესორ ნუცა არდამელიას და მასთან ერთად იღვწოდა დაჭ-

რილი მეომრების დედათა კომიტეტში... ამ ქალბატონებმა უდიდესი მისია იტვირთეს, აფხაზეთში დაჭრილ მეომართა უპირველეს გულშემატკივრებად იქცნენ, ორი წლის მანძილზე მათი ტკივილითა და პრობლემებით ცხოვრობდნენ, თავდაუზოგავად იღვწოდნენ მათი მკურნალობისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებისათვის.



ომის ტკივილები ოდნავ რომ ჩაცხრა, ამ ღირსეულმა ქალბატონებმა იმერეთის გულში, ქალაქ ზესტაფონში აღადგინეს სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი, რომელიც ომის წინა წლებში დაფუძნდა სოხუმში. ადგილობრივი ინტელიგენციის და რაიონის ხელმძღვანელების დიდი დახმარებით იგი ერთ-ერთ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლად იქცა რეგიონში და ამ ყველაფერში დიდი წვლილი უნივერსიტეტის რექტორთან, ქალბატონ ნუცა არდამელიასთან ერთად პრორექტორს, ქალბატონ ციალა ნებიერიძესაც მიუძღვის.

ქალბატონმა ციალამ მოახერხა უნივერსიტეტში აფხაზი მეგობრების მოწვევა ხანმოკლე ვიზიტით. ამ შეხვედრაზე სტუმარ-მასპინძლებმა ერთად იმსჯელეს ხალხური დიპლომატიის გზებით აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის აღდგენაზე. მათ არაერთგზის გაუწიეს დახმარება აფხაზეთიდან ლტოლვილთა ოჯახებს საყო-

ფაცხოვრებო პირობების მოგვარებაში.

ქალბატონი ციალა ხელმძღვანელობს ასოციაცია „100 ქართველი ქალის“ ზესტაფონის რაიონულ ორგანიზაციას და თავის მეგობრებთან ერთად ბევრ საინტერესო, საჭირო და სასარგებლო ღონისძიებას ატარებს. მშობლიურ სოხუმში დაბრუნებაზე ოცნება კი ყველგან და ყველაფერში თან ახლავს მას, იქ არის მისი საყვარელი მეუღლის საფლავი, მშობლიური სახლი, იქ არიან მისი ძმის ოჯახის წევრები და ძველი მეგობრები.

ცნობილია, რომ აფხაზეთში ქალების მდგომარეობა საკვალალოა, მათ იტვირთეს ოჯახების რჩენა, ქვეყნის მართვაში პასუხისმგებლობის აღებას კი მაინც ვერ ბედავენ. ამის ორი მიზეზი არსებობს. პირველი ისაა, რომ აქაურ ქალებს არ სურთ „ბინძურ პოლიტიკაში“ ჩარევა, და მეორე, არ არსებობს სოლიდარობა უშუალოდ ქალებს შორის, ქალები არ მონაწილეობენ ქვეყნის მართვაში, არ აქტიურობენ, რადგან დღემდე ფიქრობენ, რომ მათი ადგილი სამზარეულოში, ბაზარში ან საბავშვო ბაღშია და არა ხელისუფლებაში. დღეისათვის აფხაზეთის მმართველობით რგოლში კაცები ბევრად ჭარბობენ ქალებს, მომსახურების სფეროში კი საპირისპირო სურათია: მდივნები, პრეს-სამსახურის თანამშრომლები, ჟურნალისტები, პედაგოგები, ნოტარიუსები — ფაქტიურად სულ ქალები არიან.

სოხუმში დარჩენილი მეგობრების წყალობით ქალბატონმა ციალამ იცის, რა ხდება აფხაზეთში, იცის რას ფიქრობენ იქაური მოქმედები და ამიტომაც თავდაუზოგავად იღვწის ძველი კავშირების აღსადგენად აფხაზეთში მცხოვრებ მეგობარ ქალბატონებთან, მას იმედი აქვს, რომ ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდება ჩატეხილი ხიდის აღდგენა და ურთიერთობების გაღრმავება.

მზია კვიციანი

„100 ქართველი ქალის“ ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი.



შშმ ბავშვთა სახელობის სახელობის ცენტრი

ზესტაფონის ბავშვთა სარეაბილიტაციო კავშირი „ორიონი“ 2004 წელს დაარსდა ენთუზიასტი პედაგოგის, ქალბატონი ჟანა ფერაძის და მისი მეგობრების თაოსნობით და ძალისხმევით. საქმიანობა ამ ენთუზიასტმა ადამიანებმა შშმ ბავშვთა ბაზის შექმნით დაიწყეს, სულ მალე კი, 2005 წლის მაისში, საერთაშორისო ორგანიზაცია Peace Corps-ის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „მშობელთა მხარდაჭერის კლუბი“, მალევე გაიხსნა ბავშვთა და მშობელთა ცენტრი, სადაც კვალიფიციური პედაგოგების დახმარებით წარმოებს სწავლება, დაარსდა ფიზიოთერაპევტის და კორექციული პედაგოგის კაბინეტები. შშმ ბავშვთა სწავლება მიმდინარეობს სახლის პირობებშიც.

ორგანიზაციის მუშაობის პრინციპია იმერეთის რეგიონში მცხოვრები შშმ პირთა ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ხელის შეწყობა. ამის მისაღწევად „ორიონში“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მორგებული სერვისების მიწოდებას, ახალგაზრდების ჩართულობას საქმიანობაში, აქტიურ თანამშრომლობას სხვადასხვა ორგანიზაციებთან და მშობლებთან.

მთავარი ყურადღება ეთმობა სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების სწავლებას, მათ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ადაპტაციას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას.

„ორიონში“ გაერთიანებული პირები უზრუნველყოფილები არიან მატერიალური და მორალური დახმარებით, გამუდმებით ზრუნავენ მათი სულიერი, ინტელექტუალური და კულტურული განვითარებისთვის, ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენასა და მათ პროფესიულ ზრდაზე.

შექმნილია მშობელთა კლუბი, სადაც მიმდინარეობს მშობელთა სწავლება, ინფორმაციის გაზიარება, შეხვედრები ფსიქოლოგთან და ნევროლოგთან. ცენტრში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი, რომლის დახმარებითაც ეწყობა შეხვედრები მასმედიასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და კულტურული ღონისძიებები.

„ორიონში“ აქტიურად მონაწილეობს შშმ პირთათვის დაგეგმილ ტრენინგებში, რომელთაგან უნდა აღინიშნოს ორგანიზაცია „Children of Georgia“ და „The first Step“-ის მიერ ჩატარებული ტრენინგი “ქცევის ანალიზი, სპეციალური განათლება და პირველი სამედიცინო დახმარება“. ცენტრში მომუშავე მონაწილე პედაგოგებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები და გადაეცათ პარაპროფესიონალის სერთიფიკატები.

ცენტრს აქტიურად ეხმარებიან როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები. მათი წყალობით ცენტრი აღჭურვილია ადაპტაციური აღჭურვილობით, სპეციალური სათამაშოებით, დაფებით, ფიზიოთერაპევტის და ლოგოპედის კაბინეტის, ბავშვთა თეატრალურ-საგანმანათლებლო ცენტრის სხვადასხვა ინვენტარით, შშმ ბავშვების სასწავლო ბიბლიოთეკის ლიტერატურით.

„ორიონში“ ხორციელდება 6-დან 18-წლამდე პირთა მომსახურება სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში, სულ აქ 60 ბენეფიციარს ემსახურებიან. ფონდმა „სიცოცხლის ხე“ ცენტრს დაუფინანსა ორი პროექტი: „ინფრასტრუქტურის მოწყობა“ და „სათამაშო აუზი“ აუტისტი ბავშვებისთვის.

ცენტრის მუშაობას გაეცნენ ზესტაფონში ვიზიტად

მყოფი პოლონეთის ქალაქ ტჩევის საგანმანათლებლო ასოციაციის წარმომადგენლები. გაფორმდა ხელშეკრულება და განხორციელდა პროექტი „ჩვენი უფლება“, რის შედეგადაც პოლონეთში ცენტრს გადმოუგზავნა საოფისე აღჭურვილობა და გარნიტური, სათამაშოები და აპარატურა, ხელახლა აღიჭურვა არსებული კაბინეტები, დამონტაჟდა მიღებული აპარატურა. შეიქმნა ახალი კაბინეტები: თომატის და ბიო-

ფეელებაკის თერაპიული, ლოგოპედისა და პედაგოგიური თერაპიის, არავერბალური კომუნიკაციის, მოტორიკის სავარჯიშო და მსოფლიო გამოცდილების ოთახები.

თერაპევტთა ორმა ჯგუფმა ქალაქ ტჩევში გაიარა ტრენინგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს: AAC ალტერნატიული კომუნიკაცია, ინდივიდუალური პროგრამების შემუშავება კონკრეტული მოსწავლისათვის, EEG Biofeedback თერაპიის გამოყენება შშმ ბავშვებთან, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების რეალიზაცია და შეფასება, Integration სენსორები — განვითარების მეთოდი თამაშში მონაწილეობით, პოლისენსორული თერაპიის პრაქტიკული ასპექტები, თომატის მეთოდის გამოყენების პრაქტიკული მაგალითები.

„ორიონის“ ბენეფიციარებმა (5 ბავშვი) მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ტჩევში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც წარმოადგინეს მინისპექტაკლი და პრიზიცი მიიღეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ცენტრში გამართულმა ღონისძიებამთა ციკლის „გემრიელი დღეები თანაკლასელებთან ერთად“ პრეზენტაციამ, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „უფლებებზე დაფუძნებული მომსახურების დანერგვა ბავშვთა დღის ცენტრში“ ფარგლებში. გაიხსნა სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი ადაპტირებული საშარეულოს კაბინეტი. ღონისძიებაში „ორიონის“ ბენეფიციარებთან ერთად ჩართულები იყვნენ ზესტაფონის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, მშობლები და თემის წარმომადგენლები. აღ-



ს ა ზ ნ უ ნ ა ვ ი

ნიშნული პროექტის მიზანია საქართველოში ისეთი სპეციალური მომსახურებების განვითარება, რომლებიც ხელს უწყობს და პატივს სცემს მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, შშმ პირების და ხანდაზმულების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს.

ცენტრს სტუმრობდნენ ფრანგი მოხალისეები ქალაქ ბორდოდან, რომლებიც გაეცნენ ცენტრის საქმიანობას. მათ ადგილობრივ პედაგოგებს გაუზიარეს გამოცდილება, აქტიური მონაწილეობა მიიღეს სპორტულ და კულინარიულ აქტივობებში. ზესტაფონის მერი ბატონი ვასილ გველესიანი გულთბილად შეხვდა ფრანგ სტუმრებს, შემუშავდა ერთობლივი სამო-

მავლო გეგმებიც.

ცენტრი განუწყვეტლივ იღვწის და ეძებს სიახლეებს ბენეფიციარების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სპეციალური მეწარმობის განვითარებისათვის, იგეგმება კერამიკის მინისახელოსნოსა და სამკერვალო მინისაამქროს ამოქმედება.

წარმატებებს ვუსურვებთ ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ ჟანა ფერაძეს და მის პროფესიონალ პედაგოგთა გუნდს!

მზია კვინიკაძე
მესტაფონი



ს ი ა მ ო ს კ ა ნ ა კ ა დ ე მ ი ა

შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საკითხი ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, საქართველოში კი ის დღემდე კონკრეტული ადამიანებისა და ოჯახების პრობლემას წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება.

ჩვენი ჟურნალის დღევანდელი სტუმარი ქალბატონი მაია ასაკაშვილი სწორედ ამ ადამიანთა პრობლემებზე, მათი უფლებების დაცვისა და ადვოკატირებაზე, მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე ისაუბრებს. მისი საუბარი ყველაფერთან ერთად იმითაც არის საინტერესო და საგულსხმო, რომ იგი თავად არის შშმ

ვაჭიშვილის დედა. ქალბატონი მაია გახლავთ ჟურნალისტი, ფილოლოგი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმ) საკითხების ექსპერტი, სპეციალური და ინკლუზიური განათლების პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, შშმ პირთა მიმართულებით არა ერთი სამეცნიერო ნაშრომის, საგაზეთო პუბლიკაციის, რადიოგადაცემის ავტორი; „სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის“ (მშობელთა კავშირი) დამფუძნებელი, დღის ცენტრის დირექტორი, სოციალური სანარმო „სხივის“ დამაარსებელი, მრავალი სოციალური პროექტის ხელმძღვანელი, უფლება დამცველი.



გარკვეული წლები მუშაობდა განათლების სისტემაში, იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კათედრის ლექტორი და შშმ პირთა სკოლა-პანსიონის დირექტორი. შშმ პირთა ინკლუზიური განათლების, პროფესიული გადამზადების, სოციალური მეწარმობის განვითარების

სა და დასაქმების მიმართულებით შესწავლილი აქვს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, ნორვეგიის, ნიდერლანდების გამოცდილება და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ამ მიმართულებების განვითარებაში. მუშაობს სოციალური მეწარმობის გაძლიერებისა და შშმ პირთა დასაქმების

მიმართულებით, გავლილი აქვს სამეწარმეო სკოლა — ბელგიაში. არის არაერთი საერთაშორისო პროექტისა და კონფერენციის მონაწილე **Eras-mus+** ფარგლებში, ნორვეგიის მე-8 მსოფლიო კონგრესის — „სწრაფვა სრულყოფილი მოქალაქეობისკენ“, მონაწილე, „IT“ თანამედროვე საგან-

მანათლებლო და თერაპიული ინსტრუმენტების გამოყენებით ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებთან მუშაობის თანამედროვე მეთოდების სპეციალისტი. მუშაობს შშმ პირთა უფლებების ადვოკატირების, მშობელთა გაძლიერების, ქალთა უფლებების დაცვის, შშმ პირთა მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების და დამოკიდებულების შეცვლაზე, არის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციისა და მშობელთა ქსელის, თბილისის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, ბავშვთა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოალიციის, ქალთა კოალიციის, საქართველოსა და ევროპის სოციალურ საწარმოთა ალიანსის წევრი.



დღეს ქალბატონი მაია ჩვენი ჟურნალის სტუმარი გახლავთ და მკითხველს შუამ პირთა პრობლემებზე. მათი უფლებების დაცვისა და აღვოკატირებაზე, მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე უამბობს, ისაუბრებს საკუთარ გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ გადალახა არა ერთი სიმწიფე, გაამხნევეს, რჩევებს მისცემს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლებს, ზოგადად საზოგადოებას კი მათი თანადგომისა და დახმარებისკენ მოუწოდებს.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ თუმცა გარკვეული სასიკეთო ცვლილებები შეიმჩნევა, ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაღებად.

შვილის დაბადება უდიდესი ბედნიერებაა, უკვე მისთვის არსებობ, ცდილობ, შეუქმნა საუკეთესო გარემო, არაფერს აკლებს, თავზე ევლები, მაგრამ... ერთ მშვენიერ დღეს პირმშოს თანდაყოლილ ნაკლს რომ შეამჩნევს, ქვეყანა თავზე გექცევა და აგვეყვება კითხვა — რატომ? პასუხს ვერ პოულობ და თუმცა სასოწარკვეთილი ხარ და შიში გეუფლება, იავნანას მაინც უმღერი პატარას, უფრო გულში ჩამწვდომს, სევდიანს, ცრემლიანს და მასთან ერთად საკუთარ სამყაროში ჩასაკეტად განწყობი...

შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან ჩემი ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც 32 წლის წინათ შვილი გამიჩნდა და უდარდელი ცხოვრება ცრემლმა, უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ შეცვალა. ჩემთვის სიმართლე არავის უთქვამს, დროთა განმავლობაში თვითონ მივხვდი, რომ დედობის სიხარულთან ერთად, განგებას განუზომელი ტკივილიც მარგუნა. არავინ იცოდა, რას განვიცდიდი სანუკუკარი სიტყვის „დედას“ გაგონების მოლოდინში...

გუშინდელივით მახსოვს დანაწევრებით წარმოთქმული ბგერები დედა და სიხარულის ელდა. იმედის ნაპერწკალი გამოკრთა — ჩემი ირაკლი მეტყველებას შეძლებს? მე, დედას, უს-



იტყვოდ მესმოდა ჩემი შვილის, საზოგადოება კი გულგრილი რჩებოდა, ის კი არა, ალბათ მაინც გაუცნობიერებლად, ჩემი შვილის თანდასწრებით ტკივილის მომგვრელ, უხერხულ კითხვებსაც მისვამდნენ: სმენა აქვს? ექიმები რას ამბობენ, ეშველება რამე?..

საზოგადოების ერთ ნაწილს ჰგონია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების პირებს არც სიხარულის უფლება აქვთ და არც ბედნიერების, რომ ისინი ცალკე, იზოლირებულები უნდა იყვნენ, მხოლოდ მათთვის განკუთვნილ სკოლებში უნდა სწავლობდნენ, ცალკე თავშეყრის ადგილებში — კაფე-ბარებში, რესტორნებში უნდა დადიოდნენ და ა. შ. აღარაფერს ვამბობ იმ არადადაპტირებულ გარემოზე, რომელიც დაბრკოლებებს ქმნის არა მარტო საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით, არამედ ყოველდღიური ელემენტალური პირობებით. წლების წინ, როცა მივხვდი, რომ ჩემი შვილისთვის ყველაზე საჭირო საზოგადოებასთან ურთიერთობა იყო, მისი საბავშვო ბაღში მიყვანა გადავწყვიტე. გადაწყვეტით კი გადავწყვიტე, მაგრამ ბაღის გამგემ განმიმარტა, რომ „ასეთი ბავშვებისთვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები“. მისი კაბინეტიდან გამოსული ცრემლებს ვმაღავდი, ჩემს შვილს რომ არ დაენახა. ბავშვის დაბადების შემდეგ ეს ჩემთვის პირველი შოკი იყო. მაშინ ჩვენს ქვეყანაში სიტყვა „ინკლუზიის“ მნიშვნელობაც კი არ იცოდ-

ნენ. ამის შემდეგ გლდანის რაიონში არსებულ სპეციალურ საბავშვო ბაღში გადაგვამისამართეს, ჩემი შვილი პირველად აღმოჩნდა პატარა საზოგადოებაში დამოუკიდებლად. მე კი მას შორი-ახლოდან ვადევნებდი თვალს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არ იყო დაწესებულება, ორგანიზაცია, თუნდაც საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ახალბედა მშობლებს რჩევა-დარიგებას მისცემდა. მაშინ დავრწმუნდი, რომ საზოგადოებას ჩემისთანა ადამიანებისთვის არ ეცალა, ჩვენი ბედი არ აინტერესებდა. ნებისმიერი ფეხმძიმე ქალი და მასთან ერთად მისი მეუღლე, მიუღიოჯახი, სანათესაო-სამეგობრო მოუთმენლად ელიან პირმშოს დაბადებას და თუ ბავშვი ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლით დაიბადება ეს ყველასთვის მძიმედ აღსაქმელი ხდება. მშობიარობიდან ცოტა ხანი იყო გასული, რომ ჩემი მეუღლე ტრაგიკულად გარდაიცვალა და მე, ახალგაზრდა, სრულიად გამოუცდელი დავრჩი ცხოვრების პირისპირ, ცხოვრების, რომელსაც უძიმესი ტკივილი გასდევდა. მარტო შევრჩი ჩემს ტკივილს, ხელის ცეცებით ვიკვლევდი გზას, ვკითხულობდი სპეციალურ ლიტერატურას, ვეძებდი ინფორმაციას, ვეკითხებოდი და რჩევას ვთხოვდი ექიმებს, პედაგოგებს, სოციალურ მუშაკებს. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ჩემს შვილს დავხმარებოდი, მდგომარეობა შემემსუბუქებინა მისთვის. ამასობაში ის



სკოლის ასაკის შესრულდა და ჩემთვის ძალზე მტკივნეული და გაურკვეველი დრო დადგა. არსებობდა სამედიცინო პედაგოგიური კომისია, რომელიც ბავშვებს მათი შესაძლებლობების მიხედვით ღიფერენცირებულად ანაწილებდა ამა თუ იმ სკოლაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კარი ასეთი ბავშვებისთვის დაზურული იყო. ჩემი შვილი ერთ-ერთ დამხმარე სკოლაში გაანაწილეს, სადაც ძალიან მძიმე კონტინგენტი აღმოჩნდა და მე ჩემი ბიჭი 193-ე საჯარო სკოლაში გადავიყვანე. სკოლაში სიარულმა სასიკეთო შედეგი გამოიღო. სკოლის შემდეგ ბავშვი იმ დღის ცენტრში დადიოდა, სადაც მას დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შექმნაში ეხმარებოდნენ, ის ხალისით მონაწილეობდა სხვადასხვა ნაკეთობების დამზადებაში, აქ მისი აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარებაზე ზრუნავდნენ. ბავშვი ძალიან ბედნიერი იყო, რადგან ისე შეისწავლა ხელსაქმე, რომ სხვების დახმარებაც კი შეეძლო, საოცრად კეთილი, გულისხმიერი და პოზიტიური თვისებებით გამორჩეული ჩემი შვილი თვითდაჯერებული, ინიციატივითანი გახდა, ხალისით შრომობდა, რაც მთავარია, თავს სრულფასოვან ადამიანად გრძობდა და ყოველივე ამის შედეგად ის სოციუმს დაუკავშირდა, არადა, ყოველივე ამას ჩემი შვილის განათლებასთან დაკავშირებით სპეციალისტების მკაცრი განაჩენი და პროტეს-

ტი უძღოდა წინ: „იცით რა, თქვენი შვილი ვერ ისწავლის, მას ხელმწიფისგან დანიშნული აქვს პენსია და არ არის აუცილებელი, რომ მან განათლება მიიღოს, გყავდეთ სახლში, პენსია ხომ აქვს, და რატომ აწვალვით, იყოს თავისთვის და თქვენც დაისვენებთ“. მე ეს რჩევები ყურად არ ვიღე და ჩემი შვილი სკოლაში მივიყვანე, ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყო თავის თანატოლებთან, მისთვის ახალ სამყაროში, რომელიც ასე სჭირდებოდა. ყოველივე ამის შედეგად ბავშვს გამოუმუშავდა მოსმენის კულტურა, მას უხაროდა სკოლაში სიარული, ბევრი რამ ისწავლა, შეიძინა მეგობრები და აცნობიერებდა, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი იყო. იცავდა ქცევის წესებს, ასრულებდა დავალებებს, გამოიმუშავა პასუხისმგებლობის გრძობა და თუმცა პროგრამა სრულყოფილად ვერ დაძლია, მისი საზოგადოებაში ინტეგრირება შედგა და მას სოციალური უნარ-ჩვევები განუვითარდა.

მინდა მივმართო იმ ახალბედა მშობლებს, რომლებიც ანალოგიური პრობლემის წინაშე დგანან — არავითარ შემთხვევაში არ გამოკეტონ თავიანთი შვილები ოჯახებში, მიიყვანონ ისინი სკოლაში, მისცენ განათლების საშუალება, ატარონ კინოში, თეატრში, წვეულებებზე, კონცერტებზე, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე... ზოგი მშობელი მაღავეს შეზღუდული

შესაძლებლობების შვილს, რცხვენი-ათ, ეთაკილებათ, რომ ასეთი შვილი ჰყავთ. საკუთარი პრესტიჟის შელახვის ეშინიათ, იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ შვილის სახით ღმერთმა მათ საჩუქარი უძღვნა. თუ ოჯახმა არ აღიარა და არ მიიღო ის ისეთი, როგორიც არის, მაშინ საზოგადოება როგორღა მიიღებს მას? ამიტომ პირველ რიგში შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვის სოციალიზაცია საკუთარი ოჯახიდან უნდა იწყებოდეს, საზოგადოებაში მისი ინტეგრაცია მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება.

ასევე მნიშვნელოვანია სკოლის მზაობის როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მიმდებლობა და მათი განათლების უზრუნველყოფა. ამჟამად საქართველოს კანონი განათლების მიღების თანაბარ უფლებას აძლევს ყველა ადამიანს, მშობლებს არჩევანის საშუალება მიეცათ, სასწავლო დაწესებულებების დირექტორებს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან ბავშვს სკოლაში მიღებაზე მისი შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ცხადია, ეს ძალიან კარგი და მისასალმებელია, თუმცა, მთავარი ასეთი ბავშვებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, შესაბამისი სერვისებით მათი უზრუნველყოფაა, იგულისხმება ადაპტირებული სკოლის შენობა, მომზადებული პედაგოგიკური და მოსწავლეები, მათ საჭიროებებზე მორგებული გარემო, შესაბამისი სასწავლო მეთოდოლოგია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მშობლები უარყოფითად რეაგირებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი ჯანმრთელი შვილების ერთად სწავლაზე. მინდა მივმართო ასეთ მშობლებს და ზოგიერთ მათ თანამოაზრე პედაგოგებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობა გადაძღვებ არ არის. თუ დამიჯერებენ, იმასაც ვეტყვი, რომ გადაძღვება სიკეთის ქმნა, კაცთმოყვარეობა, თანადგომა და სხვისი გასაჭირის გათავისება.

მანია ასაპაშვილი



ევროკავშირი

ევროკავშირი — ევროპის კონტინენტზე განლაგებული 27 სახელმწიფოს უნიკალური რეგიონული კავშირი ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრირებას ემსახურება, მისი დევიზი კი — „მრავალფეროვნებით გაერთიანებულნი“ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ევროპელები საერთო ღირებულებების საფუძველზე გაერთიანდნენ, რათა ერთად იღვწოდნენ საერთო მომავლის შესაქმნელად, საყოველთაო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის, თუმცა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სავაჭრო ბლოკი ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდა, შემდგომში მისი კომპენტენციები გაფართოვდა და ისეთი სფეროები მოიცვა, როგორცაა გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, მართლმსაჯულება, მიგრაცია და უსაფრთხოება. ამასთან ევროკავშირი საკუთარ წევრ სახელმწიფოებსა და მთლიანად მსოფლიოში მშვიდობის მთავარი დამცველიცაა. ამჟამად ევროკავშირის წევრები არიან: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი და შვედეთი. ევროინტეგრაციის პროექტი უპირველეს ყოვლისა მშვიდობის პროექტია, რომელიც ეკონომიკური გაერთიანების გზით იქნა მიღწეული, თუმცა რომ არა ევროპელების საერთო ღირებულებები, ევროპის გაერთიანება ვერ მოხდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღირებულებების გაზიარება ევროკავშირის წევრობის წინაპირობაა. საინტერესოა, რომ ევროპული გაერთიანების იდეა პირველმა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა გააჟღერა 1946 წელს, ციურიხის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას, როდესაც განაცხადა, რომ მშვიდობის და უსაფრთხოების აღდგენის,

ხალხში ბედნიერებისა და იმედის დაბრუნების ერთადერთი გზა „ევროპის შეერთებული შტატების“ შექმნა იყო. ამ იდეის განხორციელებისთვის გადადგმულ მომდევნო ნაბიჯად 1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, რობერტ შუმანის მიერ წარმოდგენილი „შუმანის დეკლარაცია“ ითვლება. შუმანის განცხადებით, რადგან ომის საწარმოებლად სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქვანახშირსა და ფოლადს, მათი დაშლად კი გერმანიასა და საფრანგეთში ერთმანეთზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, რაც ომის წარმოებას შეუძლებელს გახდიდა. სწორედ ამ დეკლარაციის საფუძველზე დაარსდა 1951 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, რომელსაც საფრანგეთსა და გერმანიასთან ერთად იტალია, ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგიც შეუერთდნენ. 1957 წელს ამავე ქვეყნებში ხელი მოაწერეს ე. წ. „რომის ხელშეკრულებას“, რომლითაც დაფუძნდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა და ევროპის ატომური ენერჯის თანამეგობრობა. მოგვიანებით, 1967 წელს მოხდა ამ სამი გაერთიანების შერწყმა და ასე ჩამოყალიბდა ევროპული თანამეგობრობა, რომელიც უშუალოდ ევროკავშირის წინამორბედად ითვლება. ეს თანამეგობრობა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მასში გაერთიანება სხვა ქვეყნებმაც მოინდომეს და 1993 წელს ე. წ. „მაასტრიხტის ხელშეკრულებით“, რომელშიც ევროპული გაერთიანების 12 წევრი სახელმწიფო მონაწილეობდა, შეიქმნა ევროკავშირი და დაწესდა ევროკავშირის მოქალაქეობა. ასე რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს თითოეული მოქალაქე ევროკავშირის მოქალაქედ ითვლება. ამასთან ევროკავშირის წევ-



რი ქვეყნები სახელმწიფო სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ. ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ. ევროკავშირი ორი საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებს. ეს ხელშეკრულებებია, „1992 წლის ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ“ და 1957 წლის ხელშეკრულება „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“. გარდა ამისა, მოქმედებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიც. ევროკავშირის მიზნებს შორისაა მშვიდობიანი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვა, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და ფასების სტაბილურობის მიღწევა, რასაც თანახლავს სრული დასაქმება და სოციალური განვითარება, ერთიანი შიდა ბაზრის შექმნა, გარემოზე ზრუნვა, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბება, ბავშვთა უფლებების დაცვა, ზრუნვა კულტურული მემკვიდრეობისა და ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე, მჭიდრო ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული კავშირის შექმნა და სხვ. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ევროკავშირი ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს: ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება, წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, მონობისა და იძულებითი შრომის აღმოფხვრა, ადამიანის ძირით-



ადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ა. შ.

ევროკავშირის მიზნები და ღირებულებები: მშვიდობიანი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვა, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და ფასების სტაბილურობის მიღწევა, რასაც თან ახლავს სრული დასაქმება და სოციალური განვითარება, ერთიანი შიდა ბაზრის შექმნა, გარემოზე ზრუნვა, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშეწყობა, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბება, ბავშვთა უფლებების დაცვა, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა და ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნვა, მჭიდრო ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული კავშირის შექმნა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სოლიდარობის ხელშეწყობა, სავალუტო კავშირის დაარსება და სხვ. ეს არის იმ მიზნების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც ემსახურება ევროკავშირი, ხოლო აღნიშნული მიზნების მისაღწევად შემდეგ ღირებულებებს ეყრდნობა, რომლებიც აერთიანებს ევროპის სახელმწიფოებს და შესაბამისად ევროკავშირის ძირითად ღირებულებებს წარმოადგენს. ესენია: ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, რაც საფუძვლად უდევს ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორცაა, სიცოცხლის უფლება, ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის უფლება, წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, მონობისა და იძულებითი შრომის აღმოფხვრა, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, როგორცაა მაგ. თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის შერჩევის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, აზრის გამოხატვის, მრწამსის და გაერთიანების თავისუფლება. ეს ყოველივე ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით არის გარანტირებული, აგრეთვე დემოკრატიული მმართველობა, მაგ. ხმის მიცემის უფლება. მოქალაქის უფლება აქვს კენჭი იყაროს ევროპარლამენტში და ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს ევრო-

კავშირის საპარლამენტო არჩევნებზე, კანონის უზენაესობა, რაც ნიშნავს რომ ევროკავშირი მოქმედებს მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მიერ დამტკიცებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში, ხოლო მართლმსაჯულებას აღასრულებს დამოუკიდებელი სამართლო, ევროკავშირის ყოველი მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია.

ევროკავშირის ძირითადი მიზანია საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. ეს მიიღწევა საკუთარ წევრ სახელმწიფოებსა და მეზობელ ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით, ადამიანის უფლებების დაცვით. ამასთან დაკავშირებით 2013 წელს ევროკავშირის მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში და ის ჩაითვალია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ სამშვიდობო პროექტად, რადგან ომით დაღლილი ევროპის კონტინენტი მან მშვიდობისმყოფელ კონტინენტად აქცია.

ევროპის ტერიტორიის ფარგლებში მოქმედებს მსოფლიოში უმსხვილესი ერთიანი ბაზარი, რომელიც მის წევრებს უფლებას აძლევს თავისუფლად იცხოვრონ, ისწავლონ, იარონ საყიდლებზე, პირდაპირ გავიდნენ კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში, თავისუფლად შეიძინონ პროდუქცია ნებისმიერ ქვეყანაში; დაწესებულია საქონლის, სერვისების, კაპიტალისა და ადამიანის გადაადგილების თავისუფლება. ევროკავშირის ერთიანი ბაზრის ფარგლებში უმკაცრესად არის დაცული მომხმარებლის უფლებები.

ევროკავშირის მიზანია დაიცვას ქალების, ბავშვების, უმცირესობების და ლტოლვილების უფლებები. ევროკავშირი კრძალავს სიკვდილით დასჯას, წამებას, ადამიანით ვაჭრობას და დისკრიმინაციას. იცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. მისი ბიუჯეტი ორიენტირებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საჭიროებებზე და ისეა დაგეგმილი, რომ თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო სახსრებით სარგებლობა. ევროკავშირი მუდმივად ზრუნავს ბიუჯეტის ფინანსური სახსრების მობილიზებაზე,

საერთო გამოწვევებთან გამკლავებასა და მოქალაქეთათვის უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნაზე. სოლიდარობის ნიშნად ბიუჯეტიდან უფრო მეტად ფინანსდებიან ევროკავშირის ნაკლებად მდიდარი წევრები, რათა ხელი შეეწყოს მათი ეკონომიკის განვითარებას.

ევროკავშირის მიერ აკრძალულია მავნე სურსათის რეალიზაცია, მკაცრად არის განსაზღვრული, თუ რა სახის სურსათი მიიწვევა მავნედ. მომხმარებლებს უფლება აქვთ დაიბრუნონ გამყიდველისთვის მიბრუნებული პროდუქციის საფასური და მიიღონ ანაზღაურება გაუქმებული და შეფერხებული საპაერო ფრენებისთვის. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, ევროკავშირის მიზანია დაიცვას ქალთა, ბავშვთა, უმცირესობებისა და ლტოლვილთა უფლებები, ის კრძალავს სიკვდილით დასჯას, წამებას, ტრეფიკინგს და დისკრიმინაციას, იცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ევროკავშირის ბიუჯეტი ორიენტირებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საჭიროებებზე და იმგვარადაა დაგეგმილი, რომ თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო სახსრებით სარგებლობა, ევროკავშირის ბიუჯეტის მიზანია ფინანსური რესურსების მობილიზება, საერთო გამოწვევებთან გამკლავება და ევროკავშირის მოქალაქეებისთვის უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნა. სოლიდარობის ნიშნად ბიუჯეტიდან მეტად ფინანსდებიან ევროკავშირის ნაკლებად მდიდარი წევრი სახელმწიფოები, რათა ხელიშეეწყოს მათ ეკონომიკურ განვითარებას. ევროკავშირის ბიუჯეტით ფინანსდება ისეთი სფეროები, როგორცაა დასაქმების ხელშეწყობა, რეგიონული განვითარება, განათლება, სამეცნიერო კვლევები, გარემოს დაცვა, მსხვილი ინფრასტრუქტურული და სამეცნიერო კვლევითი, ასევე ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პროექტები, მაგ. ტერორიზმთან ბრძოლა.

ნიმეო ბერიტიშვილი,

სორბონის უნივერსიტეტის
საერთაშორისო და ევროპის
სამართლის მაგისტრი



ნესტან ექიმის სამოთხის ბაღი

არიან ადამიანები, რომელთაც უფლისგან განსაკუთრებულად აქვთ მომადლებული სხვა ადამიანებზე ზრუნვის, მათი თანადგომის უნარი. ასეთ ადამიანებს ჩვეულებრივ ბევრი მეგობარი ჰყავთ და თვითონაც საიმედო მეგობრები არიან.

ქალაქ საგარეჯოს ამშვენებს ასეთი ღირსებით მადლმოსილი ქალბატონი ნესტან ურდულაშვილი. იგი საგარეჯოში დაიბადა ინტელიგენტების ოჯახში. მამა — ალექსანდრე ურდულაშვილი პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი ახალგაზრდობის წლებში მუშაობდა ქ. საგარეჯოში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და მან თავისი კვალი დაამჩნია რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებას, იყო ამ მიმართულების მრავალი ნოვაციური პროექტის ხელმძღვანელი.


— შვილებმა მისგან შრომისმოყვარეობა, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა და ერთგულება ვისწავლეთ, თუმც ჩემი და ჩემი დების დაკვალიანებასა და ჩვენ მიერ ჭეშმარიტი ფასეულობების შეცნობაში დედას, ცილა ნარიმანიშვილს, ლომის წილი მიუძღვის, — ამბობს ქ-ნი ნესტანი. ქალბატონი ცილა ნარიმანიშვილი პედაგოგი გახლდათ და მრავალი წელი, სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, იმავდროულად სასწავლო ნაწილის გამგეც გახლდათ.

მან და ბატონმა ალექსანდრემ სამი შესანიშნავი შვილი აღზარდეს, დეებმა მომავალი საქმიანობის სფეროდ მედიცინა აირჩიეს და დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ ამ დარგში.

შუათანა და, თამარ ურდულაშვილი კარდიოლოგი, ექიმი-რადიოლოგი, მედიცინის დოქტორია და სამეცნიერო საქმიანობას ეწევა.

უმცროსი და, მადლენა ურდულაშვილი, 20 წელია საფრანგეთში ცხოვრობს. მუშაობს რადიოლოგად პარიზის მრავალპროფილურ კლინიკაში. დედის და დეიდების გზა აირჩია ნესტანის ქალიშვილმა ნინო ჩალათაშვილმა, რომელიც უკვე გამოცდილი ექიმი რადიოლოგია, ჰყავს მეუღლე — ავთანდილ დგებუაძე პროფესიით ექიმი ქირურგი და 2 შვილი. უფროსი ვაჟი ოთარ ჩალათაშვილი, პროფესიით იურისტი, უკანასკნელი 2 წლის მანძილზე არჩეული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ. იგი 4 შვილის მამა გახლავთ.

თამარ და მადლენა ურდულაშვილების უფროსმა დამ, ნესტანმაც ბავშვობა საგარეჯოში გაატარა. განსაკუთრებით კითხვა უყვარდა და ბევრსაც კითხულობდა. სკოლაში ყველა საგანს ერთნაირი წარმატებით სწავლობდა, განსაკუთრებით კი მათემატიკით და ინგლისური ენით იყო გატაცებული, მათემატიკის და ინგლისურის სიყვარულს ისიც განაპირობებდა, რომ პირველს საყოველთაოდ ცნობილი მასწავლებელი ბ-ნი ალექსანდრე კუთხაშვილი ასწავლიდა, მეორეს კი — გამორჩეული, თბილი, მეგობრული ქალ-



ბატონი და მაღალკვალიფიციური პედაგოგი თინათინ გუსარიშვილი, ვისთანაც დღესაც აგრძელებს მეგობრობას და მისგან ბევრი საჭირო ცხოვრებისეული რჩევაც მიუღია. ნესტან ურდულაშვილმა 1977 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. საგარეჯოს პირველი საშ. სკოლა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1983 წელს დაამთავრა. მუშაობა ახალგაზრდა ექიმმა მშობლიური ქალაქის საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში დაიწყო, მისი პირველი ნაბიჯები პროფესიულ გზაზე იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც საგარეჯოს საავადმყოფოში გამორჩეულ ექიმთა გუნდი მოღვაწეობდა: მარიკა ბაბუნიძე, მარიამ ქურხული, ლენა ანუაშვილი, შოთა დიდმელაშვილი, ნელი ექვთიმიშვილი და სხვ.

ზოგადად ექიმის პროფესიას ბევრ სასიამოვნო გასახსენებელთან ერთად, მრავალი უძძიმესი ეპიზოდიც ახლავს: უპერსპექტივო პაციენტის საწოლთან გატარებული ღამეები, შენ თვალწინ ჩაფერფლილი სიცოცხლე და სხვა. მიუხედავად დამაბული დატვირთული რეჟიმისა, ნესტან ექიმი მუდმივად ზრუნავდა საკუთარ პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, რაშიც ლომის წილი კი მის დახელოვნებაში დიდ ექიმს და მეცნიერს ვაჟა ივერიელს და მის შემკვიდრეს პროფესორ დავით მეტრეველს მუიძღვით. სწორედ ამ ორი ბუმბერაზი ექიმის მაღალმა პროფესიონალიზმმა, იშვიათმა ადამიანურმა თვისებებმა და უნარ-ჩვევებმა განაპირობა ნესტა ურდულაშვილის გადაწყვეტილება — საქმიანობის სპეციალობებიდან ენდოკრინოლოგია აერჩია.

მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, როცა სიყვარულით შექმნა ოჯახი თანაქალაქელ დათო ჩალათაშვილთან ერთად, რომელიც პროფესიით ავტოინჟინერი გახლავთ და საგარეჯოელების დიდი პატივისცემით სარგებლობს.



მოგესხენებათ, გასული საუკუნის 90-იანი წლები ორ-მაგად მძიმე აღმოჩნდა სამედიცინო პერსონალისთვის. უხელფასობა, სიცივე, უშუქობა — აი, ასეთ პირობებში უწევდათ ექიმებს თავგანწირული ბრძოლა სხვათა სიცოცხლის და საკუთარი ოჯახების გადარჩენისათვის.

— მძიმე წლების ურთულესი გამოწვევებისთვის რომ გამძღლო, სხვა დამატებითი საქმიანობა უნდა დამეწყო, გადავწყვიტე ახლო მეგობრებთან ერთად ქალაქის ცენტრში, 18 კვ.მ. კომერციულ ფართში, პატარა აფთიაქი გამეხსნა. მერე და მერე, ბიზნესის ზრდასთან ერთად, კიდევ 2 აფთიაქი გავხსენი, უკვე საკუთარ ფართში, — იხსენებს ქნი ნესტანი. პარალელურად იგი საქმიანობა მოღვაწეობასაც აგრძელებდა: მუშაობდა ექიმ ენდოკრინოლოგად და საორგანიზაციო მენეჯერად საგარეჯოს „პოლიკლინიკურ-ამბულატორიულ გაერთიანებაში“. მოგესხენებათ, 2010 წლიდან საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობა კერძო კომპანიების მფლობელობაში გადავიდა, ბევრი სამედიცინო კადრი სამსახურის გარეშე დარჩა. სიტუაცია სამედიცინო ბაზარზე საკმაოდ მძიმე გახლდათ, მომავალი კი ბუნდოვანი. ასეთ ვითარებაში ქალბატონმა ნესტანმა მეგობრებთან ერთად სამედიცინო ბიზნესის დაწყება გადაწყვიტა და 2011 წელს ქალაქის ცენტრში ააშენა მრავალპროფილური კერძო კლინიკა „LIFE“ სამშობიარო ბლოკით. კლინიკაში 35-მდე ექიმი და 20-მდე საშუალო და დაბალი სამედიცინო პერსონალი დასაქმდა. 2013 წლიდან მოყოლებული კლინიკა საყოველთაო ჯანდაცვის და „ორსულთა მეთვალყურეობის სახელმწიფო პროგრამებში“ მონაწილეობს და 1500 ბენეფიციარს ემსახურება. „LIFE“ დაკომპლექტებულია კვალიფიციური ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტებით, აღჭურვილია თანამედროვე კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიით, ექოსკოპის აპარატით და სხვ. გასულ წელს „C ჰეპატიტის მუნიციპალური პროგრამის“ ფარგლებში კლინიკაში ჩატარდა 3000-მდე უფასო ლაბორატორიული კვლევა, „Covid-19“-ის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოეწყო უფასო სამედიცინო აქციები სხვადასხვა კლინიკებიდან მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მონაწილეობით. კლინიკის ბაზარზე უკვე რამდენიმე წელია ფუნქციონირებს 24 საწოლზე გაშლილი პალატიური განყოფილება. ოფთალმოლოგიურ კლინიკა „ოფთალმი-ჯთან“ ხელშეკრულების საფუძველზე სორციელდება კატარაქტი დაავადებული პაციენტების ოპერაციული მკურნალობა. ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა 300 ასეთი ოპერაცია. წლის განმავლობაში კლინიკის სამშობიარო ბლოკში 1000-მდე ბავშვი დაიბადა. იყო ბევრი სირთულე, უძილო ღამეები და ამასთან ერთად დიდი სიხარულიც, რომელიც ამქვეყნად ახალი სიცოცხლის მოვლინებას ახლავს თან.

— მახსენდება როგორ ამბობდა შვილზე უარს სულ ახალგაზრდა, 18 წლის დედა საკუთარი დედის ზეწოლის გამო და როგორ ვცდილობდით ყველანი, მთელი ჩვენი გუნდი მის გადარწმუნებას. დღეს ეს ახალშობილი დიდი ბიჭია და დედის გარეშე ერთი დღეც ვერ ძლებს — ღიმილმორეული იხსენებს ქალბატონი ნესტანი. კლინიკაში სამომავლოდ დიდი გეგმები აქვთ: თანამედროვე ლაბორატორიული სერვისების დაწესება, პალატიური სამსახურის გაფართოება და სხვა.

ეს რაც შეეხება ქალბატონ ნესტანის პროფესიულ საქმიანობას, მაგრამ მას გატაცებაც აქვს, ასე ვთქვათ, ჰობიც, და ეს ჰობი რა თქმა უნდა, ყვაილები, ვარდებია.

— ყვაილების სილამაზემ ბევრ სხვა იდეას შეასხა ფრთები, — გვიამბობს იგი — მათმა სიყვარულმა გადამაწყვეტინა გარკვეული განათლება მიმეღო ამ მიმართულებით და 2019 წ. საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში ფერმერთა სკოლის მეფუტკრეობა-მებაღეობის შემსწავლელ კურსებზე დავიწყე სწავლა. შევიძინე 2 სკაფუტკარი, მამისეულ ნაკვეთში გავაშენე 200 ძირი ამერიკული საჩირე ქლიავის — სტენლის ნერგები, ხოლო ჩემს ეზოში — ვარდების სათბური, სადაც 3000-მა ვარდის ნერგმა დაილო ბინა...

ნესტან ურდულაშვილის ვარდების ბაღი მართლაც სამოთხე, საოცარი და იშვიათი ჯიშის ვარდების ნამდვილი საბაღოა. იგი დიდი რუდუნებით, უსაზღვრო სიყვარულით უვლის და ეფერება თითოეულ ძირს. მის მიერ შექმნილ სილამაზის და ჰარმონიის ამ ზღაპრულ ნავთსაყუდელში ადამიანებს შეუძლიათ სულიერად დაისვენონ და ამაღლდნენ იმ რწმენამდე, რომ ადამიანს სასწაულის, ისეთი სილამაზის შექმნა შეუძლია, რომელიც კაცობრიობას გადაარჩენს.



სისოსხე ბიძილება, სსოჰიება მშენიხია...

ნანა ხელაშვილს მართლაც თავმოსანონებელი წინაპრები ჰყავდა, მათ შორის თეოლოგი, ფილოსოფოსი და მქადაგებელი, იონა ხელაშვილი, რომელიც 1803 წელს ქართველ უფლისწულებთან ერთად გაემგზავრა რუსეთში, დავით და თეიმურაზ ბატონიშვილების, ანა და მარიამ დედოფლების სულიერი მოძღვარი იყო და რომლის შთამომავლებიც სამღვდლოების უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლები იყვნენ. ძალზე განათლებული ადამიანი იყო ქალბატონი ნანას პაპის ძმაც, ლადო ხელაშვილიც, რომელსაც ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ამასთან იგი თავისუფლად ფლობდა გერმანულ და რუსულ ენებს, მგვობრობდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, რომელიც „ვაზის ყვავილობას“ რომ წერდა, ამ კუთხის ტრადიციების უკეთ გასაცნობად ხშირად ჩადიოდა თელავში და მათი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.



პამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რათა ანისა და ნანუკას სათანადო განათლება მიეღოთ, დღეს ორივეს ღირსეული ოჯახი აქვს, ქალბატონ ნანას ძველებურადვე თბილი ურთიერთობა აქვს მათ ღელასთან, რომელიც მას კვლავინდებურად ღელას ეძახის და ღიდ პატივს სცემს. ემაღლიერება ქალბატონი ნანა რეზოს მეორე მეუღლესაც, მაია კობახიძეს, ყოვლად ღირსეულ ადამიანს, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს რეზოს შვილებთან და მის შვილიშვილებზეც ღიდი ამაგი აქვს. ქალბატონ ნანას საქებარი სიტყვები არ ელევა თავის მეორე რძალზე, ლადოს მეუღლეზე, ნათია ბეთლემიძეზე, რომელიც ხუთი შვილის დედაა. კარგი მეუღლე და არაჩვეულებრივი დედაა, – ამბობს მასზე პირლიმილიანი ქალბატონი ნანა.

ეს ბოლო ორი წელი მძიმე და ტკივილიანი გამოდგა ქალბატონი ნანასთვის – ალცჰეიმერის დაავადებით შეპყრობილ მის მეუღლეს კოვიდის შემდგომი პერიოდი ფილტვის თრომბოზით დაუძიმდა და თუმცა არც ზრუნვა-ყურადღება, და არც სითბო აკლდა, აღარაფერი ეშველა.

ახლობლების ზრუნვითა და ყურადღებით გარემოსილი ქალბატონი ნანა კვლავაც ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში მუშაობს კარდიოლოგად გიორგი მანაგაძის ხელმძღვანელობით, კვლავაც უშურველად გასცემს სითბოსა და სიყვარულს და როგორც თავად ამბობს, ცხოვრობს დევიზით – სიცოცხლე გრძელდება, ცხოვრება მშენიერი.

ქალბატონ ნანას მამამ და მისმა ოჯახმა ღირსეულად გააგრძელეს სახელოვანი წინაპრების ტრადიციები. ბატონი ლადო ხელაშვილი წლების მანძილზე თელავის მერი იყო და თანამოქალაქეთა ღიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა; დედა, ქალბატონი ნუნუ თელავის რაიონული საავადმყოფოს თერაპევტი იყო, ექიმი, ქალაქის მთავარი პედიატრი იყო დეიდაც, რომელსაც დისშვილის აღზრდაში ღიდი წვლილი მიუძღვის. არავის გაკვირვებია, როდესაც ნანა, რომელიც ექიმების გარემოცვაში იზრდებოდა და ბავშვობიდანვე ექიმობაზე ოცნებობდა, მდიდარი ტრადიციებით ცნობილი თელავის №1 სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ იმავე წელს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ისევე, როგორც სკოლაში, აქაც საუკეთესოთაგანი იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით დაიწყო მუშაობა სასწრაფო დახმარების საბურთალოს რაიონის ფილიალში. აქ მუშაობის ორი წელი ახალგაზრდა ექიმისთვის ღიდი სკოლა იყო, სწორედ მამინ გამოიმუშავა ექიმისთვის ესოდენ საჭირო სწრაფად აზროვნებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. მერე იყო უროლოგიის და ნევროლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც წლების მანძილზე უძღვებოდა ჩინებული პროფესიონალი და პედაგოგი, აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე. მასთან თანამშრომლობამ ბევრი რამ ასწავლა და შესძინა და რაც მთავარია, უფრო მეტად შეაყვარა საქმე, რომელსაც ემსახურებოდა და ამასთან პასუხისმგებლობის გრძნობაც გაუმძაფრა, ეს გრძნობა კი პროფესიულ ზრდაზე მუდმივ

ზრუნვას კარნახობდა. სწორედ ამ წლებში მოიპოვა სერტიფიკატები კარდიოლოგიაში, უროლოგიასა და თერაპიაში. ყოველივე ამასთან ერთად ჩინებული მეუღლე და დედაც იყო, სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ბედნიერ ოჯახში ის და მისი მეუღლე, ომარ მხეიძე ორ ვაჟიშვილს ზრდიდნენ. ბატონ ომარს ტექნიკური უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, აქვე გაიარა ასპირანტურა, იყო სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდევობის ჩინებული სპეციალისტი, დოცენტი, შემდეგ – ასოცირებული პროფესორი, უყვარდა თავისი საქმე, სამშობლოს გულანთებული პატრიოტი მის ბედნიერ მომავალზე ოცნებობდა. ქალბატონი ნანას და ბატონი ომარის სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემასა და გაგებაზე დაფუძნებულ ოჯახში ორი ვაჟიშვილი იზრდებოდა – რეზო და ლადო. საშუალო სკოლის შემდეგ ორივე ძმამ ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა. რეზო ადრე დაოჯახდა, ქალბატონმა ნანამ რძალი, მაია ყოჩიაშვილი საკუთარი ქალიშვილივით მიიღო და შვილიშვილებსაც, ანისა და ნანუკას თავზე ევლებოდა. რეზომ რამდენიმე წელი ამერიკელებთან ერთად ავღანეთში იმსახურა სამშვიდობო მისიაში. ეს დროებითი განშორება თუ ხასიათების შეუთავსებლობა გახდა იმის მიზეზი, რომ ახალგაზრდა მეუღლეების ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა და თუმცა ქალბატონი ნანა ბევრს ეცადა, ამ ბზარის ამოვსება ვერ მოხერხდა და ოჯახი დაინგრა. რეზო წავიდა, მისი ცოლი და შვილები კი მის მშობლებთან დარჩნენ. შვილიშვილებზე ზრუნვა მათ დედასთან ერთად ქალბატონმა ნანამ და ბატონმა ომარმაც იტვირთეს, ბებიამ და პა-



ყველაზე მნიშვნელოვანი სიკეთის კეთებაა

ნაწული ლალიაშვილი:

მჯერა, რომ საქართველოს ღირსეული მომავალი ექნება და ჩვენი სამშობლო ძლიერი, დაცული სახელმწიფო იქნება;

ძალიან საინტერესო ცხოვრება გავიარე. ადამიანებისგან ბევრი სიყვარული მივიღე – ეს ჩემთვის ყველა ჯილდოსა და რეგალიაზე ძვირფასია;

ქართველი ქალი ძალიან ძლიერია, ის არასდროს გაქცევია პასუხისმგებლობას და მოვალეობას ოჯახის და ქვეყნის წინაშე; – ეს სიტყვები ალტერნატიული მედიცინის აკადემიის „წინ ბედნიერებისკენ“ დამფუძნებელს, ევროპის ბიოენერგოკორექტორთა ასოციაციის საპატიო წევრს,

ქალბატონ ნაწული ლალიაშვილს ეკუთვნის.

ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს მას. ქალბატონი ნაწულის წინასწარმეტყველებები, ასევე ლექციები, რომლებიც აკადემიის „წინ – ბედნიერებისკენ“ ფარგლებში ტარდება, დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის წლებია ეხმარება ადამიანებს, ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაში. განსაკუთრებით დიდი წვლილი აქვს შეტანილი მას ქალთა განვითარებისა და მათი უფლებების დაცვაში. ქალბატონი ნაწული აქტიურად არის ჩართული ღონისძიებებში, რომლებიც საქართველოში ქალთა საზოგადოების გაძლიერებას ემსახურება.

ნაწული ლალიაშვილი ათეული წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკაში, შემდეგ კი – მოსკოვში, სადაც მის სეანსებს და მასტერკლასებს მსოფლიოს ცნობილი ადამიანები და ბიოენერგეტიკოსები ესწრებოდნენ. ამ შეხვედრების შესახებ იგი ავტობიოგრაფიულ წიგნშიც უყვება მკითხველებს. ნაწული ლალიაშვილი ეხმარება ადამიანებს ჰპოვონ სულიერი სიმშვიდე, მიაღწიონ სტაბილურობას, კეთილდღეობას, დაძლიონ პრობლემები და უკეთესობისკენ შეცვალონ საკუთარი ცხოვრება.

– ქალბატონო ნაწული, თქვენ წლების განმავლობაში ცხოვრობდით და წარმატებით საქმიანობდით უცხოეთში, რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში დაბრუნება?

– რაც არ უნდა წარმატებული იყო სხვაგან, შენი სამშობლო ყოველთვის გეძახის. ეს არის უწყვეტი კავშირი, რომელსაც მაგიური ძალა აქვს. სამშობლოშია ჩვენი ფესვები, რომლებიც აუცილებლად გვაბრუნებს უკან, ამიტომაც კარგად მესმის ჩვენი ემიგრანტების, ამიტომაც ვუსურვებ თითოეულ მათგანს სამშობლოში მალე დაბრუნებას. სამშობლოს მონატრებამ, ნოსტალგიამ ისე შემაწუნა, რომ ყველაფერი დაეტოვე და დაებრუნდი ჩემს ქვეყანაში. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ძალიან საინტერესო ცხოვრება მარგუნა. ადამიანების სიყვარული არასდროს დამკლბია და ეს სიყვარული ყველა ჯილდოზე და რეგალიაზე ძვირფასია ჩემთვის.

მოგეხსენებათ, ქალის ცხოვრება იოლი არ არის, არც მე გამივლია მარტივი გზა. ქართველი ქალი ძალიან ძლიერია. საქართველოსთვის ყველაზე მძიმე პერიოდებში, ქართველმა ქალმა საკუთარ თავზე აიღო მძიმე ტვირთი – ოჯახის გაძლიერების პასუხისმგებლობა და ამ მოვალეობას არასდროს გაქცევია, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის ვალს ოჯახის, სამშობლოს წინაშე. საქართველოს ისტორია სასუსა გმირობის და თავდადების საოცარი მაგალითებით, როდესაც ჩვენი ქალები ტოლს არ უდებდნენ მამაკაცებს სამშობლოს სიყვარულსა თუ მამაცობაში. მე იღბლიანი ქალი ვარ, ძლიერი და გონიერი ქალების ოჯახში გავიზარდე. ასეთი ქალი იყო დედაჩემი და ასე-



თი იყო ჩემი ორივე ბებია. დედა ქალთა კონსულტაციაში მუშაობდა, ათწლეულები ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, ძალიან ბევრ ადამიანს ედავებოდა და უსასყიდლოდ ეხმარებოდა. მისგან ვისწავლე, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე მნიშვნელოვანი სიკეთის კეთება და ადამიანებზე ზრუნვაა. თვითონ ასეთი იყო და მეც ასე გამზარდა, ამიტომაც იყო, რომ ყველაგან და ყოველთვის ჩემ ირგვლივ უამრავი ადამიანი იყო. თავს არ ვიქებ, მაგრამ შემძლია ვთქვა, რომ 50 წლიანი თანაცხოვრების განმავლობაში, ჩემი ქმრის საუკეთესო მეუღლე ვიყავი, თუმცა თვითონაც სანიშნო ადამიანი იყო. სამი შვილი გაუზარდეთ, მახარებს, რომ ისინი წესიერი, კეთილსინდისიერი, წარმატებული მოქალაქეები არიან. როგორც ჩემი შვილები ამბობენ, კარგი დედა და ხუთი შვილიშვილის საუკეთესო ბებია ვარ. სხვანაირად ვერც იქნებოდა, ოჯახი ხომ ადამიანის სარკეა. რაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვნახე, ის გამომევა საგზლად, როგორც დედა ვურჩევ ყველა ქალს – განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ შვილებს. შევახსენებ მათ, რომ ძირითადად დედა განსაზღვრავს, როგორ წარიმართება შვილის ცხოვრება. შევახსენებ თითოეულ ქალს და ზოგადად, თითოეულ ადამიანს, რომ ყველას გვმართებს მეტი სიკეთე.



ოპტიმიზმი, სიძლიერე. მხოლოდ იმედი და უკეთესი მომავლის რწმენა გაგვიყვანს ამ რთულ დროს სამშვიდობოზე. ჩვენ, ყველამ ჩვენი საქმიანობით თუ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით სამშობლოს წინაშე ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ქვეყნის წინსვლაში.

— გაიხსენეთ, როგორ დაიწყო თქვენი წინასწარმეტყველებები?

— საკმაოდ პატარა ასაკში. ბები-აჩემი ღრმადმორწმუნე, განსწავლული ქალი, ცნობილი სახალხო მკურნალი იყო, იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ მასთან მთელი საქართველოდან ჩამოდიოდა ხალხი და ისიც სხვადასხვა მეთოდებით უმურველად ეხმარებოდა ადამიანებს. ყველაზე ადრე სწორედ ბებია მიხვდა, რომ მისი უნარი გადმომეცა მეძვედრეობით და ბევრ რამეს მასწავლიდა. განსაკუთრებით მიზიდავდა მისი უძველესი საუკუნოვანი რელიგიური წიგნი, რომელიც საოცარ მაგიურ საიდუმლოებებს, მათ ახსნას და წესებს ინახავდა. თუმცა ეს ყველაფერი ძალიან მაინტერესებდა, მაინც ვფიქრობდი, რომ ჩემი გზა მქონდა, ძალიან მიყვარდა მუსიკა, ხელოვნება, კონსერვატორიაში ჩავაბარე. რამდენიმე წელი ვმუშაობდი პედაგოგად ფორტეპიანოს განხრით, მაგრამ შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა. ბებიას გარდაცვალების შემდეგ მიხვდი, რომ მისი გზის შეწყვეტა არ შეიძლებოდა და რომ სწორედ მე უნდა გამეგრძელებინა ეს გზა. მოხდა ისე, რომ დიდი ხნით მომიწია აქაურობის დატოვება და უცხოეთში გადასვლა საცხოვრებლად, სადაც ჩემი შესაძლებლობების განვითარებისთვის

მეტი ასპარეზი იყო. საკმაოდ დიდხანს მოსკოვში ცნობილ ალტერნატიული მედიცინის ცენტრში ვიყავი დაკავებული, ვმუშაობდი მიწვეულ პედაგოგად. იმ პერიოდში დიდი გამოცდილება შევიძინე. მაშინ ძალიან ბევრ ქვეყანაში ალტერნატიული მედიცინა, ბიოენერგეტიკა, ეზოთერიკა ძალიან დიდი ყურადღებით სარგებლობდა. სწორედ მაშინ მომიწია თანამშრომლობა ჯუნა დავითაშვილთან და ამ სფეროს სხვა ცნობილ წარმომადგენლებთან. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო და პროდუქტიული წლები იყო.

— ადამიანები საოცარ ისტორიებს ყვებიან თქვენი ფენომენალური ნიჭის შესახებ. გაგვიზიარეთ როგორ ეხმარებით ადამიანებს ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში?

— ადამიანებს პრობლემები ყველა დროში და ყველგან ერთნაირი აქვთ, თუმცა ამ ბოლო წლებში უფრო და უფრო მეტი ადამიანი მომმართავს მძიმე დეპრესიებით. მათ თითქოს ცხოვრების აზრი დაკარგეს. ეს ძალიან დიდი პრობლემაა ჩვენს საზოგადოებაში, ამას ემატება სოციალური პრობლემები, გართულებები, პირად ცხოვრებაში, კარიერაში. იყო პერიოდი, როდესაც ამა თუ იმ მიზეზების გამო შევწყვიტე ადამიანების მიღება და მხოლოდ გარკვეული წრის წარმომადგენლებს ვიღებდი, თუმცა შემდეგ მალე კვლავ დავიწყე იმ ადამიანების მიღება, ვისაც ჩემთან შეხვედრა სურდა, რადგან მათ ჩემი დახმარება სჭირდებოდათ. მიღებაზე უარს ვერ ვეტყვოდი. თითქმის ყოველდღიურად მაქვს კონტაქტი უამრავ ადამიანთან, რომლებიც

ჩემთან სხვადასხვა პრობლემებით მოდიან. არსებობს უამრავი მეთოდი და პროცედურა, რომლითაც შესაძლებელია ამ პრობლემების მოგვარება და მიზნების მიღწევა.

— რა რჩევებს მისცემთ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრების რთული პერიოდი უდგათ?

— დღეს, მთელ სამყაროს, შესაბამისად ჩვენს ქვეყანასაც მძიმე დრო უდგას, ამ მძიმე პერიოდში, როგორც არასდროს განსაკუთრებით გვეჭირდება გაერთიანება, გამთლიანება, ერთმანეთის გატანა. მეტად გავამხნევოთ ერთმანეთი, ჩვენ ხომ ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ და ერთად უნდა გავიმარჯვოთ, ერთად უნდა შევქმნათ ჩვენი სამშობლოს წარმატებული მომავალი. ეს რთული პერიოდი გაივლის, მანამდე კი მინდა ყველას გისურვოთ გამძლეობა და ჯანმრთელობა.

ძლიერი სახელმწიფოს საყრდენი განათლებული ახალგაზრდა თაობაა. ძალიან მიხარია, რომ მოდის ახალი თაობა, მოდიან განათლებული, პროფესიონალი, სამშობლოს მოყვარული ახალგაზრდები, ისინი შექმნიან ახალ წარმატებულ ეტაპს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მჯერა, რომ საქართველოს ექნება ღირსეული მომავალი და ის გახდება წარმატებული, ძლიერი, დაცული სახელმწიფო, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ამას იმსახურებს, საჭიროა ცოტა მეტი შრომა და ჩვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. ჩვენი ადგილი ყოველთვის იქნება მსოფლიოს დიდ ერთა შორის!

პროექტის

ეკოარქიტექტორად აღიარებული ჯულიანო მურიას პროექტით აშენებული 650 კვადრატულ მეტრზე განთავსებული ეკლესია ბელგრადოში იმით გამოირჩევა, რომ მას არც ტრადიციული კედლები აქვს და არც გუმბათი. ეს უჩვეულო საკულტო ნაგებობა ხის, სახელობრ, რცხილის დაწნული 42 სვეტისგან შედგება, სვეტსა და სვეტს შორის კი 80 ძირი რცხილა და 180 ძირი ნაძვია დარგული. ავტორის ჩანაფიქრით 15-20 წელიწადში ამ ხნის განმავლობაში გამსხვილებული ხეების კარკასი ჩამოიშლება, სამაგიეროდ, 650 კვადრატულ მეტრზე „აგებული“

უჩვეულო ეკლესია დროის ამ მონაკვეთში საოცარ კონსტრუქციად ჩამოყალიბდება.

ჯულიანო მური ცოცხალი აღარ არის, მისი უჩვეულო პროექტი კი კვლავაც ცოცხლობს. ეკოარქიტექტორის შეილი და ბელგრადოელები ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რათა ამ საოცარი ეკლესიის სიცოცხლე არ შეწყდეს და ადამიანებს კიდევ დიდხანს ჰქონდეთ მისი თკობის შესაძლებლობა.

ნაირ-ნაირი



«რა ენა წახდეს»...

„რა ენა წახდეს, ერი დაკნინდეს“, - შეგვასმენდა და გვაფრთხილებდა საუკუნუნახვერის წინ ჩვენი სახელოვანი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი.

„ესა თუ ის ხალხი საუკუნეთა მანძილზე აყალიბებს თავის კულტურას, ენას, ხასიათს; ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის... დონე მისი გენის მარჯვენაა. მაგრამ ერის სულის ყველაზე ნათელი გამოსატყულება მანძი ენაა. იგია იდუმალი და აუხსნელი საუნჯე, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა სჭირდება. ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისეთივე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო... განაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველსმოფეული სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია როგორც სვეტიცხოველი და ნახი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

ქართული ენის უზვეულობას იმთავითვე გრძნობდნენ მწერლები. ამიტომაც მრავალი ლექსი და საგალობელი უძღვნეს შესამკობად, მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს საიდუმლოებით მოცული „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, ნუ დავივიწყებთ, რომ ენას — ღვთივობებულ ამ საგანძურს სასოებით დაცვა და გაფრთხილება უნდა, როგორც ერთ-ერთ საწინდარს ჩვენი ბედნიერებისას“, — ეს კი ჩვენი პატრიარქის, ილია II-ს შეგონებაა.

ვითომ ვითვალისწინებთ ამ შეგონება-გაფრთხილებას, ვეფერებით, ვიცავთ და ვუფრთხილდებით მრავალ საფრთხე-უბედურებაგამოვლილ ჩვენს მშობლიურ ენას?! ვაი რომ არა! ასე რომ არ იყოს, განა აგრე დაუფიქრებლად ჩანაცვლებდით საოცრად მეტყველ, ლამაზ ქართულ სიტყვას არაქართული (მნიშვნელობა არა აქვს, რუსულია ეს სიტყვა, ინგლისური თუ ფრანგული) შესა-

ტყვისით, ან აგრე დაუდევრად, მნიშვნელობაცდენით ვიხმარდით არა ერთ სიტყვას თუ გამოთქმას?! რატომ არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ლამის მთელ საქართველოში, თუ აბრებს დაეჯერება, მაღაზიებში (ბოდიში, მარკეტებში) ხილი და ბოსტნეული კი არა, ხილი და ბოსტანი იყიდება?! გამოდის, რომ ასეთ მაღაზიებში ბოსტნეულს კი არა, პირდაპირ ბოსტანს ჰყიდის და ჩვენ რომ გვგონია, ამა თუ იმ ბოსტნეულს ვყიდულობთ, თურმე ყოველ ჯერზე შინ ორი თუ სამი კილოგრამი ბოსტანი მიგვაქვს.

საქართველოს დიდ-პატარა ქალაქების თუ სოფელ-დაბების შენობების კედლები, დობეები, სხვადასხვა დანიშნულების ბოძები თუ დაფები აჭრულებულია ათასგვარი რეკლამა-განცხადებებით, რომელთა დიდი უმრავლესობა ამა თუ იმ ხელობის ოსტატის მომსახურებას გვთავაზობს, და თუმცა თითოეული ამ ხელობა-ხელოსნის ჩინებული ქართული შესატყვისი არსებობს, გამვლელ-გამომვლელს ასეთი „მარგალიტებით“ სთავაზობენ მომსახურებას: კორმა (საკეები), იამა (ორმო), დვერშიკი (კარების ხელოსანი), შესტიანშიკი (მეთუნეუქე), სლესარი (ზეინკალი), ტოკარი (ხარატი), ტრუბები (მიღები), მეშალკა (სარევი), რემენის ხამუტი (ღვედის ცალული), დრაბილკა (სამსხვერველი), შარავი (ბურთული)9 ბოჩკები (კასრები) და ა. შ. ამ ბოლო დროს ამ არასრულ ჩამონათვალს კიდევ ერთი „მარგალიტი“ შეემატა — „სტაიანკა“ და შესაბამისი „სტაიანშიკი“, შევახსენებთ ამ პატივცემულ „სტაიანშიკებს“, რომ იმ ადგილას, სადაც ამა თუ იმ სახის ტრანსპორტი კარგა ხნით ჩერდება, სადგომი, გასაჩერებელი ადგილი ჰქვია ქართულად.

არცთუ იშვიათად, სპორტული კომენტატორებიც სცოდავენ, თუნდაც ფეხბურთის მატჩების კომენტატორები ავიღოთ. რატომ უნდა ხმარობდეს ქართველი კომენტატორი ვთქვათ, ხელოვნურად ჩამოქნილ გამოთქმას „პასი გაუკეთა?!“, როდესაც სრულიად ბუნებრივად, მარტივად, ყველასთვის გასაგებად და მშობლიური ენის დაუკნინებლად უნდა ითქვას „ბურთი

გადასცა ან გადააწოდა?!“

ჩვენი, თანამემამულეების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მათ განაღვისებას ისახავდა მიზნად ტელეგადაცემა, რომლის მონაწილენიც დაბეჯითებით გვირჩევდნენ შეგვესრულებინა „ოტჟიმანიე“, დაემდგარიყავით „სტოიკაში“ და ა. შ. ვთქვათ, ადამიანებმა, რომლებიც ამგვარ რჩევებს აძლევდნენ ტელემეფურებლებს, არ იცოდნენ ამ ტერმინების თუ გამოთქმების ქართული შესატყვისები, ტელევიზიის თანამშრომლები ხომ ვალდებულები იყვნენ მოეტყვნათ, დაედგინათ, გადაემოწმებინათ ისინი და მხოლოდ ამის შემდეგ გაეჟღერებინათ ათასობით მსმენელის გასაგონად?! შევახსენებთ მათ, რომ „ოტჟიმანიე“ ქართულად აზიღვია, „სტოიკა“ კი — დგომი. არცთუ დიდი ხნის წინ ერთ-ერთი ტელეგადაცემის წამყვანმა ასეთი ქართული შემოგვთავაზა: „მოხდა მოკვლა“.

ქართულ ენაში ფესვგადგმულ რუსულ ბარბაროზმებს ბოლო დროს კომპიუტერულ ტექნიკასთან, ათასნაირ ტელეფონებთან თუ სმარტფონებთან ერთად მოვარდნილი ახალი ტექნოლოგიების აღმნიშვნელი უცხოენოვანი სიტყვების, ტერმინების ნიაღვარიც მოჰყვა. ბუნებრივია, რომ ჯერჯერობით მათი ქართული შესატყვისები არ არსებობს და შეიძლება არც მომავალში გაჩნდეს, მაგრამ როცა ამა თუ იმ არსებითი თუ ზედსართავი სახელის, ზმნის სრულფასოვანი და მოხდენილი ქართული შესატყვისი არსებობს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უცხოენოვანი სიტყვა-გამოთქმების ხმარება ჩვენი მშობლიური ენის შეურაცხყოფაა.

ძვირფასო თანამემამულენო, ქართველებო, თუ არ იცით, ან არ გახსოვთ, რომ არსებობს ათასნაირი დარგობრივი რუსულ-ქართული, ინგლისურ-ქართული, ფრანგულ-ქართული, თურქულ-ქართული და ა. შ. ტერმინოლოგიური ლექსიკონები, შეგახსენებთ და გამცნობთ, რომ ლექსიკონი არის „წიგნი, რომელშიც გარკვეული წესით ჩამოთვლილია ამა თუ იმ ენის სიტყვები ან რომელიმე დარგის ცნებები და მოცემულია მათი განმარტება“.

ამასთან შევახსენებთ: „რა ენა წახდეს, ერი დაკნინდეს“.

მანანა ბელაშვილი



გვიდიოჯის ღარგუი ნოხელის პრემიის პირველი ლაურეატი საქართველოში ცხოვრობდა, აქედან ხუთი წელი ქალბატონმა ბერტამ ზუგდიდში, ეკატერინე ჭავჭავაძის სასახლეში გაატარა. მაინც როდის და როგორ აღმოჩნდა ავსტრიელი გრაფის ქალიშვილი ზუგდიდში?

საქართველოშიც და ავსტრიაშიც, ცოტამ თუ ვინმემ იცის, რომ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ბერტა კინსკი მეუღლესთან, მწერალ არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერთან ერთად ცხრა წელი საქართველოში ცხოვრობდა, აქედან ხუთი წელი ქალბატონმა ბერტამ ზუგდიდში, ეკატერინე ჭავჭავაძის სასახლეში გაატარა. მაინც როდის და როგორ აღმოჩნდა ავსტრიელი გრაფის ქალიშვილი ზუგდიდში?



წავიდა. იყო ეს ოცნება ქალიშვილური გულისა თუ შთამომავალი ქართველთა მეფისა გაექცა სიყვარულს, რომელიც ემუქრებოდა მას, ეს მე დღესაც არ ვიცი, მაგრამ კარგათ მახსოვს, თუ როგორ ვიტანჯებოდი და ვსტიროდი, — ერთი სიტყვით, ჩავლიოდი მას, რასაც ჩაიდენს შეყვარებული ქალიშვილი.“

საქართველოში ბერტა კინსკიმ და მისმა მეუღლემ ცხრა წელი დაჰყვეს, აქედან ხუთი წელი ზუგდიდში, ეკატერინე ჭავჭავაძის სტუმრები იყვნენ. ზუგდიდში ყოფნისას ისინი ფრანგ ჟურნალისტ ჟიულ მურიესა და იონა მეუნარგიას „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნაში ეხმარებოდნენ. ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ბერტამ და მისმა მეუღლემ ზუგდიდი დატოვეს და თბილისში დაიდეს ბინა. აქ ბერტა ფრანგულ და გერმანულ ენებსაც ასწავლიდა და მუსიკასაც, მისი მეუღლე კი ავეჯის ფაბრიკაში მუშაობდა მხატვარ-გამფორმებლად. მთავარი კი ბერტა კინსკისთვის მწერლობა გახდა, სწორედ საქართველოში ჩამოყალიბდნენ ის და მისი მეუღლე პუბლიცისტებად და მწერლებად. 1905 წელს ბერტა ზუტნერმა რომანისთვის „ძირს იარაღი!“ მშვიდობის დარგში ნობელის პრემია დაიმსახურა. ეს ნაწარმოები მსოფლიოს 16 ენაზე ითარგმნა და გამოიცა, მისი პირველი ეგზემპლარი კი ზუგდიდში, დადიანების სასახლეშია დაცული. ბერტა ფონ ზუტნერი 1914 წელს გარდაიცვალა ვენაში.

ოჯახის უფროსის, გრაფ კინსკის გარდაცვალების შემდეგ მის ცოლ-შვილს ისე გასჭირვებია, რომ ბერტას ვენაში, ბარონ ფონ ზუტნერის ოჯახში დაუწყებია გუვერნანტად მუშაობა, სწორედ მაშინ გაუცვინია თავისი მომავალი მეუღლე, მასზე შვიდი წლით უმცროსი არტურ ფონ ზუტნერი, რომელსაც თავდავიწყებით შეჰყვარებია იგი, მაგრამ მის მშობლებს ბერტა მათი ოჯახისთვის შეუფერებელ რძლად მიუჩნევიათ და ქალიშვილიც იძულებული გამხდარა არა მარტო ფონ ზუტნერების ოჯახი, არამედ ვენაც დაეტოვებინა. პარიზში ჩასულმა გონიერმა და ენერგიულმა ბერტამ აღფრედ ნობელის პირად მდივნად დაიწყო მუშაობა, სულ მალე კი მან და არტურ ფონ ზუტნერმა იქორწინეს, ცხადია, ახალგაზრდა ბარონის მშობლები სგან ჩუმად. ცოტა ხანში კი ცოლ-ქმარმა ვენა დატოვა და საქართველოს მოაშურა, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძე ეგულებოდათ და იმედიც ჰქონდათ, რომ სამეგრელოს დელოფალი სიამოვნებით მიიღებდა და უმასპინძლებდა. ბერტა ფონ ზუტნერმა და ეკატერინე ჭავჭავაძემ ერთმანეთი 1866 წელს გაიცვენეს ქალაქ ჰამბურგში. ახალგაზრდა ავსტრიელმა ქალმა იმდენი საინტერესო რამ მოისმინა მისთვის მანამდე უცნობი ქვეყნის, საქართველოს და მისი ერთ-ერთი კუთხის, სამეგრელოს შესახებ, რომ მეუღლესთან ერთად თამამად გამოემშურა აქეთკენ.

1864“, წლისა, რომელიც სავსეა ჩემთვის ცოცხალი მოგონებით და აქვს კავშირი მთელს ჩემს შემდეგ ცხოვრებასთან. ის ჩვენ გავატარეთ ჰამბურგში. აქ მე გავიცანი მრავალი საინტერესო პირი, რომელთა შორის უფრო მეტად საინტერესო იყო ნაცნობობა შემდეგ მეგობრობაზე გადასული მეგრელების კენიანთან — ეკატერინე დადიანთან. ყოფილი დელოფალი პატარა მეგრელისა კავკასიაში, რომელიც დღეს გადასულიყო რუსეთის საკუთრებათ. თავის შვილების აღსაზრდელათ ის ცხოვრობდა ევროპაში, ხან პეტერბურგში, ხან პარიზში, ზაფხულს კი ჩვეულებრივ ატარებდა ჰამბურგის კურორტზე. როგორ მოხდა ეს, არ ვიცი, მაგრამ მას ძლიერ ჩქარა შეუყვარდი და არც მიშორებდა თავიდან. აქ მე ერთხელ ვნახე რუსის მეფე ალექსანდრე მეორეის თავის ადიუტანტთან დასეირნობდა პარკში. დაინახა კენინა თუ არა, მივიდა მასთან, რაინდულად ეამბორა ხელზე და რამოდენიმე ხანს ისეირნეს ერთად...“

„ჩვენი მიზანი იყო იმ ქვეყანაში მოხვედრა, საიდანაც იაზონმა ოქროს საწმისი გაიტაცა... ჩვენ თვალწინ მოულოდნელობით აღსავსე ახალი სამყარო გადაიშალა“... — დაწერს იგი თავის მოგონებებში.

გაზეთის „ხმა ქართველი ქალის“ 1918 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ მოგონებებში ბერტა კინსკი სიამოვნებით იხსენებს საქართველოში გატარებულ წლებს „ზაფხული

ამავე ეპოქასთან აქვს დამოკიდებულიება ცნობისმოყვარე ეპიზოდს ბერტა კინსკის შეყვარების, კენინა მეგრელების მძისწულის გერაკლი გრუზინსკისა. ის იყო დაახლოებით 40 წლის ვაჟკაცი, საშვალო ტანის, არისტოკრატიული მოხდენილი ელეგანტური სახისა, შავი უღვაშებით, მჭრელი გამომხატველი პროფილით და უცნაური სევდიანი, თითქმის დაღვრემილი სახით.

მართალი რომ ვსთქვა, არა მართო მისი სიმდიდრე და დიდი გვარი მითაცებდა, აგრეთვე კიდევ უფრო მეტად ის „მსოფლიო სევდა“, რომელიც იხატებოდა მის სახეზე. ის იყო შთამომავალი ქართველი მეფეებისა და მეგონა, რომ მთელი სევდა და მთელი ტანჯვა მისი მშვენიერი სამშობლოსი იხატებოდა მის სახეზე. მეგონა, რომ ის იყო მზად ჩემი გრძნობების საპასუხოდ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ერთს მშვენიერ დღეს



ასე დავიწყებულ დიდებულ ქალბატონი

„გარდაიცვალა პირველი პოეტი ქალი, ნინო ორბელიანისა და იცი, სად, მკითხველო? ღარიბთა თავშესაფარში, დიას. იქ, სადაც გარდაიცვლებიან ხოლმე მხოლოდ უსახელო და უსახლო, უილაჯო და უთვისტომო, სიყვარულს და სიხარულს მოკლებულნი ბედშავნი!

ნინო, ნინო ორბელიანისა კი რჩეული იყო; ნიჭით, გონებით, სათნოებით, გულმხურვალეობით მოყვასისადმი, უმაღლესი პატრიოტულის გრძნობით, რომლის ქურუმობას ენეოდა უკანასკნელი სულის ამოხდომამდე“...

ასე წერდა ეკატერინე გაბაშვილი ქართველ მწერალ ქალთა იმ სამხატვრო-სალიტერატურო აღმანახის 1926 წლის მე-2 ნომერში, რომელსაც ქართველ მწერალ ქალთა ჯგუფი გამოსცემდა.

სამწუხაროდ, ჭეშმარიტად ღირსეული მანდილოსნის ცხოვრება-მოღვაწეობისა და სვე-ბედის შესახებ დღეს ქართველთაგან ცოტამ თუ ვინმემ იცის.

იგი 1838 წელს დაბადებულა სოფელ ახალქალაქში (კასპის რაიონი). მისი მამა, შეძლებული მემამულე, მახვილსიტყვაობით ცნობილი სეიმონ აბაშიძე, თავის მამულში, სოფელ დილიკაურში ცხოვრობდა მეუღლესთან, მაკრინე თარხნიშვილთან ერთად, რომელიც გიორგი სააკაძის შთამომავალი და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ლუარსაბ თარხნიშვილის ასული გახლდათ. ეს პირმშენიერი ქალბატონი გარეგნობასთან და სათნო ბუნებასთან ერთად თურმე განსწავლულობითაც გამოირჩეოდა, მას ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც იმხანად მიღებულ ყაიდაზე – გაბმული სიმღერით კითხულობდა. ბუნებრივია, განსწავლული დედა საკუთარი შვილის განათლება-განვითარებაზეც უთუოდ იზრუნებდა, სწორედ დედამ ჩაუნერგა ნინოს მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემა. გონებაგახსნილი და ხალისიანი ნინო ახალქალაქში არსებულ თავისებურ სასწავლებელში ოსტატ თამარ თარხნიშვილს მიაბარეს. ოჯახის ერთგულ ყმას, პეტრუა კაპრაშიძეს გოგონა ყოველ დილით ზურგზე შესმული მიჰყავდა გარიყულაში სასწავლებელში, სადაც იგი სხვა ბავშვებთან ერთად კითხულობდა „დავითიანს“, სწავლობდა წერას, სწავლას რომ მორჩებოდა, პეტრუას ისევ ისე, ზურგზე შესმული მიჰყავდა შინ.

თოთხმეტი წლის რომ შესრულდა, ნინო სოფლის ლად ცხოვრებას მიაშორეს და მასზედ ბევრად უფროს მამაკაცს, ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს გამომძიებელს, ევგენი მაისურაძეს მიათხოვეს.

გახუნდა ნინოსთვის კამკაშა ფერები, დადუმდა წკრიალა ხმები... აბა რა მეუღლეობა უნდა გაეწია 14 წლის მეოცნებე



ნინოს, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ ბიძის მიერ ნაჩუქარი წითელი კაბით გახარებული თემის ნაპირას ჩამომჯდარი სოფელ თანატოლებს ეტიკტიკებოდა: „გოგოებო, იცით, ბაყაყები მკითხავენ: „წითელი კაბა ვინ გიყიდაო და მეც ვეუბნები, ძიამ მიყიდა, ძიამ მიყიდა-მეთქი“. ყმაწვილი ნინოს თავს მოხვეულ ყოფას ისიც დაემატა, რომ მის ქმარს ფსიქიური აშლილობა მოეძალადა მოკლე ხანში იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა. 16 წლის ასაკში დავკრევივებულ ნინოს ექვსი თვის ვაჟიშვილით ხელში უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება. საკუთარ თავში ჩაკეცვა, საზოგადოებისგან გარიყვა არც უფიქრია, ბევრს კითხულობდა, რუსთაველის, გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ბარათაშვილის შემოქმედებით შთაგონებულმა გაბედა და თავადაც აიღო ხელში კალამი. ნაფიქრალ-საფიქრალი, სათქმელი და ნაოცნებარი ქალაღმზე გადაჰქონდა, ლექსებსაც წერდა, მაგრამ მალევე ხედა. მერე ის დღეც დადგა, როცა გაბედა და ქუთაისის მოწინავე საზოგადოებაში გაერია, ხალისით მონაწილეობდა საღამოებში, შეხვედრებში, საუბრებში, კამათსა და მსჯელობაში. შეხვედრები აკაკი წერეთელთან, მამია გურიელთან, გიორგი წერეთელთან გაბედავლებას ჰპატებდა და ნაცნობ-მეგობართა შემახილებით

წახალისებულმა 1864 წელს „ცისკრის“ რედაქციაში რამდენიმე ლექსი გაგზავნა. ამ ჟურნალის იმავე წლის აგვისტოს ნომერში შედგა ნინო ორბელიანის ლიტერატურული დებიუტი. პირველი წარმატებით ფრთაშესხმული იგი იწყებს თანამშრომლობას „ივერიაში“, „დროებაში“, „კვალში“, „მნათობში“, „თეატრში“, „სახალხო გაზეთში“, „ცნობის ფურცელში“, „ნაკადულში“. სილამაზითა და გონიერებით, ხალისიანი ბუნებით გამორჩეული ნინო ქუთაისის საზოგადოების სული და გული ხდება. როდესაც საცნაური გახდა, რომ საქართველოში სტუმრად მყოფი რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე ქუთაისსაც უნდა სწევოდა, ჭკალადიღმი მის შესაგებებლად შერჩეულ თვალტანად ცხენოსან ქალებს სწორედ ნინო აბაშიძე მიუძღოდა, ხოლო იმპერატორის საპატივცემულო ვახშამზე ნინომ იცეკვა კიდევ, გამოხდა ხანი და მან პეტერბურგიდან იმპერატორის საჩუქარი — ძვირფასი ბროში მიიღო.

კიდევ ერთხელ ქუთაისის საზოგადოება ნინომ მამინ



აალაპარაკა, როდესაც მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ სცენაზე წარმოდგენილ სპექტაკლში „შხის დაბნელება“, რაც საზოგადოების თვალში მეტად გაბედული საქციელი იყო ქალის მხრიდან.

სიცოცხლით სავსე, მომხიბვლელი, კისკასი ახალგაზრდა ქერივი ბევრ მამაკაცს უჩქროლებდა გულს, თავანისმცემელთაგან ყველაზე გაბედულმა, შტაბს-კაპიტანმა გიგო ორბელიანმა ყველას აჯობა, იყოჩაღა და დაღესტანში გაიტაცა ნინო. ამის შემდეგ ცოტა ხანში იგი სამხედრო სამსახურიდან გადადგა და მეუღლითურთ სოფელ ტანძიაში, საკუთარ მამულში დასახლდა. ნინო ენერგიულად შეუდგა მამულთან დაკავშირებული საქმეების მოწესრიგებას და თავისი ხასიათის წყალობით მალე ადგილობრივი მოსახლეობის გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ორი წლის შემდეგ ოჯახი თბილისში გადასახლდა და ერთხანს მამულიდან მიღებული შემოსავლით ირჩენდა თავს, თუმცა მალე მამულების დაგირავება გახდა საჭირო და ქონებას ვალში დაკარგვა დაემუქრა. თუმცა საფიქრალ-საზრუნავი მოემატა, ნინო საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ჩამოსცილებია, კვლავინდებურად ხალისით მონაწილეობდა სპექტაკლებში („გაყრა“, „შხის დაბნელება საქართველოში“, „მეფე ლირი“, „დარია“, „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები), წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, ბიბლიოთეკების დაარსების საქმეში, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა გაჭირვებულებს.

ლხინისა და ურთიერთობის მოყვარული ნინო ნადიმებსა თუ ზეიმებსე კითხულობდა საკუთარ ლექსებს, უკრავდა თარზე და მღეროდა, ორატორული ნიჭით გამორჩეული საჯაროდაც ხშირად გამოდიოდა სიტყვით. სულითა და გულით იღვწენდა, როცა ზაფხულობით დილიკაურში ჩადიოდა, სადაც აბაშიძეები იყრიდნენ თავს, დიდ სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებდა მას ახალქალაქში ბავშვობისდროინდელი საყვარელი დიდი კაკლის ქვეშ თარხან-მოურავებთან მოღვინაც.

1887 წელს გიგო ორბელიანი გარდაიცვალა, მისმა ნათესავებმა დრო იხელთეს, დაქვრივებულ ნინოს ადგილ-მამულებით სარგებლობის უფლება მოუსპეს და თავად დაეპატრონენ ყველაფერს. ყოველგვარ სახსარს მოკლებული ნინო ერთხანს კიდევ ახერხებდა თავის გატანას, კვლავაც კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრობდა სანაპიროზე, მერე კი იქაურობის დატოვებაც მოუხდა და სასტუმროებშია ახერხებდა ცხოვრებას, ამასობაში რუსეთში მყოფი მისი ერთადერთი შვილიც გარდაიცვალა და ტკივილს ტკივილი დაემატა. უკვე ხანდაზმული ნინო ორბელიანი ერთხანს თავის ძმასთან, ლადო აბაშიძესთან, ცხოვრობდა ფოთში, აბაშიძეში. გაჭირვებაში ჩავარდნილს ნაცნობ-მეგობრებიც შემოეფანტნენ, მხოლოდ მულისშვილი, გენერალ ივან აგლობეიოს ქალიშვილი, ნინო უგზავნიდა ყოველთვიურად მცირე თანხას, რომელიც ბინის ქირისთვისაც ძლივს ყოფნიდა, ცოტა ხანში კი დახმარების ეს წყაროც დაეშრია და 80 წლის მოხუც მანდილოსანს ახლობლების ხან ერთი ოჯახი იფარებდა, ხან მეორე, ერთმა ნათესავმა კი პატარა ოთახიც უქირავა, თუმცა მალე ქირის გადაუხდელობის გამო მეპატრონემ ბინა დაატოვებინა. ქუჩაში დარჩენილი მოხუცი შემთხვევით გამვლელმა ქალმა შეიბრალა და დავრდომილთა თავშესაფარში მიიყვანა. ყველასგან დავიწყებულ-მიტოვებული 82 წლის მოხუცი 1918 წლის დეკემბერში იოსებ გრამაშვილმა იხარულა. ოდნავ გამოცოცხლებულმა სვედამწარებულმა შემოქმედმა კვლავ აიღო ხელში კალამი და ტკივილით სავსე ლექსით მიმართა საზოგადოებას:

.....
 ... მე ბედმან, მასთან დროთა სვლამ
 დამაძაბუნა, უარმყო,
 მოყვანნი განზე გადაქით,
 მარტომ ამ სოფლად რაღა ვყო!..

 ყველასგან მიტოვებული ნინო ორბელიანი 1919 წლის 12 მარტს გარდაიცვალა.

მოგვიანებით გახეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა კოტე აბღუშელიშვილის წერილი, რომელშიც იგი წერდა:

„ათი დღის წინედ ჩამოვედი ტფილისს და მინდოდა ნახვა ნინო ორბელიანისა. ძლივს ვიპოვე — მიხეილის საავადმყოფოსთან არსებულ თავშესაფარში, პოეტი ქალი უნუგემოდ ერთ ცივ ოთახში იყო მოთავსებული, მან მწუხარებით შემომჩივლა, აუტანელ გაჭირვებაში ვიმყოფებო. ვინც მყავდა მომვლელ-მზრუნველი, ზოგი დამეხოცა, ზოგი შემომეფანტაო, არ მეგონა, თუ ჩემი საყვარელი ქართველი საზოგადოება ასე დამივიწყებდაო, მოიგონა ჩვენი უკვდავი შოთა რუსთაველის სიტყვები: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელიო“, მოიგონა აკაკის ანდერძიც ლექსად. ამ დროს შემოვიდა მოსამსახურე და კვითხე ავადმყოფობის შესახებ, მან მითხრა: „ამ ორ-სამ დღეში კარგად ბრძანდებოდა და ეხლა ცუდად შეიქნაო, დღეს ერთი ჭიქა რძე და თერთი პური მოინება, მაგრამ არ მქონდა საშუალება მიმერთმიო. მოუტანეს სოკოს წვენი, შავი პური და პირი ვერ მიაკარა. მე და ჩემთან მყოფმა დ. თარხნიშვილმა ზედამხედველ ქალს ასი მანეთი გადავეცით და ვთხოვეთ ეს ფული პოეტის საჭიროებისთვის მოეხმარებინათ. მესამე დღეს ისევ შევედი და მითხრეს: „წუხელის გარდაიცვალა და ყოვლად უპატრონოდ არის დარჩენილი, პატრონიც კი არ გამოჩენილა რომ დამარხოსო“.

ნინო ორბელიანი 1919 წლის 12 მარტს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ამბავი უმალ გახმაურდა, ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები, მისი შემოქმედების თავყვანისმცემლები დანანებით და სხვათათვის გაუმჟღავნებელი სინდისის ქენჯნით წარმოთქვამდნენ — ჩვენი ნინო გარდაცვლილა...

პრესა აჭრელდა მისდამი მიძღვნილი წერილებით, მოგონებებით. მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებამ, ნიჭიერმა და ლამაზმა, საზოგადოების მხრიდან სიცოცხლეში დაუფასებელმა, კეთილშობილმა მანდილოსანმა ტკივილიანი სიტყვებით სავსე საყვედური დაუტოვა მოძმეთ:

„რომ მოვკვდები, მაშინ დაიკვნესებენ,

ცოცხალს მტანჯვენ, მკვდარსა მომილექსებენ“...

მანანა ჰილაშვილი



ქალი პრეზიდენტები

პრეზიდენტი ლათინური სიტყვაა და წინ, თავში მჯდომს ნიშნავს. რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და საგარეო ურთიერთობებში მისი წარმომადგენელია, საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში კი მოსახლეობა პირდაპირი ან არაპირდაპირი არჩევნების გზით. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს და სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურის ფუნქციებს ასრულებს. ჩვენ, ქართველებს, ერს, რომელსაც საუკუნეების წინ

ჰყავდა ქალი მეფე, სულაც არ გვიკვირს, რომ მსოფლიოს რიგ ქვეყნებში დღესაც ქალებს ანდობენ სახელმწიფოს მართვას, იქნება ეს პრეზიდენტის თუ პრემიერ-მინისტრის რანგში. ყველას გვახსოვს, ინდოელი ინდირა განდი, ინგლისელი მარგარეტ ტეტჩერი, ყველამ ვიცით რა სიკეთე მოუტანეს მათ გონივრული, გაბედული მმართველობით საკუთარ ხალხს, ქვეყანას, ამავე დროს ჩვენ ნაკლები ვიცით სხვა დიდი თუ პატარა ქვეყნების, თუნდაც ისეთების, როგორცაა სლოვაკეთი, ლიბერია, მალტა, ისლანდია, ჩილე და სხვ. პრეზიდენტი თუ პრემიერი ქალბატონების შესახებ.

საქართველო



სალომე ზურაბიშვილი დაიბადა და გაიზარდა საფრანგეთში, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწის, წლების მანძილზე ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, ლევან ზურაბიშვილის, ოჯახში. იგი არის ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილი.

2004 წლის მარტში ქალბატონი სალომე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მის სახელს უკავშირდება საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. სამთავრობო გუნდთან კონფლიქტის შემდეგ ზურაბიშვილმა თანამდებობა დატოვა და აქტიურ ოპოზიციაში გადავიდა.

2016 წელს საპარლამენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა და-

მოუკიდებლად წამოაყენა. ზურაბიშვილმა არჩევნები მოიგო და საქართველოს პარლამენტში სადებუტატო მანდატი მოიპოვა. 2018 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში ზურაბიშვილმა საკუთარი კანდიდატურა ამჯერადაც დამოუკიდებლად წარადგინა, არჩევნები მან მე-2 ტურში მოიგო და 2018 წლის დეკემბრიდან საპრეზიდენტო საქმიანობას შეუდგა.

ლიბერია



ვიდრე თავისი ქვეყნის პრეზიდენტი გახდებოდა, **ელენ ჯონსონ-სერლიფმა** გრძელი გზა გამოიარა. 1938 წელს ლიბერიის დედაქალაქში დაბადებული ქალიშვილი 17 წლის ასაკში ვინმე ჯეიმს სერლიფს გაჰყვა ცოლად. ეს ცოლქმრული კავშირი შეუთავსებელი აღმოჩნდა, ასე რომ 1961 წელს უკვე ოთხი შვილის დე-

და ელენი, რომელიც იმხანად ავტოსარემონტო სახელოსნოში ბუღალტრად მუშაობდა, სასტიკი მოპყრობის გამო ქმარს გაეყარა.

გონიერმა და მიზანდასახულმა ელენმა ცოტა ხანში ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი მიიღო და ლიბერიის ფინანსთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. მიზანდასახულობის, გონიერებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით მან სულ მალე მიიქცია ყურადღება და მინისტრადაც დაინიშნა. მაგრამ ელენს მინისტრად დიდხანს არ უმუშავია, 1980 წელს ლიბერიაში მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო მან ლიბერია დატოვა, სამშობლოში ხუთი წლის შემდეგ დაბრუნებული ერთხანს შინაპატიმრობაში იყო, მერე კი მას ათწლიანი პატიმრობა მიესაჯა. გამოხდა ხანი და ლიბერიაში საყოველთაო არჩევნები გამოცხადდა, მოგვიანებით, სახელდობრ კი, 2005 წელს ლიბერიელებმა ელენ ჯონსონ-სერლიფი პრეზიდენტად აირჩიეს, ექვსი წლის შემდეგ კი იგი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ორი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში მართავდა ელენ ჯონსონ სერლიფი ლიბერიას, 2018 წელს კი იგი გადადგა. 2019 წელს ელენ ჯონსონ-სერლიფი ჯანმოს კეთილი ნების ელჩი გახდა.

მალტა

1928 წელს დაბადებული აგატა მშობლების ცხრა შვილიდან ერთ-ერთი იყო. გონიერმა და შრომისმოყვარე ქალიშვილმა **აგატა ბარბარამ** ამ თვისებების წყალობით სულ ახალ-





გაზრდამ დაიკავა ქვეყნის განათლების მინისტრის პოსტი. ამ თანამდებობაზე მუშაობის წლებში მან ქვეყნის წინსვლა-განვითარებისთვის ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, უწინარეს ყოვლისა, უფასო გახდა განათლება, შემოიღო საჯარო დაწესებულებით განათლება, დააარსა და ააშენა პედაგოგიური კოლეჯი და სპეციალური სკოლები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

მალტელებმა ჯეროვნად შეაფასეს ქალბატონი აგატას ღვაწლი და 1982 წელს, როდესაც ქვეყანას საკონსტიტუციო კრიზისი დაატყდა თავს, სიხარულით შეხვდნენ მის ქვეყნის პრეზიდენტად დანიშვნას.

ხუთი წლის შემდეგ, როცა პრეზიდენტობის ვადა ამოიწურა, აგატა ბარბარამ უდრტვინველად დატოვა პოსტი. იგი 2002 წელს გარდაიცვალა.

ინჟანინია



ვიგლის ფინანსდირი

რეკვიავიკში ინჟინერი მამისა და მეღვინის ოჯახში დაიბადა და იზრ-

დებოდა. სწავლობდა გრენობლის, სორბონის და კოპენჰაგენის უნივერსიტეტებში. 41 წლის ასაკში მას, ისლანდიაში პირველს, მისცეს ბავშვის შეილად აყვანის უფლება. ქალბატონი ვიგლისი სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს ფრანგული დრამის შესახებ, იმადვროულად თანამშრომლობდა რეკვიავიკის თეატრის დასთან, ზაფხულობით კი, ტურისტულ სეზონში, გადადგ მუშაობდა, იყო ისლანდიის ფემინისტური მოძრაობის აქტიური წევრი და მონაწილეობდა გენდერულ თანასწორობასა და ზოგადად ქალთა პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა-მოგვარებაში.

1980 წელს ფემინისტების მიერ დასახელებულმა ვიგლის ფინბოგალოტირიმ ოთხ კანდიდატ მამაკაცს აჯობა და დამაჯერებლად გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. შემდგომში ისლანდიელებმა კიდევ სამჯერ აირჩიეს ვიგლის ფინბოგალოტირი თავის პრეზიდენტად და იმდენად კმაყოფილები იყვნენ მისი საქმიანობით, რომ ალბათ მეოთხედაც აირჩევდნენ, თავად მას რომ არ ეთქვა უარი.

ჩილე



ჩილეს მომავალი პრეზიდენტი მიგელ ბაჩილეტი 1951 წელს დაიბადა სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. გოგონების პრესტიჟული სკოლის შემდეგ მან ჩილეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. წლების შემდეგ, სახელდობრ, 2000 წელს გონიერი და შრომისმოყვარე მიშელ ბაჩილეტი ჯანდაცვის მინისტრად დანიშნა (სხვათა შორის ლათინური

ამერიკის ქვეყნების სინამდვილეში ქალი პირველად დანიშნა ამ პოსტზე).

2006 წელს ჩილეში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში მიშელ ბაჩილეტმა ხმების დიდი უმრავლესობა მიიღო და უპრობლემოდ გაიმარჯვა. თავისი მოღვაწეობის წლებში ბაჩილეტმა შექმნა ახალი საპენსიო სისტემა, შრომის თანაბარი ანაზღაურების კანონი, ახალი ძალა შესძინა გენდერულ თანასწორობას, შექმნა სამინისტრო, რომელსაც ქალების პრობლემებზე მუშაობა დაევა. მას შემდეგ, რაც 2018 წელს მიშელ ბაჩილეტის პრეზიდენტობის ვადა ამოიწურა, მან გაეროში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის პოსტი დაიკავა.

მოლოცვა



მაია სანდუ მოლოცვის პრეზიდენტი 2020 წლის 24 დეკემბრიდან. ქვეყნის ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტი.

დაიბადა 1972 წლის 24 მაისს ფალეშტის რაიონის სოფელ რისიპენში, გრიგორი და ემილი სანდუების ოჯახში. სწავლობდა საერთაშორისო ურთიერთობებს სახელმწიფო მართვის აკადემიაში. შემდეგ დაამთავრა ჯონ კენედის სახელობის ჰარვარდის სახელმწიფო მართვის ინსტიტუტი. 2012 წელს დანიშნეს განათლების მინისტრად.

2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში დაამარცხა ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი.

დასაოჯახებელია. ფლობს რუმინულ, ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს.



1917, 1918, 1919, 1920, 1921, 1922, 1923, 1924, 1925, 1926, 1927, 1928, 1929, 1930, 1931, 1932, 1933, 1934, 1935, 1936, 1937, 1938, 1939, 1940, 1941, 1942, 1943, 1944, 1945, 1946, 1947, 1948, 1949, 1950, 1951, 1952, 1953, 1954, 1955, 1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1966, 1967, 1968, 1969, 1970, 1971, 1972, 1973, 1974, 1975, 1976, 1977, 1978, 1979, 1980, 1981, 1982, 1983, 1984, 1985, 1986, 1987, 1988, 1989, 1990, 1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999, 2000, 2001, 2002, 2003, 2004, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014, 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023, 2024, 2025, 2026, 2027, 2028, 2029, 2030, 2031, 2032, 2033, 2034, 2035, 2036, 2037, 2038, 2039, 2040, 2041, 2042, 2043, 2044, 2045, 2046, 2047, 2048, 2049, 2050, 2051, 2052, 2053, 2054, 2055, 2056, 2057, 2058, 2059, 2060, 2061, 2062, 2063, 2064, 2065, 2066, 2067, 2068, 2069, 2070, 2071, 2072, 2073, 2074, 2075, 2076, 2077, 2078, 2079, 2080, 2081, 2082, 2083, 2084, 2085, 2086, 2087, 2088, 2089, 2090, 2091, 2092, 2093, 2094, 2095, 2096, 2097, 2098, 2099, 2100

1903 წელს დიდ ბრიტანეთში ემე-ლიანა პანკჰერსტმა დააფუძნა არაპარტიული ორგანიზაცია „ქალთა სოციალურ-პოლიტიკური კავშირი“, რომელმაც დაიწყო კამპანია ქალებისთვის თანასწორი საარჩევნო უფლებების მინიჭების მოთხოვნით.

1906 წელს ინგლისში ქალებისთვის თანასწორი უფლებების მინიჭებისთვის მებრძოლმა ქალებმა ბრიტანეთის პარლამენტის შენობის წინ მოაწყვეს დემონსტრაცია, პოლიციამ დემონსტრაციის 10 მონაწილე დააპატიმრა, მეორე დღეს კი ისინი ციხეში გადააგზავნეს.

იმავე 1906 წელს გაჩნდა ქალებისთვის ხმის მიცემის თანასწორი უფლებების მინიჭებისთვის მებრძოლი ქალების აღმნიშვნელი ახალი სიტყვა — „სუფრაჟისტი ქალი“.

1907 წელს ნორვეგიაში ქალებს ხმის მიცემის უფლება მიეცათ.

1913 წელს აშშ-ს პრეზიდენტის ინაუგურაციის წინაღვეს ვაშინგტონში 5000 ქალმა მოაწყო მსვლელობა ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის ხმის მიცემის თანასწორი უფლებების მინიჭების მოთხოვნით.

იმავე 1913 წლის მაისში ბრიტანეთის თემთა პალატამ უარყო კანონპროექტი ქალებისთვის ხმის თანაბარი უფლებების მინიჭების შესახებ.

1915 წელს აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უარყო კანონპროექტი ქალებისთვის ხმის მიცემის თანასწორი უფლების თაობაზე.

იმავე 1915 წელს დანიაში შემოიღეს კანონი 29 წლის ასაკიდან ხმის მიცემის საყოველთაო თანასწორი უფლებების შესახებ.

1917 წელს ნიუ-იორკი გახდა პირველი შტატი, სადაც ქალებს ხმის მიცემის თანასწორი უფლება მიენიჭა.

1918 წელს დიდ ბრიტანეთში 30 წელზე უფროსი ასაკის ქალებს ხმის მიცემის უფლება მიანიჭეს.

იმავე 1918 წელს აშშ-ში, მიჩიგანის, სამხრეთ დაკოტას და ოკლაჰომას შტატებში ქალებს ხმის მიცემის უფლება მიენიჭათ.

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელთა კრებაში საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭეს ქალებს და საბოლოოდ 130 დეპუტატიდან 5 ქალი იყო.

1919 წელს საფრანგეთში ქალებს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება მისცეს.

იმავე 1919 წელს ვაიომარის რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად გერმანიაში 20 წელს მიღწეულმა ქალებმა ხმის მიცემის თანაბარი უფლება მოიპოვეს.

იმავე 1919 წელს დამატებითი საპარლამენტო არჩევნებისას (28 ნოემბერი) პარლამენტში ადგილი მიიღო ლედი ნენსი ასტორმა, რომელიც ამ ქვეყანაში პირველი დეპუტატი ქალი გახდა.

1921 წელს ინგლისში ოლივია კლეპემი გახდა პირველი ქალი, რომელმაც ბარისტერი — უმაღლეს სასამართლოებში გამოსვლის უფლების მქონე ადვოკატის რანგი მიიღო.

1922 წლის 87 წლის რებეკა ლ. ფულტონი ერთი საათით გახდა სენატის პირველი წევრი ქალი, როდესაც თავისი გარდაცვლილი ქმრის ნაცვლად ესწრებოდა სენატის სხდომას, როგორც მისი წევრი, სანამ ახალ წევრს აირჩევდნენ.

ცვლად ესწრებოდა სენატის სხდომას, როგორც მისი წევრი, სანამ ახალ წევრს აირჩევდნენ.

1924 წელს დანია გახდა პირველი ქვეყანა, სადაც მინისტრად ქალი დაინიშნა. ნინა ბანგი 1928 წლამდე იყო განათლების მინისტრი.

1925 წელს ვაიომინგელი ქალბატონი მისის როსი აშშ-ში შტატის პირველი გუბერნატორი ქალი გახდა, მას ეს საქმე მისი გარდაცვლილი მეუღლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ანდევს.

1928 წელს დიდ ბრიტანეთში ქალის მიერ ხმის უფლების ასაკად აღრინდელი 30-ის ნაცვლად 21 წელი დადგინდა.

1929 წელს თურქეთში ქალებს ხმის მიცემის თანაბარი უფლება მიენიჭათ.

1929 წელს მის მარგარეტ ბონდფილდი პირველი ქალი გახდა დიდი ბრიტანეთის მთავრობაში.

1942 წელს ოკლაჰომამ უკანასკნელმა აშშ-ს შტატებს შორის გააუქმა აკრძალვა ქალების მიერ უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის (გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და შტატის გენერალური პროკურორი) დაკავების თაობაზე.

1946 წელს იტალიაში ქალებს ხმის მიცემის თანასწორი უფლება მიენიჭათ.

1948 წელს ბელგიაში ქალებმა ხმის მიცემის თანასწორი უფლება მოიპოვეს.

1954 წელს მექსიკაში ქალებს საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის თანაბარი უფლება მიეცათ.



საქართველოს პარლამენტარების ისტორიდან



ნინა ლაშვილი

1918 წლიდან მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში, ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

1919 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით. იყო შრომის და სახალხო ჯანმრთელობის კომისიის წევრი.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის არმიის თავდასხმისას მუშაობდა საქართველოს წითელ ჯვარში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩაბმული იყო ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში. მომდევნო წლებში რეპრესიებს ემსხვერპლნენ მისი ქმარი და შვილები, თავად მინადორა კი მრავალჯერ იყო გადასახლებული. მას მხოლოდ 1950 წელს მიეცა მას თბილისში დაბრუნების საშუალება. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

ელენოზა ტყეშელაშვილი

1902 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ორგანიზაციამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფმა (რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ელენოზა) რეალურად ხელში აიღო ქალაქ სოხუმის მმართველობა და ჩანაცვლა მეფის ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურა. ამის გამო 1908 წელს პირველად დააპატიმრეს. 1917 წლამდე კიდევ სამჯერ იყო დაპატიმრებული.



1918 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით. 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩართული იყო არალეგალურ, ანტისაბჭოთა მოძრაობაში. 1924 წლის აჯანყების შემდეგ აქტიურობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციების ადგილის პროცესში. 1925 წელს აირჩიეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცენტრის შემადგენლობაში.

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელი კრებაში 130 დეპუტატი შედიოდა, აქედან 5 ქალი იყო

ნიზაციების ადგილის პროცესში. 1925 წელს აირჩიეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცენტრის შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ-ს საგანგებო კომისიამ 1926 წელს დააპატიმრა და ამიერკავკასიის ფარგლებიდან გაასახლა. გადასახლებიდან დაბრუნდა 30-იან წლებში; ეწეოდა კერძო პედაგოგიურ საქმიანობას. გარდაცვალების თარიღი უცნობია.

ქოსთინე შარვაშია

იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი 1905 წლიდან. აქტიურად მონაწილეობდა 1905-1906 წლებში ტფილისში რევოლუციურ გამოსვლებში; ამზადებდა საგაზეთო ინფორმაციებს; 1905 წლის ნოემბერში, ტფილისში სომეხ-თათართა შეტაკებების განმუხტვისას მონაწილეობდა ე.წ. მფრინავ რაზმში, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევდა დაშავებულებს.



1917 წელს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი.

1919 წელს არჩეული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით; შედიოდა პრეზიდიუმის სამდივნოში, ასევე იყო საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიის წევრი.

ანა სოლომონიძე

1903 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1918 წლიდან მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში, ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.



1919 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების



სიით. იყო საბიბლიოთეკო და სარედაქციო კომისიის წევრი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩაბმული იყო ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში. 1925 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1937 წელს დააპატიმრა შინსახკომის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონულმა განყოფილებამ. 1937 წლის 27 ნოემბერს საქართველოს სსრ-ს შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა (ე.წ. ტროიკა), ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდის და “შოვინისტური” განწყობების, ასევე “შენშევიკთა” ლიდერ რამიშვილთან კავშირის ბრალდებით, მას სოლოლაშვილს დახვრეტა მიუსაჯა.

ელისაბეგ ნაკაშიძე-გოჯაძე

1904 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი; მუშაობდა გურიაში გლეხებს შორის. 1905 წელს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების დაწყების შემდეგ, მიემხრო მენშევიკებს. 1907 წელს გურიის პარტიულმა ორგანიზაციებმა

აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის კომიტეტის წევრად. 1907 წელს გურიის კომიტეტის დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ ლიზა ნაკაშიძე გაძევებული იყო ამიერკავკასიის ფარგლებიდან. დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

1917 წლის 20 მარტს ლიზა ნაკაშიძე აირჩიეს გურიის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარედ. 1918 წლის მარტში იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით. იყო შრომის კომისიის წევრი.



ქალთა უფლება-მოვალეობებისადმი მიძღვნილი კონფერენცია



ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის სააქტო დარბაზში ჩატარდა პროფესიონალ ქალთა ასოციაციის „100 ქართველი ქალი“ მიერ ორგანიზებული გასვლითი კონფერენცია „ქალები გუშინ, დღეს, ხვალ“, რომელიც მიეძღვნა ქალთა მდგომარეობას საქართველოში, და რომლის მუშაობაში თბილისელებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსთავში მოღვაწე ქალბატონებმაც. კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს ჩვენს ქვეყანაში დღეს არსებულ ქალთა მდგომარეობაზე, მათი უფლება-მოვალეობების შესაბამისობაზე რეალობასთან. კონფერენციაზე განხილულ თემებსა და საკითხებს შორის იყო: ქალთა ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის, ქალების, დედების როლი დღევანდელ სამყაროში, პროფესიონალ ქალთა წარმატების

ფორმულა, პროფესიონალიზმის როლი ქალის ცხოვრებაში, თანამედროვე ქალი თანამედროვე მეცნიერებაში და სხვ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პროფესიონალ ქალთა ასოციაციის „100 ქართველი ქალი“ თავმჯდომარემ, პროფესორმა ნათელა ნატროშვილმა, თსუ-ს კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ლია კიკალიშვილმა, კვალიფიციურმა ადვოკატმა მარინა ძამსაშვილმა, განათლების დამსახურებულმა მუშაკმა, თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის მენეჯერმა, მათემატიკის სერტიფიცირებულმა პედაგოგმა, გენრიეტა აბესაძემ, ქ. რუსთავის თეატრის მსახიობმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ნათელა მუხლიშვილმა, ქ. რუსთავის მეექვსე სკოლის დირექტორმა, განათლების ექსპერტმა, უმაღლესი

კატეგორიის პედაგოგმა ნაირა ქარუნიშვილმა, კლინიკურმა ფსიქოლოგმა, დიპლომირებულმა მედიკოსმა ირინა სელეზანოვამ. კონფერენციის მონაწილეებმა დაადგინეს ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს განიხილოს დამსახურების მიხედვით დადგენილი, დიფერენცირებული პენსიების დაწესების, სამსახურიდან უკანონოდ, პოლიტიკური მოტივით გათავისუფლების დაუშვებლობის, ქალებზე ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების აღკვეთის საკითხები. გამოითქვა მოსაზრება 2024 წელს გასამართი საპარლამენტო არჩევნებისთვის პროფესიონალ ქალთა ასოციაციის მიერ პარლამენტის წევრობის საკუთარი კანდიდატის წარდგენის საკითხი.



სასწაული ქალაქ ფატიმაში

პატარა პორტუგალიური ქალაქი ფატიმა ქვეყნის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა, ყოველ წელს მაისიდან ოქტომბრამდე აქ ოთხიდან ექვს მილიონამდე ადამიანი ჩადის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყებიდან. უზარმაზარი ტირაჟებით გამოიცემა ფატიმას ამბებისადმი მიძღვნილი წიგნები, ფატიმა ყველა ტურისტული კომპანიის აუცილებლად მოსანახულებელ ობიექტთა ჩამონათვალში შედის. არადა, 1917 წლის 13 მაისამდე ამ ქალაქის შესახებ ცოტას თუ ვინმეს გაეგო რამე.

1917 წლის 13 მაისს კი...

უკვე რამდენიმე წელი იყო მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, მისი საშინელებებით დაღლილი ადამიანები სასწაულს ელოდნენ და სასწაული მოხდა.

1916 წლის ზაფხულის იმ დღილით ადგილობრივი მწყემსების შეილებმა, პატარა ლუსია, ფრანსიშკა და ჟასინტა ცხვრის ფარა საძოვარზე გარეკეს. ვიდრე ცხვარი ბალახს ძოვდა, ბავშვებმა დახუჭობანას თამაში დაიწყეს. უცბად ქარი ამოვარდა, ხის კენწეროები შეარხია, მერე ხეების თავზე ნათელით მოსილი ადამიანი გამოჩნდა. „ნუ გეშინიათ, — მიმართა მან ბავშვებს — მე მსოფლიოს ანგელოზი ვარ. ჩემთან ერთად ილოცეთ“. მერე ის მუხლებზე დაეცა, თავი მდაბლად დახარა და სამჯერ წარმოთქვა ლოცვა. მერე კი წამოდგა და გაქრა...

შინ დაბრუნებულ ბავშვებს არაფერი უამბნიათ შობლებისთვის. ორი კვირის შემდეგ ანგელოზი კვლავ გამოჩნდა. „მეტი ილოცეთ, — თქვა მან, — ეს თქვენს ქვეყანას მშვიდობას მოუტანს... თქვენთან დაკავშირებით იესოს და მარიამს ვგვამბობ აქვთ“. მალე ანგელოზი მესამედაც გამოჩნდა. მიწაზე დამხობილმა მან სამჯერ წარმოთქვა ცოდვების მონანიების ლოცვა, მერე კი შეგონების სიტყვები წარმოთქვა და გაქრა.

ერთი წლის შემდეგ, 1917 წლის 13 მაისს, როცა ბავშვები მინდორში თამაშობდნენ, ანაზღად ზეცა კამკაშა ნათელით განათდა. პატარა მუხის თავზე ბავშვებმა სფეროსმაგვარი მანათობელი რამ დაინახეს, რომელშიც მათი თქმით თეთრით მოსილი მშვენიერი ქალი იმყოფებოდა, რომელიც ნათელს ასხივებდა, ქალმა შეშინებული ბავშვები დაამშვიდა და სთხოვა ყოველი თვის ცამეტ რიცხვში ამ ადგილზე მოდით ხოლმეო, — მერე კი მზის ნათელს შეუერთდა.

დაცინვის შიშით ბავშვებს არც

ამის შესახებ დაუძრავთ კრიტიკა, თუმცა ყველაზე უმცროსს, ჟასინტას, მაინც წამოსცდა და სულ მალე ღვთისმშობლის საოცარი გამოცხადების ამბავი მთელ სოფელს მოედო.

დათქმულ დღეს მინდორში სამოცამდე ცნობისმოყვარემ მოიყარა თავი. თუმცა მათ სხვა ვერაფერი დაინახეს გარდა იმისა, რომ ლუსიამ ხის თავზე გამოჩენილი პატარა თეთრი ღრუბლისკენ ხელები აღაპყრო და შეჰყვირა: „აი ის, აი ის!“ ბავშვები მუხლებზე დაეცნენ და ლოცვა დაიწყეს. მაშინ, როცა ბევრს მხოლოდ ზუზუნის მსგავსი რაღაც ხმა ჩაესმა, ბავშვების სმენას ღვთისმშობლის სიტყვები მისწვდა — ლუსიამ წერა-კითხვა უნდა ისწავლოს, ფრანსიშკას და ჟასინტას კი მალე ჩემთან წავიყვანო.

მშობლების აკრძალვის მიუხედავად ბავშვები ისევ გავიდნენ მინდორში და მათ კვლავ ჰქონდათ ხილვა. ამჯერად მათ შემდეგი გაიგონეს: „ეს ომი დამთავრდება, მაგრამ თუ ადამიანები კვლავაც აწყენინებენ უფალს, პიუს XI-ს დროს სხვა, უფრო საშინელი ომი დაიწყება“. მომდევნო თვეში თვრამეტ ათასამდე მორწმუნემ მოიყარა თავი. სოფლის მამასახლისმა ლუსია, ფრანსიშკა და ჟასინტა თავის სახლში ჩაკეტა. ხალხი მათ გასათავისუფლებლად დაიძრა. უეცრად მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა, იელვა და მუხის თავზე გამჭვირვალე ღრუბელი გაჩნდა... სექტემბერში დათქმულ ადგილზე უკვე ოცდაათი ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი, მათი თხოვნით ლუსიამ მადონას ავადმყოფების გამოჯანმრთელება შესთხოვა. მოგვიანებით, 12 ოქტომბერს ფატიმაში 70 ათასამდე ადამიანმა მოიყარა თავი. თოვა წვიმამ შეცვალა, გზები ატალახდა, თუმცა სასწაულის მომლოდინე ხალხი მოდიოდა და მოდიოდა. ნაშუადღევს ლუსიას სუნთქვა შეეკრა, გოგონამ თავი ზეაწია და სახეზე მას რაღაც უჩვეულო ნათელი მოეფინა. ბავშვებმა დაინახეს ღვთისმშობელი ყრმით ხელში. „ადამიანებმა სხვაგვარად უნდა იცხოვრონ, ცოდვებისთვის შენდობა უნდა ითხოვონ, და არ უნდა აწყენინონ უფალს ჩვენსას“... — გადმოსცა მან თავისი გზავნილი. ამ სიტყვებზე ცაზე მზე გამოჩნდა. ის თანდათან გაფერმკრთალდა და ვერ-



ცხლისფერ დისკოდ იქცა. მნათობი ცისარტყელას ყველა ფერის სხივს გამოსცემდა. მერე მნათობი სამჯერ დატრიალდა თავისი ღერძის გარშემო და მოულოდნელად ზიგზაგური მოძრაობით გაემართა დედამიწისკენ, მერე ასევე უეცრად დაბრუნდა თავის ადგილზე ზეცაში, ადამიანებმა იგრძნეს, რომ ტანზე სამოსელი რაღაცნაირად გაშრობოდათ. ბავშვებმა კი წმინდა ოჯახიც იხილეს — იესო ქრისტე, ღვთისმშობელი და იოსები.

ამ ამბის შემდეგ მოკლე ხანში ფატიმას ევროპაში გაავრცელებული საშინელი გრიპის ეპიდემია დაატყდა თავს, რომელმაც ფრანსიშკა და ჟასინტა შეიწირა, ლუსია კი მონაზვნად აღიკვეცა და კიდევ დიდხანს იცოცხლა. 1917 წელს გამოცხადებული ღვთისმშობლის წინასწარმეტყველება ჩაწერეს და დალუქული კონვერტით გადასცეს ვატიკანს. ვარაუდობდნენ, რომ მას 1960 წელს გაასაჯაროებდნენ, თუმცა პაპმა საიდუმლოს საიდუმლოდვე შენახვა გადაწყვიტა.

ფატიმას მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 60-იან წლებში ჩრდილოეთ ესპანეთში, სოფელ გარაბანდალში. მისი მონაწილეებიც 10-12 წლის ბავშვები იყვნენ. ლოლს, კონჩიტას, ჟასინტას და მარია კრუზს 1961 წლის 18 ივნისს მთავარანგელოზი მიქაელი გამოეცხადა და აუწყა 2 ივლისს ღვთისმშობელს იხილათო. 2 ივლისს გარაბანდალში ღვთისმშობელი პირველად იხილეს, მერე კი იგი 1961 და 1962 წელსაც გამოეცხადა გოგონებს. 1961 და 1962 წლებში ღვთისმშობელი კვირაში რამდენჯერმე ეცხადებოდა მათ. ბოლოჯერ კონჩიტამ ღვთისმშობელი 1965 წ. 13 ნოემბერს იხილა.





ნებისმიერი ენის ლექსიკური სალ-
არო განუწყვეტლივ ივსება და მდიდრდებ-
ა. ჩვენს მშობლიურ ქართულში უხსო-
ვარ დროში შექმნილი ან სხვა ენებიდან
ნასესხები უამრავი სიტყვაა და ჩვენ არც
ის ვიცით, თუ ვინ არის მათი შემქმნე-
ლი, არც ის, თუ ვინ იხმარა ისინი პირ-
ველად. თუმცა არის რიგი სიტყვებისა,
რომელთა ლექსიკაში დამკვიდრების
დროც ვიცით, მათი შემოქმედის ვინაო-
ბაც და მათი სალიტერატურო ენაში
დამკვიდრებლის სახელი და გვარიც.


ქართული ლექსიკის გამდიდრების
საქმეში უდიდესი წვლილი ერის მამას,
ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის, მან ხალხ-
ის წიაღში მოიძია და გააცოცხლა არა
ერთი მივიწყებული დიდებული სიტყ-
ვა, ბევრის მნიშვნელობაც დაახუსტა და
ქართულში ფეხმოკიდებული უცხოური
ჩაანაცვლა, კიდევ უფრო მრავალრიცხ-
ოვანია მის მიერ ქართული ენისათვის
დამახასიათებელი თარგის შესაბამისად
შექმნილი და დამკვიდრებული სიტყვები.

ილიამ შთაბერა სული სიტყვას
„მამული“, რომელიც თუმცა კი ძველი
ქართულიდან მოდის და თავის დროზე
ორი მნიშვნელობით იხმარებოდა — სამ-
შობლო და ვინმეს კუთვნილი მიწა-წყ-
ალი, რომელიც მემკვიდრეობით გადაე-
ცემა მამიდან შვილს, — მაგრამ თან-
დათან პირველი მნიშვნელობა დაკარ-
გა და მხოლოდ მეორე მნიშვნელობით
იხმარებოდა.

ილიას XIX საუკუნის სამოციან-
ელმა მოღვაწეებმაც აუბეს მხარი და ასე
დამკვიდრდა ჩვენს ენაში სამუდამოდ ეს
დიდებული სიტყვა, ხოლო მალე ჩვენი
ლექსიკა მისგან ნაწარმოები სიტყვები-
თაც — მამულიშვილი, მამულიშვილო-
ბა, სამამულო — შეივსო. ილიას დამ-


სიტყვის დაბადება

სახურებაა ისიც, რომ ქართულში დამ-
კვიდრდა სიტყვა „მოქალაქე“, ბრძენ-
აცი დარწმუნებული იყო, რომ ხალხის
მეტყველების წიაღში უხვად მოიძიებო-
და უცხო ენებიდან შემოსული და ქა-
რთულში ფეხმოკიდებული სიტყვების
შესატყვისი და თავადვე იღო თავს მა-
თი მოძიება-დამკვიდრება. სწორედ მი-
სი ძალისხმევით განდევნა ქართულმა
„ლუდმა“ — რუსული „პივო“, „თაბა-
შირმა“ — გიფსი“, „ასლმა“ — „კოპ-
იო“, „საბაჟო“ — „ტამოჟნია“ და სხ-
ვა. ილიასივე დამკვიდრებულია არსე-
ბული სიტყვების ანალოგიით მის მი-
ერ წარმოებული სიტყვები: „დედაზრი“;



მწერალსა და საზოგადო მოღ-
ვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს უნდა ვუძღვლო-
დეთ ისეთი სიტყვების დაბადებას, რო-
გორიცაა ლინდაგი და ორთქლმავალი.
ამ უკანასკნელი კომპოზიციის საფუძ-
ველზე იშვა ისეთი სიტყვები, როგორი-
ცაა: თბომავალი, ელმავალი, ატომმა-
ვალი, მთვარემავალი და სხვა. მშვენი-
ერი სიტყვები დაამკვიდრა სამეცნიერო
და სპორტულ ტერმინოლოგიაში ნ. ნი-
კოლაძის ვაჟმა, შესანიშნავმა მეცნიერ-
მა და სპორტსმენმა გიორგი ნიკოლაძემ,
სწორედ მას ეკუთვნის ტერმინები: მსა-
ჯი, ტანვარჯიში, განტოლება.

საერთოდ ქართველმა მეცნიერებ-
მა მათ მიერ შექმნილი არა ერთი სი-
ტყვით გაამდიდრეს სალიტერატურო
ქართული. მაგალითად, სიტყვა ას-
ანთი აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელ-
იძეს მიერ არის შექმნილი, მერგოლური
— აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მი-
ერ, დიმიტრი უხნაძემ შექმნა სიტყვები:
აღქმა, განწყობა, განწყობილება, პრო-
ფესორ ვუკოლ ბერიძეს უნდა ვუძღვ-
ლოდეთ ისეთი სიტყვების არსებობას,
როგორიცაა: შვებულება, მივლინება,
საშვები. აკადემიკოს ნიკო კეცხოველ-
ისა და დიდი ივანე ჯავახიშვილის წყ-
ალობით გაცოცხლდა და სამუდამოდ
დამკვიდრდა ცუდბალახთა საერთო
სახელწოდება — სარეველა. ეს სიტყვა
(სარეველა) ნ. კეცხოველს სამეცნიერო
მივლინების დროს ქართლში, სოფელ
აჩაბეთში გაუგონია და თავის საანგარი-
შო მოხსენებაში უხმარია. ივანე ჯავახ-
იშვილს ძალიან მოსწონებია ეს სიტყვა
და თავადაც გამოუყენებია.



გიორგი ნიკოლაძე

„დედაარსი“; კომპოზიტი მიწათმოქმედე-
ბა; მის მიერვე შექმნილი ტერმინები:
წარმოება, მეურნეობა. მისივე დამახ-
ურებაა ისეთი სიტყვების დამკვიდრება,
როგორიცაა: ეროვნება, მსოფლმხედვე-
ლობა, მთავრობა, კაცობრიობა, მმართვე-
ლობა, აგებულება, აღებ-მიცემობა,
მოთხოვნილება, დაწესებულება, მიმარ-
თულება, რწმუნება, საქონელი, ღირე-
ბულება, მიმოქცევა, შინაარსი, სინამდ-
ვილე, საერო, საყოველთაო, საზოგადო,
განყენებული და სხვა.

სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ
ენაში აკაკი წერეთლის მიერ შექმნილი
ძალზე მოხდენილი კომპოზიციები: „ცა-
ფიროუზ ხმელეთ-ზურმუხტო“, „მეკუხ-
მატკბილე“, „მივეხმატკბილე“...



მეგობრობა გზად და ხიდად

ალბათ არ მოიძებნება დედამიწაზე ადამიანი, მსოფლიოში პირველობის ავადმყოფურ ჟინს აყოლილი, პუტინისეული ველიკორუსული ამბიციებით შეპყრობილი რუსი ეროვნების ადამიანების გარდა, ვინც გულგრილი რჩება იმ უბედურების მიმართ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა და მისმა დამქაშებმა უკრაინაში დაატრიალეს. ნებისმიერი ეროვნების კაცთმოყვარე ადამიანები მთელ მსოფლიოში თანაუგრძობენ უკრაინელ ხალხს და საკუთარი უნარ-შესაძლებლობების შესატყვისად ეხმარებიან უკრაინელ ხალხს, თანაუგრძობენ და ამხნევენ. ეხმარება მოძმე უკრაინას ჩვენი ქვეყანაც, სრულიად ქართველობაც. საკუთარი თუნდაც მცირე წვლილის შეტანა მოძმე ერის თანადგომა-დახმარების საქმეში, კერძოდ, ომის საშინელებას გამორიდებული უკრაინელი ბავშვების რეაბილიტაცია-ინტეგრაციის ხელშეწყობა დაისახეს მიზნად ქალბატონმა ნათელა ნატროშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ირინა სელეპანოვამ და ალექსანდრე რამიშვილმა, რომლებმაც მოკლე ხანში შესაბამისი პროექტიც მოაშადადეს. პროექტი გადაიგზავნა აშშ-ში მშვიდობის განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო გაცვლით და სპეციალურ პროგრამებზე ფოკუსირებულ ორგანიზაციაში „აიოვას რესურსები საერთაშორისო სერვისისათვის“ (IRIS). იქ პროექტი მოიწონეს და მის ავტორებს ფინანსური მხარდაჭერაც გაუწიეს, სწორედ ამერიკელი მეგობრების დახმარებით მოხდა ჩანაფიქრის ხორცშესხმა. პროექტის ავტორებმა საჭირო ბაზად ქ. რუსთავის მე-12 ზოგადსაგანმანათ-



ლებლო სკოლა (დირექტორი მარი გულია) შეარჩიეს, რომელშიც სხვადასხვა ასაკის ლტოლვილი უკრაინელი ბავშვები სწავლობენ და მას შემდეგ, რაც გაესაუბრნენ მათ, გაეცნენ მათ ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ, სოციალურ მდგომარეობას, გადაწყვიტეს სწორედ ამ სკოლასთან ერთად განეხორციელებინათ პროექტი. ჩამოყალიბებული მოსაზრება-შეხედულებების შესაბამისად მოიხაზა პროექტის ჩარჩოებში ჩასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ლტოლვილი ბავშვების ფსიქოლოგიური ფონის შემსუბუქებას. გადაწყდა ღონისძიება რუსთავში არსებულ აკადემიურ ქალაქში ჩატარებულიყო, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე ყველაფერთან ერთად უკრაინის საპატიო მოქალაქეც არის, პროექტის ავტორების ძალისხმევით და ბატონი გარის ხელშეწყობით ისეთი გარემო შეიქმნა, რომელშიც უკრაინელმა და ქართველმა ბავშვებმა ახლოს გაიცნეს ერთმანეთი, დაეგობრდნენ კიდევ და ყველანი ერთად სიამოვნებით ჩაერთვნენ პროექტით გათვალისწინებულ გასართობ თუ შემეცნებით აქტივობებში. სტუმრებმაც და მასპინძლებმაც, ბავშვებმაც, მათმა მშობლებმაც და მასწავლებლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კითხვა-პასუხის რეჟიმში გამართულ დისკუსიებში, სხვადასხვა გასართობ თუ შემეცნებით ღონისძიებებში. უკრაინელმა მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები ქართულად, მათმა ქართველმა თანატოლებმა კი – უკრაინულად. ღონისძიების ჩარჩოებში გაიმართა სპორტული მართონიც, რომელშიც ერთნაირი ხალისით ჩაერთვნენ ქართველი და უკრაინელი თანატოლები. ღონისძიების მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით და სერთიფიკატებით.



ქურნაღი რეკლამის
განსათავსებლად
ღაბვიპავუი რღი

ტელ.: 599159091

ელ.ფოსტა: natroshvili.natela@gmail.com

ISSN 2960-9623



9 772960 962001 >